საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№11 (340)

23 – 29 მარტი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru



## «საქინძებლიდან გამოვარდნილთა» შტურმი, ანუ მეტი ქაჯი პარლამენტში?

10

# «არ არს ბოროტება თვინიერ ტერაქტისა და ერდოღანია მოციქული მისი»

„ევროკავშირის ქვეყნები თავქარიანივით იქცევიან და თითქოს დანაღმულ ველზე ცეკვავენ. არ არსებობს მიზეზი, რომ ნაღმი ბრიუსელშიც არ აფეთქდეს. თქვენ გველი გამოზარდეთ უბეში, რომელიც ნებისმიერ წამს დაგგესლავთ“...

5






## სააკაშვილის დრეს კოდი

3

## «ევროკავშირში არ არის თურქეთის ადგილი!»

3

## თავდაცვის მინისტრის ჭუჭყიანი თეფშები

4

## «სკოლებში ბარყვინილების დანერგვის საფრთხე მაინც არსებობს»

6

12

## «წინა და ამჟამინდელი ხელისუფლება – ორივე დამნაშავეა!»



## «არავის ვურჩევ ანტირუსული რიტორიკის გამძაფრებას»

7

«მოსახლეობის 80 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მომხრეა, მას დასავლეთის ხსენებაც არ სურს»



## «თუ პროცესი ასე გაგრძელდება, ქართულ ეკონომიკას საბოლოოდ დავასამარებთ»

9

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბედნიერების ინდექსის მიხედვით, საქართველო 126-ე ადგილზეა

**რამდენიმე დღის წინათ გაეროს დაკვეთით მომზადებული მსოფლიოს ქვეყნების ბედნიერების ინდექსის შესახებ 2016 წლის მოხსენება გამოქვეყნდა.** ბედნიერების ინდექსის მიხედვით, ბედნიერების მაჩვენებლები 2005-2011 წლებთან შედარებით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია შემცირებული. ინდექსის ძირითადი მაჩვენებლები ქვეყანაში საერთო ბედნიერების თანასწორ გადანაწილებას ემყარება. რაც უფრო თანაბრად არის ბედნიერების მაჩვენებლები ქვეყანაში გადანაწილებული, მით უფრო ბედნიერია ერი. თავის მხრივ, ბედნიერება იზომება ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე პარამეტრით: **მშპ, კორუფციის დონე, სოციალური დახმარებები, ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთების თავისუფლება, საცხოვრებელი პირობები.** ბედნიერების მაჩვენებლების მიხედვით, სიაში პირველ ადგილზეა **დანია,** მეორეზე — **შვეიცარია.** შემდეგ ადგილებზე არიან **ისლანდია, ნორვეგია, ფინეთი** და **კანადა.** აშშ მე-13 ადგილზეა, რუსეთი — 56-ზე, მას უსწრებს **მოლდოვა** — 55-ე ადგილზე. აზერბაიჯანი 81-ეა, **სომხეთი** — 121-ე, **უკრაინა** — 123-ე, **საქართველო** — 126-ე. ბოლო 155-ე და 156-ე ადგილებზე არიან, შესაბამისად, **სირია** და **ბურუნდი.** 2010-2012 წლებში საქართველო 134-ე ადგილზე იყო.



## საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში მოქალაქეს სახელმწიფო დაეხმარება

**დღეს მიწის რეგისტრაციისას მოქალაქე ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რომელიც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს; დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი საჯარო რეესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა, სხვაგვარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება.**

მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია. ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა იქნება. უმნიშვნელო ხარვეზი მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში, არასწორი დაწერილობა და სხვა აღარ იქნება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი, თუკი პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და ა. შ.) ერთმანეთს შეესაბამება. გარდა ამისა, მოხდება ხარვეზიანი დოკუმენტაციის ლეგალიზაცია, გამოყენებული იქნება ფაქტების კონსტატაცია. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა მჭიდროდ ითანამშრომლებენ საკუთრების დადგენის ნაწილში, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით იქნება მხარდაჭერილი.

ამას გარდა, მიწის რეფორმის ფარგლებში შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად სახელმწიფო მოქალაქეს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს შესთავაზებს. მედიატორების, მათ შორის, სანოტარო მედიაციის, მეშვეობით სახელმწიფო მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მარტივად, -სასამართლო დავის გარეშე, მოგვარებაში დაეხმარება. დავის შემთხვევაში, მოქალაქეს ექნება არჩევანი, ისარგებლოს მედიაციით თუ მიმართოს სასამართლოს და იქ დაიცვას საკუთრების უფლება.

## ზურაბ აბაშიძე: რუსეთთან დიალოგზე უარის თქმა პრობლემებს ვერ მოაგვარებს, პირიქით — გაზრდის მათ რაოდენობას

**რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს — ზურაბ აბაშიძეს მიაჩნია, რომ პრაღის ფორმატზე უარის თქმა, მოგვარების ნაცვლად, პრობლემებს გაზრდის.**

„დიალოგზე უარის თქმა ვერანაირ პრობლემას ვერ მოაგვარებს, პირიქით — გაზრდის პრობლემების რაოდენობას, მასშტაბებს და ეს ჩვენს ქვეყანაზე და ყველა ჩვენგანზე მტკივნეულად აისახება“, — განაცხადა აბაშიძემ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის, მიერ პრაღაში გაკეთებული განცხადებების შემდეგ საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთმა წევრმა აბაშიძე-კარასინის ფორმატის შეცვლის შესაძლებლობა არ გამორიცხა.

## მეუფე სპირიდონი პრეზიდენტზე: ეს არის საროსკიპოს მენეჯერის, სუტენიორის ლაპარაკი

**სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა ინტერნეტში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ქართველი მაღალჩინოსნის პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე პრეზიდენტ მარგველაშვილის გამოხმაურება ასე შეაფასა:**



„ერთ-ერთი დიდი ყოფილი თანამდებობის პირისთვის რაღაც მრუშობის კადრები გადაუღიათ და ეს გავრცელდა სოციალურ ქსელში. როგორც ჩანს, ბევრმა ხალხმა ნახა და ამაზე გაკეთდა შეფასებები. ღმერთმა მიუტევოს იმ ადამიანს, რომელმაც ეს მრუშობა ჩაიდინა, და მან დიდი სინანული უნდა აჩვენოს იმიტომ, რომ ღვთის წინაშე არ არის კარი არასდროს დაკეტილი, მან აუცილებლად უნდა შეინანოს, რომ ღმერთმა ის ცოდვა აპატიოს, იმიტომ, რომ წერია: „ქორწილი არის წმიდა და საწოლი შეუგინებელი“. **ოჯახის ღალატი — ეს არის უმძიმესი ცოდვა, რომელზეც ძალიან მძიმე ეპიტემიას იყენებს ეკლესია და კაცის კვლას უთანაბრებს.** რა თქმა უნდა, ამ დედაკაცმა ეს უნდა შეინანოს, ღმერთმა მიუტევოს მას ეს და მისცეს სინანული, რომ ეს შეინანოს. მაგრამ როგორ შეფასდა ეს ყველაფერი? სამწუხაროდ, მასმედიაში ხელისუფლების წევრის გამოსვლაში, ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლაში სრულიად მოულოდნელი შეფასებები იყო, ისეთი, რომ კიდევ უფრო დიდი შიში დანერგა ჩვენში. დავინახეთ, რომ ჩვენი ერი გაცილებით მძიმედ არის ცოდვებში ჩაძირული... **სახელმწიფოს მეთაური გამოდის ტელევიზორში და ამ ფაქტს ასეთ შეფასებას აძლევს: იცით რაო, რა არის ამაში ცუდი, მე ძალიან მდიდარი სექსი მქონდა, მაქვს და მექნებაო. არაფრით არ არის ეს სახელმწიფოს მეთაურის ლაპარაკი. როგორ შეიძლება, ეს შეადარო დავით აღმაშენებლის, ჩვენი მამულიშვილების ლაპარაკს? ეს არის საროსკიპოს, ანუ ბორდელის მენეჯერის, სუტენიორის ლაპარაკი და მისი ტერმინოლოგია.** ასეთ საშინელ და უბედურ დღეში ვართ ჩვენ, ასეთ ადამიანებს დღეს სახელმწიფოში თანამდებობები უჭირავთ. თუ ჩვენ, სამღვდელოება, ხმას არ ამოვიღებთ და არ დავგმობთ ამ საშინელებას, პირველ რიგში, ჩვენ მოგვკითხავს უფალი. ხალხი უნდა გავაფრთხილოთ, რომ არ მოუსმინონ ასეთ სიბილწეს. გინდა პარლამენტარი იყოს, გინდა — სახელმწიფოს მეთაური, ჩვენ რადგან მოგვცა ღმერთმა საშუალება, თვითონ ავირჩიოთ, ვინც გვინდა, და, თუ არ იქნება ისეთი ჩვენი ხელისუფლება, როგორიც ღმერთს მოსწონს, პირველ რიგში, ჩვენ დავისჯებით — ქართველი ხალხი, იმიტომ, რომ ჩვენ ავირჩიეთ ის. ეს უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, ამიტომ ფრთხილად იყავით. როდესაც არჩევნები იქნება, **არაფრის დიდებით არ მიუშვათ ხელისუფლებაში ის ხალხი, რომელიც ასეთი აზროვნებისაა, ზნედაცემული და გარყვნილია, თორემ გახსოვდეთ, პირველ რიგში, ღვთის წინაშე ერს მოეკითხება. კაცი, რომელიც ოჯახს ღალატობს, დედაკაცი, რომელიც ოჯახს ღალატობს, ორ შაურად გაყიდის თავის ქვეყანას. თავისი ოჯახი არ უყვარს და ქვეყანას შეიყვარებს?!** სინანული კი არა, ტრაბახობს, ამაშია მთელი უბედურება. და სხვასაც მოუწოდებს, ასეთები იყავითო. უბედური! გარყვნილი! მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასე არ გაგრძელდება დიდხანს. დედაღვთისმშობელი ამას არ გააგრძელებინებს ასე... ამათ ეს მოსწონთ, მათში არის ცოდვა და ასიამოვნებენ ოკეანის გაღმელ თავის მეგობრებს, დამფინანსებლებს და გრანტის მომცემებს“.

## რიჩარდ მაილსი: ბუშმა სააკაშვილი რუსეთთან ომის საფრთხეზე ორჯერ გააფრთხილა

**საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმაც დაადასტურა, რომ 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია ავანტიურისტი სააკაშვილის სინდისზეა.**

**რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტებსა და რეგიონში რუსეთის პოლიტიკაზე „ამერიკის ხმა“ სპეციალურად გადაცემა „ქრონიკისთვის“ ამერიკის ყოფილ ელჩს საქართველოში — რიჩარდ მაილსს ესაუბრა. ყოფილი ელჩი აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, მაგრამ საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის გაფრთხილება არად ჩააგდო.**



„2004 წლის აგვისტოში პრეზიდენტ სააკაშვილის ლიდერობით ქართულმა არმიამ სამხრეთ ოსეთის აღება სცადა. ეს ოპერაცია კარგად არ წარიმართა და ჯარმა მალევე უკან დაიხია, ამას ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა. 2005 წლის მაისში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანი მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილება იყო. ჩემი თანდასწრებით ბუშმა სააკაშვილს ორჯერ უთხრა, რომ იმის გამეორება, რაც 2004 წლის აგვისტოში მოხდა, სტრატეგიული და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა, რომელსაც, შესაძლოა, რუსეთის საქართველოში შეჭრა მოჰყოლოდა. ამან პრეზიდენტი სააკაშვილი გარკვეული პერიოდით შეაჩერა, მაგრამ მას და მისი მთავრობის წევრებს ყოველთვის სურდათ სამხრეთ ოსეთის შემოერთება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“, — განაცხადა მაილსმა.

ყოფილი ელჩი არ იზიარებს რეგიონის ექსპერტების შეფასებას, რომ 2008 წელს რუსეთის აგრესიაზე დასავლეთის სუსტმა რეაქციამ რუსეთი წაახალისა და ყირიმის ანექსია სწორედ ამ პოლიტიკის გაგრძელებაა. ყოფილი ელჩი ამბობს, რომ საქართველოს სამხედრო დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

**„დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხის დიდ ნაწილს და საქართველოს მთავრობას ერჩივნა, ჩვენ უფრო მკაცრი ზომები მიგველო, მაგრამ ეს არასდროს განიხილებოდა. ჩვენ არ გვითქვამს, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში მკაცრ ნაბიჯებს გადავდგამდით. ეს ასე არ ყოფილა.** მე მესმის ქართველების დიდი ნაწილის იმედგაცურება იმით, რომ შეერთებული შტატები ან სხვა მეგობრები, მოკავშირეები სამხედრო მეთოდებით არ ჩაერთნენ. რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენციამ რუსეთის ფედერაციის გავლენა გაზარდა და მან აჩვენა, რომ რუსეთი პოლიტიკურად მზად არის, თავისი საზღვრების მახლობლად სამხედრო ძალა გამოიყენოს“, — განაცხადა რიჩარდ მაილსმა.

## მაია ნადირაძის „საკომისიო შემოსავალი“ — მილიონნახევარი ლარი 6 წელიწადში



**2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ხელისუფლების სათავეში, რომ იტყვიან, „ცალ-ცალი კალოშით“ მოვიდნენ, მაგრამ გავიდა წლები და მაღალხელფასიან თანამდებობებზე მოკალათებულმა სააკაშვილის გარემოცვის თითოეულმა წევრმა მილიონები დააგროვა ქართველი ხალხის ძარცვით. ამას მოწმობს საინფორმაციო პორტალ „ფაქტ 2“-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთი წევრის, ყოფილი პარლამენტარის, შემდგომ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის ყოფილი წევრის — მაია ნადირაძის ქონებრივი დეკლარაციებია გაანალიზებული. მაია ნადირაძე 2015 წლიდან აღარ არის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი, მაგრამ ამ საქმიანობამ მას 6 წლის განმავლობაში მილიონნახევრამდე ლარის შემოსავალი მოუტანა.**

მაია ნადირაძე 1961 წელს დაიბადა თბილისში. უმაღლესი განათლება თსუ-ს ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო (1983 წელს დაამთავრა). მისი შრომითი საქმიანობა 1984 წელს დაიწყო ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1985 წელს გადავიდა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, სადაც უფროს ლაბორანტად 1987 წლამდე იმუშავა. პარალელურად, 1986-1990 წლებში, 53-ე სკოლის პედაგოგიც იყო. 1991-1999 წლებში გახლდათ განათლების სამინისტროს გამოყენებითი ფსიქოლოგიის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, აგრეთვე, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ პრესმდივანი. 1999-დან 2008 წლის ჩათვლით ორი მოწვევის პარლამენტის წევრობაც მოასწრო: შევიდა საარჩევნო ბლოკ „აღორძინების“ პარტიული სიით, დეპუტატობა კი დაასრულა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით. იყო „ნაციონალური“ უმრავლესობის ლიდერი. შემდეგ მარეგულირებელი კომისიის წევრად დაინიშნა და 6 წლის განმავლობაში ფრიად ტკბილად და უცხო თვალისგან მოშორებით შეირგო მარეგულირებლის წევრის მშვიდი და ფრიად ჯიბესავსე ცხოვრება.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სარკოზი: ევროკავშირში არ არის თურქეთის ადგილი!



**„ევროკავშირში თურქეთის გაწევრება საღ აზრს ეწინააღმდეგება“, — განაცხადა საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ტელეარხ „აიტელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ნიკოლა სარკოზის აზრით, რუსეთი უფრო ევროპული სახელმწიფოა, ვიდრე თურქეთი.** „ევროკავშირში თურქეთის ადგილი არ არის და მე ყოველთვის ამ პოზიციაზე ვიდექი, რომელიც ეფუძნება საღ აზრს. ეს არ ნიშნავს, რომ თურქების საწინააღმდეგო რამე მაქვს, ისინი ჩვენ გვჭირდებიან, ისინი ჩვენი მოკავშირეები არიან ნატოში, მაგრამ თურქეთი არა მხოლოდ არ შეესაბამება რიგ ევროპულ სტანდარტებს, არამედ გეოგრაფიულადაც შორს არის ევროპისგან. ჩნდება კითხვა: **ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება კი თურქეთი ჩაითვალოს ევროპულ ქვეყნად? თუ ამის დამტკიცებას ვაპირებთ, მაშინ ჩვენ ევროკავშირის სიკვდილი მოგვსურვებია“,** — განაცხადა საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც აღშფოთებული ლაპარაკობდა ევროპაში 80 მილიონი თურქის დაუბრკოლებლად შეშვებაზე.

# კონდოლიზა რაისმა ცხოვრებით უკმაყოფილო უკრაინელებს ლიბერიაში წასვლა ურჩია

**აშშ-ის ექსსახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა „მაიდნის“ რევოლუციის შემდეგ ცხოვრების დონის სწრაფად დაქვეითებით უკმაყოფილო უკრაინელებს ლიბერიაში წასვლა ურჩია. რაისი დარწმუნებულია, რომ უკრაინელები, როდესაც ნახავენ, როგორ ცხოვრობენ აფრიკაში, სიხარულით ცას ეწევიან, რომ მათ ქვეყანაში საქმე არც ისე ცუდადაა.**



აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კიევში ლექცია წაიკითხა თემაზე „ცვალებადი მსოფლიოს გამოწვევები“. ქალბატონმა კონდოლიზამ განაცხადა, რომ უკრაინის ხელისუფლებამ მოქალაქეების ნდობა უნდა დაიმსახუროს, ახალგაზრდობამ კი — ხელი შეუწყოს დემოკრატიულ ცვლილებებს. რაისმა, აგრეთვე, გამოთქვა თვალსაზრისი, რომ, ვისაც უკრაინაში ცხოვრება აუტანელად მიაჩნია, უნდა წავიდნენ ლიბერიაში, სადაც ცხოვრების დონე გაცილებით დაბალია და ამ ქვეყნის მონახულების შემდეგ თითოეული უკრაინელი ცას ეწევა სიხარულით, რომ უკრაინელია.

# სააკაშვილის დრეს კოდი





**საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, ამჟამად ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ განუცვიფრებია საზოგადოება თავისი ჩაცმულობით. ამას წინათ ისეთ კოსტიუმში გამოეწყო, რომ ბევრმა იფიქრა, შარვალი უკუღმა ჩაიცვაო. ახლახან კი დნეპროპეტროვსკში გამართული ანტიკორუფციული ფორუმის მონაწილეების წინაშე წინდაში შარვლის ტოტჩატანებული წარდგა.**

წინდებში შარვალჩატანებული სააკაშვილის ფოტოს კომენტირებისას რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის დირექტორმა, ენაკვიმატობით განთქმულმა **მარია ზახაროვამ** განაცხადა:

**„მას შემდეგ, რაც კონდოლიზა რაისმა უკრაინელები ლიბერიაში გაგზავნა იმისთვის, რომ სიხარულით ცას სწეოდნენ იმით, რაც აქვთ, ძნელი იყო, რამე გამკვირვებოდა. მაგრამ ლაბუტენებსა** (კრისტიან ლაბუტენი — ფეხსაცმლის ფრანგი დიზაინერ-მოდელერი. მისი ნამუშევრები ძალიან პოპულარულია მსახიობებსა და მომღერლებს შორის — რედ.) **და... შარვალში გამოწყობილ ამ ამერიკელების პროტეჟეს ამბიციური პოლიტიკური გეგმები აქვს უკრაინაში. ის, ალბათ, სპეციალურად ჩანერგეს უკრაინის ისტებლიშმენტში, რათა შემდგომ ამაშიც დაედანაშაულებინათ მოსკოვი. სასაცილო იქნებოდა, ეს იაფფასიანი პოპულიზმი ტრაგიკულ შედეგებს რომ არ იწვევდეს“.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებას მოგვიანებით გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ რატომღაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მიმართა. „როგორ დაეცა სრულიად რუსეთის პრეზიდენტი. ადრინდელ პრესკონფერენციაზე იულია ტიმოშენკოსთან ჩემს ჰალსტუხზე იხუმრა, სარკოზისა და მსოფლიოს განუცხადა, რომ სურს, კვერცხებით დამკიდოს, ახლა კი ჩემი მარჯვენა წინდით დაინტერესდა“, — დაწერა სააკაშვილმა „ფეისბუქში“.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილმა თავის უამრავ ტყუილს კიდევ ერთი დაუმატა: არც რუსეთის პრეზიდენტსა და არც მის პრესმდივანს სააკაშვილის ჩაცმულობაზე ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ.



## ტერაქტების სერია ბრიუსელში — ევროკავშირის დასჯა

**22 მარტს, დილით, ევროკავშირს პირდაპირ გულში, უფრო ზუსტად, თავში დაარტყეს ტერორისტული აქტით. აფეთქებების სერიის მსხვერპლი ამჯერად ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი აღმოჩნდა. თვითმკვლელმა ტერორისტებმა ჯერ ორი აფეთქება მოაწყვეს ბრიუსელის საერთაშორისო აეროპორტ „ზავენტემში“, მოგვიანებით ასაფეთქებელი მოწყობილობები ამუშავდა ბრიუსელის მეტროპოლიტენის, სულ ცოტა, სამ სადგურში.**

ბოლო მონაცემებით, დაიღუპა 34 ადამიანი, დაიჭრა — 130, მათგან ბევრი მძიმე მდგომარეობაშია. მომხდარზე პასუხისმგებლობა დაიკისრა ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“.

„ევროპა იმავე ცეცხლში იწვის, რომელშიც სირია და ახლო აღმოსავლეთია გახვეული“, — განაცხადეს ტერორისტებმა.

ბრიუსელი, უკვე დიდი ხანია, მიჰყვება პროამერიკული პოლიტიკის ვექტორს, რომელიც, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ევროპაში მძლავრ რყევებს იწვევს. ექსპერტთა აზრით, ევროკავშირისა და ამერიკის მიერ ახლო აღმოსავლეთში დაშვებულმა შეცდომებმა დიდი გავლენა იქონია ახლო აღმოსავლეთის რადიკალურად განწყობილი მოქალაქეების გონებაზე. სწორედ ამ შეცდომებმა გამოიწვია უკონტროლო სიძულვილი, რომელიც შურისძიებაში გადაიზარდა. შედეგიც სავალალოა.







# კანონი პედოფილების ქიმიური კასტრაციის შესახებ

**ყაზახეთის პარლამენტის სენატმა მხარი დაუჭირა კანონს, რომელიც პედოფილების ქიმიური ზემოქმედებით კასტრაციას ითვალისწინებს. საკანონმდებლო შესწორება მიმართულია „არასრულწლოვანთა სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის სასჯელის გასამკაცრებლად“. სენატის წევრმა ბირგანიმ აიტიმოვამ განმარტა, რომ „ქიმიური კასტრაცია დროებითი ზომაა, რომელიც ერთჯერადი ინიექციით ხორციელდება“.**



შესაბამის პროცედურას მსჯავრდადებულებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაუტარებენ.

**„თუკი ჩვენ ამგვარად თუნდაც ერთი ბავშვის სიცოცხლეს დავიცავთ, ვფიქრობ, ამის გაკეთება ღირს“,** — აღნიშნა აიტიმოვამ.

ქიმიური კასტრაცია ითვალისწინებს ჰორმონული პრეპარატების მიღებას, რომლებიც ორგანიზმში ტესტოსტერონის გამომუშავებას რამდენიმე თვით აფერხებს და სქესობრივ აქტიურობას ამცირებს.

პედოფილების ქიმიური კასტრაციის შესახებ კანონები არაერთ ქვეყანაში მოქმედებს, მაგალითად, მოლდოვასა და პოლონეთში. რუსეთში დაშვებულია ნებაყოფლობითი ქიმიური კასტრაცია პატიმრობის ვადის შემცირების სანაცვლოდ.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სკანდალმა მძლავრად დაარტყა არა მხოლოდ კონკრეტულ ფიგურებს, არამედ პოლიტიკურ ელიტას მთლიანად. ფირების გამავრცელებლებმა თავისი მინიშნებებით მოახერხეს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის (ეს მკაფიოდ აისახა სოცქსელებში) მიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მსგავსი ჩანაწერები ბევრი სხვა პოლიტიკოსის მონაწილეობით. ალბათ, სწორედ ეს არის ამ სკანდალის ყველაზე მძიმე შედეგი, რადგან ერთია ცალკეული მოღვაწეების გაკიცხვა და სხვა — უნდობლობა და ზიზღი მთელი პოლიტიკური კლასის მიმართ.**

**მეორე კვირაა, ქვეყანას ფარული ჩანაწერების სკანდალი აზანზარებს. ახალი ფირების გამოქვეყნებამ ქართულ პოლიტიკაში შეიძლება ისეთივე ნგრევა გამოიწვიოს, როგორიც თორმეტბალიანმა მიწისძვრამ.**

# თავდაცვის მინისტრის ჭუჭყიანი თეფშები

მედიასა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, მთავარი ეჭვმიტანილი ისევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არაფრად ჩააგდო ის ფაქტი, რომ ფირების გამავრცელებლები ცდილობენ, თავი სააკაშვილის მოწინააღმდეგეებად წარმოაჩინონ. გასაკვირი ამაში არაფერია, მსგავს ეპიზოდებში „სხვისი დროშის“ გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. საინტერესოა, შეესაბამება თუ არა ეს ვარაუდი სიმართლეს, აძლევს კი ხელს ნაციონალებს ეს სკანდალი?

მთავარი სამიზნე ამ ეტაპზე **ირაკლი ალასანია** და მისი პარტიაა. მას შემდეგ, რაც „გაერთიანებული დემოკრატები“ ოპოზიციაში გადავიდნენ, ცხადი შეიქნა, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, „ნაციონალური მოძრაობის“ ელექტორალურ ნიშაში შეიჭრნენ. რა თქმა უნდა, **ამ ეტაპზე ისინი ვერ წაართმევენ „ნაციონალებს“ ტრადიციულ ელექტორატს, ანუ მათ, ვისაც ხუმრობით „სააკაშვილის მოწმეთა სექტას“ ეძახიან, მაგრამ „გაერთიანებული დემოკრატები“, ალბათ, ერთ-ერთი სასურველი ვარიანტია მერყევი ამომრჩევლებისთვის, რომლებიც ეძებენ პარტიას დაახლოებით ისეთივე ლოზუნგებითა და იდეური ორიენტირებით, როგორიც „ნაცმოძრაობას“ აღმასვლის პერიოდში ჰქონდა (და, ამავე დროს, ხელები სისხლში გასვრილი არ აქვს).** უხეშ ფორმულირებებს თუ გამოვიყენებთ, ამ შემთხვევაში საუბარია „ლატენტურ ნაციონალებზე“, რომლებიც „გაუმჯობესებულ მიშას“ ეძებენ.

შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია — ერთი მხრივ, **სააკაშვილს არ სჭირდება ალასანია, როგორც კონკურენტი არჩევნებზე, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან სჭირდება, როგორც პარტნიორი ხელისუფლებაში დაბრუნების პროცესში.** „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, სავარაუდოდ, აცნობიერებენ, რომ „მაიდნის“ აგორებას და სხვა მომიჯნავე მეთოდების გამოყენებას შეიძლება ფართო კოალიციის ფორმირება დასჭირდეს. თუ მარტონი მხოლოდ ჯუჯა სატელიტ ორგანიზაციებთან ერთად იმოქმედებენ, დიდი ალბათობით, კრახს განიცდიან. **გამორიცხული არ არის, რომ „ნაციონალებს“ სურთ, ალასანია საკუთარი სცენარის ფარგლებში მარიონეტივით გამოიყენონ.**

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, მიუხედავად იმისა, მოარგებენ თუ არა მას „ფერადი რევოლუციის“ შეფუთვას, ძალიან სარისკო რამ არის. მსგავსი ავანტიურა ირაკლი ალასანიას არაფერში სჭირდება, მას აქვს ყველა სასტარტო პირობა იმისთვის, რომ პარლამენტში ასე თუ ისე ფრაქცია შეიყვანოს. შემდეგ მასზე დაყრდნობით მოახდინოს იდეოლოგიურად მონათესავე მცირე ჯგუფების კონსოლიდაცია, ეტაპობრივად დაეპატრონოს ბუნებრივი კვდომის პროცესში მყოფი „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ მემკვიდრეობას (იმ ნაწილს, რომელსაც ღირებულად ჩათვლის) და მომავალ არჩევნებში საკუთარი თავის წინაშე გაცილებით ამბიციური ამოცანები დააყენოს. ამ შემთხვევაში დრო მისი მოკავშირეა, მაგრამ სჭირდება კი „უვარგის მიშას“, რომ „გაუმჯობესებულმა მიშამ“ ყოველივე ეს გააკეთოს? **მისთვის გაცილებით მომგებიანია, მიწასთან გაასწოროს ალასანიას რეიტინგი ან გამოიყენოს ის, როგორც ინსტრუმენტი „მაიდნის“ აგორების საქმეში. ან, სულაც, აპრიორი განწირული, გადატრიალების ავანგარდში ჩააყენოს, შემდეგ კი მიატოვოს და ასეთი მაკიაველისტური კომბინაციის გამოყენებით საშიში კონკურენტი გაანადგუროს. როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე ვარიანტზე მიხეილ სააკაშვილი უარს, სავარაუდოდ, არ იტყვის.**

11 მარტს დაიწყო ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება. ალასანიას ძალიან უხეშად მიუთითეს იმაზე, რომ მისი პარტიის ავტორიტეტისა და რეიტინგის განადგურება არც ისე რთული ამოცანაა. **ერთ-ერთი ფირის დასკვნით ტიტრებში შანტაჟისტები მიანიშნებენ, რომ სხვა მაკომპრომეტებელ ფირებსაც ფლობენ და მოითხოვენ პოლიტიკიდან იმ ადამიანების წასვლას, რომლებიც მსგავს მასალებში ფიგურირებს. აქ შეიძლება დაისვას საინტერესო კითხვა: თუ ასეთი ფირები მართლაც აქვთ და „გაერთიანებული დემოკრატების“ სრული დისკრედიტაცია სურთ, რატომ არ გამოაქვეყნეს ყველაფერი ერთდროულად? იქნებ ისინი ცდილობენ, ალასანია დააშანტაჟონ და გარკვეული ნაბიჯები გადაადგმევინონ? შესაძლოა, სწორედ ესაა მანიპულატორების მთავარი მიზანი და არა „გაერთიანებული დემოკრატების“ გაძევება პოლიტიკიდან.**

მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება გვაქვს ამა თუ იმ პარტიის ან პიროვნების მიმართ, ბინძური შანტაჟის მსხვერპლს ყველა წესიერმა ადამიანმა ხელი უნდა გაუწოდოს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს. მაგრამ ამ ეპიზოდის პოლიტიკურ შემადგენელზე საუბრისას, ალბათ, ურიგო არ იქნება, ერთი დიალოგის გახსენება, რომელიც ამერიკელ მისტიკოს მწერალს, ეზოტერიკოსს, ფილოსოფოსსა და ანთროპოლოგ **კარლოს კასტანედასა** (მისი მტკიცებით) და მის სულიერ მოძღვარს — **დონ ხუანს** შორის გაიმართა:

„შემიძლია გითხრა ერთი რამ: მეომარს ვერ მოიხელთებ. ის არასოდეს დგას შუაგზაზე იმის მოლოდინში, რომ ვილაც ბოლოს მოუღებს. მას გაუთვალისწინებელი სიტუაციის შექმნის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაჰყავს. ის, რასაც ადამიანები შემთხვევითობას უწოდებენ, თითქმის ყოველთვის შეიძლება იოლად აიცილო თავიდან. როგორც წესი, მსგავსი რამ სულელებს ემართებათ, რომელთა ცხოვრებაც გაუთავებელი უთავბოლობაა.

— მაგრამ ხომ შეუძლებელია, 24 საათი სტრატეგიულად იფიქრო და იცხოვრო? — წარმოიდგინე, მაგალითად, რომ ვილაც მძლავრი სნაიპერული შაშხანით ჩაგისაფრდა. მას შეუძლია ნახევარი კილომეტრის მანძილიდან გაგანადგუროს. რას გააკეთებ ასეთ სიტუაციაში?

დონ ხუანმა უნდობლად შემომხედა და გადაიხარხარა.

— და მაინც, რას გააკეთებ? ... ასეთ სიტუაციაში არანაირი სტრატეგია არ გიშველის.

— მიშველის, თანაც როგორ! თუ ვინმე სნაიპერული შაშხანით ჩამისაფრდება, უბრალოდ, მე იქ არ ვიქნები“.

**ირაკლი ალასანია შეიძლება კარგი პიროვნება იყოს, მაგრამ უშიშროების მინისტრის მოადგილის პოსტზე მან, როგორც ჩანს, ვერაფერი ისწავლა. უშიშროების გამოცდილი მალალჩინოსანი, დონ ხუანისა არ იყოს, 99%-იანი ალბათობით, აპრიორი არ მოხვდება იმ კუთხეში, რომელშიც ალასანია მიამწყვდიეს.** „24 საათი სტრატეგიულად“ რომც არ ფიქრობდეს, კომპრომატის მსგავსი საფრთხეების წინმსწრები განჭვრეტა და მათი განეიტრალებისთვის პრევენციული ნაბიჯების გადადგმა მაინც ეხერხება; ნამდვილ პროფესიონალს ასე ვერ მოექცევიან. შესაძლოა, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ალასანია ჯერჯერობით დილეტანტია, როგორც ამ სფეროში, ისე პოლიტიკაში. თუმცა, ალბათ, უმჯობესი იქნება, ამ თემაზე საუბარს მაშინ დავუბრუნდეთ, როდესაც (და თუ) შანტაჟისტებს გამოავლენენ და დასჯიან.

ბევრი პოლიტიკოსი, მათ შორის, პრეზიდენტი **მარგველაშვილი**, ცდილობს ამ სკანდალთან დაკავშირებული დაძაბულობა განმუხტოს, ზოგიერთი კომენტატორი კი გვარწმუნებს, რომ ამ ფირებზე არაფერი ხდება ისეთი, რაც ხელს შეუშლის სავარაუდო ფიგურანტების დარჩენას ქართული პოლიტიკის ოლიმპოზე, მაგრამ რეალურად სიტუაცია, ალბათ, მაინც სხვაგვარია — საქართველო საკმაოდ კონსერვატიული ქვეყანაა და აქ მსგავსი ფირების გამოქვეყნება პოლიტიკური კარიერის გარანტირებულ დასრულებას ნიშნავს. **სკანდალმა მძლავრად დაარტყა არა მხოლოდ კონკრეტულ ფიგურებს, არამედ პოლიტიკურ ელიტას მთლიანად. ფირების გამავრცელებლებმა თავისი მინიშნებებით მოახერხეს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის (ეს მკაფიოდ აისახა სოცქსელებში) მიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მსგავსი ჩანაწერები ბევრი სხვა პოლიტიკოსის მონაწილეობით. ალბათ, სწორედ ეს არის ამ სკანდალის ყველაზე მძიმე შედეგი, რადგან ერთია ცალკეული მოღვაწეების გაკიცხვა და სხვა — უნდობლობა და ზიზღი მთელი პოლიტიკური კლასის მიმართ.** ის საქართველოში აქამდეც არსებობდა, მაგრამ ბოლო დღეებში განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო. **ასეთი დამოკიდებულება პოლიტიკოსების მიმართ (მიუხედავად იმისა, დაიმსახურეს თუ არა) ქვეყნის შინაგანი მთლიანობის რღვევისა და მისი დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.**

იყო ასეთი ბრიტანელი პოლიტიკოსი — **ჯონ დენის პროფიუმო**, შესანიშნავი, უგანათლებულესი პიროვნება, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში სამაგალითო სიმამაცე გამოავლინა. 25 წლისა თემთა პალატის ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი გახდა, წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებდა, 1960-ში კი თავდაცვის მინისტრად დანიშნეს. 1963 წლის გაზაფხულზე საზოგადოებისთვის ცნობილი შეიქნა, რომ ის ცოლს მსუბუქი ყოფაქცევის გოგონასთან ღალატობდა, რომელიც საბჭოთა მზვერავს ხვდებოდა. საშინელი სკანდალი პროფიუმოს გადადგომით დაგვირგვინდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ისტორიაში



**«ნაცმოძრაობა» სატელიტი ორგანიზაციების მეშვეობით ცდილობს, მთავარ დანაშაულად ფირების გავრცელება წარმოაჩინოს, ხოლო მათი გადაღება სააკაშვილის მმართველობის წლებში უკანა პლანზე გადაწიოს. არადა, რომ არ გადაეღოთ, ცხადია, არც გავრცელდებოდა**

კულმინაციის შემდეგ მოხდა. ეს ფინანსურად უზრუნველყოფილი ადამიანი ორმოცი წლის განმავლობაში საკუთარი სურვილით რეცხავდა ჭურჭელს (მეტიც, წმენდდა უნიტაზებს) უმწეოთა თავშესაფარში და ყოფილ კოლეგებს კუდში დასდევდა, რათა გაჭირვებულებისთვის დახმარება მოეპოვებინა. ჯონ პროფიუმო სიცოცხლის ბოლომდე ასე ემსახურებოდა ქვეყანას და საზოგადოებას, რომლის იმედები თავის დროზე ვერ გაამართლა. **1975-ში დედოფალმა ჭურჭლის ამ მრეცხავს ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორის წოდება მიანიჭა.**

აქ, ალბათ, ერთი ძალიან მტკივნეული კითხვა დავსვათ: **გვჯერა თუ არა, რომ თუნდაც ერთი პოლიტიკოსი საქართველოში ასე მოიქცევა?**

გამორიცხული არ არის, მსჯელობამ ამ თემაზე რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, **შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ელიტის სისუსტე, გაუნათლებლობა და ღირსების არქონაა. ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, მხრებს აიჩეჩავდა ან გადაიხარხარებდა, თუ შესთავაზებდნენ, თავი ჯონ პროფიუმოს როლში ჭუჭყიანი თეფშით ხელში წარმოედგინათ. ისინი, ალბათ, უბრალოდ, ვერ გაიგებდნენ, რა თემებზეა საუბარი.**

რაც შეეხება კონკრეტულ სკანდალს, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ნიუანსი — **„ნაცმოძრაობა“ სატელიტი ორგანიზაციების მეშვეობით ცდილობს, მთავარ დანაშაულად ფირების გავრცელება წარმოაჩინოს, ხოლო მათი გადაღება სააკაშვილის მმართველობის წლებში უკანა პლანზე გადასწიოს. არადა, რომ არ გადაეღოთ, ცხადია, არც გავრცელდებოდა.** ზოგი, ალბათ, იტყვის, რომ ივანიშვილის ხელისუფლება მეტის ღირსია, რადგან თავის დროზე არ დასაჯა ყველა, ვინც ამ ამაზრზენ სისტემურ დანაშაულში მონაწილეობდა. 2-3 წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „ნაცმოძრაობა“ ფარული ჩანაწერების საქმეში შეეცდებოდა, პროკურორის როლი მოერგო. ეს კიდევ ერთი კარგი გაკვეთილია მათთვის, ვინც ჩათვალა, რომ სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენების და მათი ამბიციების ლიკვიდაციას ახალი ხელისუფლება ავტომატურ რეჟიმში, საზოგადოების ზეწოლის გარეშე შეძლებდა. თუ მათ სურთ, სიტუაცია შეცვალონ, პოზიცია ძალიან მკაფიოდ და, ალბათ, ხმაურიანად უნდა გამოხატონ.

**კონსპიროლოგიური თეორიების მოყვარულნი „ცხელ კვალზე“ სრულიად ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს ამუშავებენ. ერთნი პირდაპირ ადანაშაულებენ ერდოღანს, მეორენი აქაც, როგორც პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებში, „რუსულ კვალს“ ხედავენ. ასეა თუ ისე, ამ ტერაქტებში მეტისმეტად ბევრი დამთხვევაა და ტერაქტიც იმის ტერაქტია, რომ შიში დანერგოს, შიშს კი, როგორც ვიცით, დიდი თვალები აქვს.**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არ არს ბოროტება თვინიერ ტერაქტისა და ერდოღანია მოციქული მისი

**18 მარტს ბელგიის პოლიციამ ბრიუსელის მოლენბეკის კვარტალში პარიზის გასული წლის ნოემბრის შემზარავი ტერაქტის ძირითადი ფიგურანტი სალაჰ აბდესლამი დააკავა. იგი ამ ტერაქტის ლოჯისტიკას ხელმძღვანელობდა. ქირაობდა ავტომობილებს, სასტუმროებში ოთახებს, სამი თვითმკვლელი ტერორისტი სტადიონ „სტად დე ფრენსზე“ სწორედ მან მიიყვანა.**



იმავე 18 მარტს თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას მწვავედ გააკრიტიკა ევროკავშირი და პირდაპირ დასდო ბრალი ტერორიზმის მხარდაჭერაში. მას მხედველობაში ჰქონდა ქურთული ორგანიზაციები, რომლებსაც თურქეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ ტერაქტებში ადანაშაულებს. ქურთები ერდოღანმა ევროპის „უბეში ჩასმულ გველის წიწილებს“ შეადარა.

**„ევროკავშირის ქვეყნები თავქარიანივით იქცევიან და თითქოს დანაღმულ ველზე ცეკვავენ. არ არსებობს მიზეზი, რომ ნაღმი ბრიუსელშიც არ აფეთქდეს. თქვენ გველი გამოზარდეთ უბეში, რომელიც ნებისმიერ წამს დაგგესლავთ“...**

34 დაღუპული, ათეულობით დაჭრილი — ასეთია ბრიუსელის აეროპორტ ზავენტემსა და მეტროპოლიტენის სადგურებში მომხდარი ოთხი აფეთქების სამწუხარო სტატისტიკა. დაჭრილთა შორის სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრიც აღმოჩნდა. საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ **ლევან ბერძენიშვილმა** დაგვამშვიდა, რომ ბრიუსელში მყოფი 17 ქართველი დეპუტატი და პარლამენტის აპარატის თანამშრომლები უსაფრთხოდ არიან.

„პარლამენტის წევრები იმყოფებიან ბრიუსელში, ჩემი აპარატიდანაც არიან წასულები. მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ ძალიან ახლოს იმყოფებიან იმ ადგილთან, სადაც მეტროში აფეთქება მოხდა. ჩვენი წარმომადგენლები არ დაშავებულან და მათთან დაკავშირებით ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.“ – განუცხადა ჟურნალისტებს ლევან ბერძენიშვილმა.

**ქართველი პოლიტიკოსებისთვის კი თითქოს არაფერი იცვლება. ისინი კვლავ საკუთარ და სხვის თეთრეულში იქექებიან და ვითარებასთან აშკარად შეუსაბამო რიტორიკას განაგრძობენ. იმედია, ის 17 დეპუტატი ახლა მაინც ხვდება, რომ რეალური სამყარო სხვაგვარად არის მოწყობილი და დაზეპირებულ ფორმულებსა და შელოცვებს არ ემორჩილება.**

ევროპარლამენტის შენობა, რომელშიც სხდომა იმართება, მეტროპოლიტენის სადგურ მალბეკთან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს. დაახლოებით ამდენივე მანძილია ევროკომისიის შენობამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფეთქება მეტროში ევროკომისიასა და ევროპარლამენტს შორის მოხდა.

**სააკაშვილი** რის სააკაშვილი იქნებოდა, ბრიუსელის ტერაქტთანაც არ მოეძებნა „ბმა“: „ჩემმა მეუღლემ და ვაჟმა რამდენიმე საათი გაატარეს იმ ტერმინალში ბრიუსელის აეროპორტში, რომელიც დღეს დილით ააფეთქეს ტერორისტებმა, ისინი ტერაქტამდე რამდენიმე საათით ადრე გამოფრინდნენ. როცა მე ამ ტრაგედიის შესახებ წავიკითხე, უკვე ვიცოდი, რომ მათ გამოფრენა მოასწრეს, მაგრამ მაშინვე ვიფიქრე იმ მსხვერპლის ახლობლებსა და ნათესავებზე, რომლებიც ვერ გადარჩნენ. ეს საშინელი ტრაგედიაა და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არ არის უკანასკნელი. ფაქტის კონსტანტაციაა საჭირო, რომ სხვა მიზეზებთან ერთად ეს არის ბიუროკრატიის, სისუსტისა და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღების არცოდნის ბრალი“, — წერს „მკაცრი გადაწყვეტილებების მიღების მცოდნე“ მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში.

ბრიუსელში ტერორისტული საფრთხის უმაღლესი დონე გამოცხადდა. ბელგია-საფრანგეთის საზღვარი ჩაიკეტა. ამის შესახებ ფრანგული მედია იუწყება. საზღვრის გადაკვეთა ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებას აეკრძალა.

საფრანგეთის მასშტაბით, სტრატეგიულ ობიექტებზე, მათ შორის სადგურებზე, აეროპორტებსა და საზღვრებზე მობილიზებულია პოლიციის დამატებითი ძალები. ამის შესახებ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ბერნარ კაზნევმა** განაცხადა.

ბრიუსელში მომხდარი თავდასხმების გამო ევროკავშირის ყველა სტრუქტურაში დაგეგმილი შეხვედრა გაუქმდა. ევროპული სტრუქტურების ყველა შენობასთან წვდომა შეზღუდულია. ამის შესახებ ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრისტალინა გეიორგიევამ განაცხადა. მისი ცნობით, ევროკავშირის ინსტიტუტების შენობებში შესვლა მხოლოდ თანამშრომლებისთვის არის ნებადართული.

„ევროკავშირის ინსტიტუტები ერთობლივად მუშაობენ პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.“ — ნათქვამია ევროკომისიის განცხადებაში.

ბელგიის არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. შესაბამისი გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ბრიუსელში მომხდარი თავდასხმების შემდეგ მიიღო.

**თურქეთი ერდოღანის ხელით მუდმივად ცდილობს, გლობალური საფრთხეები საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს და ტერორისტულ აქტამდე ოთხი დღით ადრე სწორედ ბრიუსელში მოსალოდნელ ტერაქტებზე მითითება ნამდვილად აჩენს ეჭვებს**

**აეროპორტებში, ანტვერპენის პორტსა და ბელგიის ატომურ ელექტროსადგურებზე უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია. ბრიუსელში შეწყდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, ზავენტემის აეროპორტი დაიხურა და პოლიცია აკონტროლებს, დაიხურა ბრიუსელის მეტროპოლიტენი და რკინიგზა, მუშაობა შეწყვიტეს მუზეუმებმა. შეჩერებულია ევროსტარის მატარებლების მიმოსვლა.**

ბელგიის მთავარმა პროკურორმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბრიუსელის ზავენტემის აეროპორტში თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი. აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე ბრიუსელის აეროპორტში ისმოდა სროლა და შეძახილები არაბულ ენაზე.

ბელგიის პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია, რომ უწყება სწავლობს შესაძლო კავშირს ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროპოლიტენში მომხდარ აფეთქებებს შორის.

ბრიუსელში მომხდარი აფეთქებების შემდეგ ევროპული ქვეყნები უსაფრთხოების ზომებს აძლიერებენ. უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია ავსტრიის აეროპორტებში, რომის ფიომიჩინოს საერთაშორისო აეროპორტში, ფრანკფურტისა და ლონდონის აეროპორტებში. უსაფრთხოების ზომები გააძლიერეს ბელგიის ანტვერპენის აეროპორტში და დედაქალაქ ბრიუსელში.

ბელგიის ხელისუფლება მოსახლეობას სახლში დარჩენისკენ მოუწოდებს.

ბელგიის პრემიერმინისტრმა **შარლ მიშელმა** პირველი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ხელისუფლება დიდი ყურადღებით აკვირდება სიტუაციას.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა **მარტინ შულცმა** ბრიუსელში მომხდარი თავდასხმები მკაცრად დაგმო და ბელგიელ ხალხს თანაგრძნობა გამოუცხადა: „ამ საზარელი თავდასხმების შემდეგ ჩემი ფიქრები ბრიუსელთან და მის მცხოვრებლებთანაა. დარჩით უსაფრთხო ადგილას და ხელისუფლების ინსტრუქციებს მიჰყევით“, — ნათქვამია მარტინ შულცის განცხადებაში.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა **დონალდ ტუსკმა** ევროსაბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ბრიუსელში მომხდარ თავდასხმებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა: „შოკირებული ვარ დღეს დილით ზავენტემის აეროპორტსა და ბრიუსელის ევროპულ რაიონში მომხდარი აფეთქებებით, რომელსაც რამდენიმე უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, სხვა ბევრი კი დაშავდა. თანაგრძნობას ვუცხადებ დაღუპულთა ნათესავებსა და მეგობრებს“.

დონალდ ტუსკის თქმით, ევროკავშირი ყველაფერს გააკეთებს, რათა დაეხმაროს ბრიუსელს, ბელგიასა და მთელ ევროპას წინააღმდეგობა გაუწიოს ტერორისტულ საფრთხეს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **დევიდ კემერონი** ბრიუსელის აეროპორტში მომხდარ აფეთქებებს ეხმიანება: „ბრიუსელში მომხდარი მოვლენებით შოკირებული და შეშფოთებული ვარ. დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია“.

**ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ბელგიის სადაზვერვო სამსახურმა ქვეყანაში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ ინფორმაცია წინა დღეს, 21 მარტს მიიღო, თუმცა ზუსტი დრო და ადგილი მათთვის ცნობილი არ იყო.**

პასუხისმგებლობა ბრიუსელის ტერაქტებზე „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკისრა. **ერდოღანის „წინასწარმეტყველების“ კიდევ ერთი შედეგი კი ის არის, რომ ანკარაში ბელგიის საელჩო დაიხურა.**

კონსპიროლოგიური თეორიების მოყვარულნი „ცხელ კვალზე“ სრულიად ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს ამუშავებენ. ერთნი პირდაპირ ადანაშაულებენ ერდოღანს, მეორენი აქაც, როგორც პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებში, „რუსულ კვალს“ ხედავენ. ასეა თუ ისე, ამ ტერაქტებში მეტისმეტად ბევრი დამთხვევაა და ტერაქტიც იმის ტერაქტია, რომ შიში დანერგოს, შიშს კი, როგორც ვიცით, დიდი თვალები აქვს. **სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თურქეთი ერდოღანის ხელით მუდმივად ცდილობს, გლობალური საფრთხეები საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს და ტერორისტულ აქტამდე ოთხი დღით ადრე სწორედ ბრიუსელში მოსალოდნელ ტერაქტებზე მითითება ნამდვილად აჩენს ეჭვებს.**

„რუსეთის კვალზე“ ლაპარაკი არც ღირს (როგორც ქართველ პოლიტიკოსთა კომპრომატების შემთხვევაში), მხოლოდ იმის გახსენება შეიძლება, რომ **ტერორიზმთან ბრძოლას ვერც ერთი ქვეყანა ცალკე ვერ გაუმკლავდება. ამისთვის ერთობლივი მოქმედებაა საჭირო და კიდევ სხვა ბევრი რამ.**

სწორად შენიშნა სოციალურ ქსელში **ცოტნე გამსახურდიამ:** „ევროპაში მოგზაურობა სულ უფრო საშიში ხდება... ფაქტია, რომ უსაფრთხოების სამსახურები თავს ვერ ართმევენ გამოწვევებს და ეს მხოლოდ მათი ბრალი არ არის. ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა უძლურია ისეთი ვერაგი და კარგად ეშელონირებული, კონსპირირებული მტრის წინააღმდეგ, როგორიც ტერორიზმია. დაავიწყდა ევროპას ტყვია-წამლის სუნი, ძალიან დიდი ხანია, ნებივრობენ“...

საზოგადოდ, ევროპა იმკის იმის შედეგებს, რაც აუცილებლად დადგებოდა ერაყში, ლიბიაში, ავღანეთში, სირიაში ინტერვენციისა და სრულიად გაუაზრებელი მოქმედებების გამო. სხვა ქვეყნებში საკუთარი პოლიტიკური მოდელის დამკვიდრების მცდელობა ამავე მოდელის კრიზისის მაჩვენებელი და გამშიშვლებელი აღმოჩნდა.

ბრიუსელში ნამდვილად ვერ მოხერხდება „კარგ“ და „ცუდ“ ტერორისტებად დაყოფა, ან „ზომიერ ოპოზიციას“ შერაცხვა, როგორც ამას სირიაში აკეთებდნენ აშშ და მისი პარტნიორები. საზოგადოდ კი, **ბრიუსელის საშინელმა ტერაქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ამერიკის ნებისმიერი შტატი დღეს უფრო სუვერენულია, ვიდრე ევროკავშირი მთლიანად და მისი წევრი სახელმწიფოები ცალ-ცალკე. და ამაში არაფერია სასიხარულო. თუკი საკუთარი სუვერენიტეტი გტკივა, ჩვენზე ძლიერი სახელმწიფოების დესუვერენიზაცია კარგს არაფერს გვიქადის!**

წარმოიდგინეთ, **როგორი მოსასმენია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მომლოდინე ქართველი ემიგრანტისთვის (ან აქ მყოფისთვის) ბელგიისა და საფრანგეთის ხელისუფალთა მოწოდება მოსახლეობის მიმართ: „დარჩით სახლებში!“**

ან როგორია, უცქერდე პრესკონფერენციაზე ატირებულ ევროპის საგარეო ურთიერთობათა კომისარს, როდესაც იმედის თვალით შეჰყურებ ევროპას.

ტერორისტების მიზანი მიღწეულია. ევროპაში შიშისა და დაუცველობის განცდამ დაისადგურა. ევროპის ქვეყნებმა საზღვრები დაკეტეს, მიმდინარეობს მასობრივი ჩხრეკა. ევროპული ცხოვრების წესი იძულებით იცვლება. როდესაც სადარბაზოდან გამოსულ ევროპელს ავტომატიანი პოლიციელი განმარტებების გარეშე მოკლედ უბრძანებს: „უკან შებრუნდი!“ ეს უკვე აღარ არის ჩვეული ევროპა. ტერორისტული აქტით გამარჯვებული არავინაა — არც აფეთქებული თვითმკვლელი და არც ცოცხლად დარჩენილები.

**ერთადერთი, ვინც ნამდვილად იხეირა ამ ტერორისტული აქტის ფონზე, გიორგი „მასტერა“ დგებუაძეა, რომელიც ტერორის შესაძლებლობის წინაშე მდგომი ჰოლანდიიდან უსაფრთხო ქართულ ციხეში ჩამოიყვანეს.**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროკავშირი და მსგავსი სტრუქტურები ასაზრდოებენ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც, ფაქტობრივად, უცხო ქვეყნის აგენტები არიან და ყველანაირად ცდილობენ ქართული სახელმწიფოებრიობის, ჩვენი ეკლესიის, ჯარისა და ყველა იმ ინსტიტუტის დეგრადაციას, რომლებიც ქვეყნის სიძლიერის საფუძველთა საფუძველია“.**

# «ჩვენ იმიტომ არ მიგვიცია «ოცნებისთვის» ხმა, რომ ძმებ ბერძენიშვილებს პარლამენტში მამათმავლების დროშით ერბინათ»

**განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას საქართველოს საჯარო სკოლებში საგნების — „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ — სწავლების შესახებ სასულიერო პირები და საზოგადოების ნაწილი აღშფოთებით შეხვდნენ. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, სასულიერო პირებსა და თანამოაზრეებთან ერთად, სკოლებში ახალი საგნების სწავლებას ეწინააღმდეგება, ვინაიდან ამ ყველაფრის მიღმა მომავალი თაობის გარყვნის საფრთხეს ხედავს. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ ამ საკითხზე სპეციალური მიმართვაც მოამზადა სახელწოდებით „გადავარჩინოთ მომავალი თაობა“, რომელსაც მშობლებს ურიგებს და მოუწოდებს მათ, ამ ახალი საგნების სკოლებში სწავლება არ დაუშვან.**

„არ წყდება ვნებათაღელვა სკოლებში ახალი საგნების — „მე და საზოგადოება (III-IV კლასი) და „ჩვენი საქართველო“(V-VI კლასი) შემოტანის გამო. ხელისუფლების, განათლების სამინისტროს მიზნები სრულიად მკაფიოდ გამოჩნდა ამ საგნების სტანდარტებსა და სასწავლო გეგმებში, რომლებიც მან 2015 წლის 6 ივლისს გამოაქვეყნა და რომელიც სრულ თანხვედრაშია ევროკომისიის რეკომენდაციებთან (CM/Rec [20106] იმპლემენტაციის მონიტორინგი, საქართველო. 2012). **ეს მიზნებია: მოსწავლეებში ყველანაირი უმცირესობის, მათ შორის, ჰომოსექსუალიზმის, საზოგადოდ, ლგბტთა მიმართ ტოლერანტობის, მიმღებლობისა და პატივისცემის განვითარება, მოზარდის დაპირისპირება ოჯახთან და ოჯახურ ტრადიციებთან, ეროვნული ცნობიერებისა და რწმენის, თვითმყოფადი კულტურისა და ტრადიციული ღირებულებების ნგრევა, ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლება, რომელიც, ევროპული სტანდარტებით, უსაფრთხო სექსის სწავლებასაც მოიცავს“,** — ნათქვამია **„**მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მიერ გავრცელებულ მიმართვაში.

„საქართველო და მსოფლიომ“ ზემოაღნიშნულ საკითხზე რამდენიმე თვის წინათ ვრცელი პუბლიკაცია გამოაქვეყნა, რომელშიც „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელი **ავთანდილ უნგიაძე** პედაგოგთა გადამზადებისა და სამოქალაქო განათლების პროგრამზე დაწვრილებით მოგვითხრობდა და განათლების სამინისტროს გეგმებს ამხელდა. პედაგოგებისთვის განკუთვნილ სტანდარტებში, კერძოდ კი, პედაგოგთა გადასამზადებელ სახელმძღვანელოებში — „კომპასი“ და „კომპასიტო“ — მითითებული იყო, როგორ უნდა ემოქმედა პედაგოგს მოსწავლეებთან და ე.წ. როლური თამაშების მეშვეობით მოსწავლეს განსხვავებული ორიენტაციის პირის როლიც შეესრულებინა.

მაგრამ, როგორც ავთანდილ უნგიაძე ამბობს, განათლების სამინისტრომ ეკლესიის წარმომადგენლების აღშფოთება არ გაითვალისწინა და, სახელმძღვანელოებში შეტანილი ცლილებების მიუხედავად, სკოლებში გარყვნილების დანერგვის საფრთხე მაინც არსებობს.



**«განათლების მინისტრი, ქალბატონი თამარ სანიკიძე მატყუარაა!»**

**ავთანდილ უნგიაძე, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელი:**

— მართალია, საზოგადოებისა და ეკლესიის პროტესტის შემდეგ სტანდარტებიდან რალაც ცნებები ამოიღეს, საფრთხეები მაინც რჩება. უბრალოდ, ახლა ეს ყველაფერი მაქსიმალურად შენიღბეს. მაგალითად, ნათქვამია, რომ **მოსწავლეს უნდა ასწავლონ „შემწყნარებლობის გამოვლენა განხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების ადამიანების მიმართ“. მიუხედავად მოთხოვნისა, სამინისტრო არ ცვლის ზოგად ფრაზას „განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანები“ და არ აკონკრეტებს, რა ჯგუფები განიხილება მასში, რაც ჩვენ სამართლიან ეჭვებს აღგვიძრავს.** როდესაც საკომიტეტო განხილვაზე ვიკითხეთ, რას გულისხმობდნენ ამ განსხვავებულ შესაძლებლობებში, ამომწურავი პასუხი ვერ მივიღეთ.

**150 სასულიერო პირმა მოაწერა ხელი ჩვენს მიმართვას, რომელსაც მშობლებს ვურიგებთ, რათა მათ იცოდნენ, რომ ქალბატონი მინისტრი ცრუობს და ხელისუფლებაც იტყუება, როდესაც ამბობს, რომ საფრთხე არ არსებობს.** ისინი ასრულებენ იმ დაკვეთას, რომელიც ქვეყნის გარედან მიიღეს. ეს ყველაფერი მომდინარეობს ევროკავშირის რეკომენდაციებიდან, რომლის მიზანიც არის ქვეყანაში ლგბტ პირების მიმართ შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის დანერგვა; ეს არის გარედან თავსმოხვეული დაკვეთა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს.

**— თუმცა, ბატონო ავთანდილ, განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ მსგავსი არაფერი მოხდება და თქვენი შიში გადაჭარბებულია...**

— ეს სიცრუეა! მე პირდაპირ ვაცხადებ: განათლების მინისტრი, ქალბატონი თამარ სანიკიძე მატყუარაა!

მინისტრი, რომლის დროსაც ასეთი სტანდარტები დაიბეჭდა, თანამდებობაზე არ უნდა იყოს!

* * *

**საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი საგნების სწავლებას სასულიერო პირებიც აპროტესტებენ. „მართლმადიდებელ მშობლეთა კავშირის“ მიერ მომზადებულ მიმართვას, 150-მდე სასულიერო პირი აწერს ხელს. ჩვენ რამდენიმე მათგანს დავუკავშირდით და აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.**



**«სკოლებში ევროკავშირისთვის საინტერესო და ჩვენთვის მიუღებელი დირექტივებისა და თემების დანერგვა მიმდინარეობს»**

**დეკანოზი დავით ლასურაშვილი, სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი:**

— ამ საგნების სკოლებში სწავლების არანაირი საჭიროება არ არსებობს. მით უფრო დღეს უკვე ყველა მიხვდა, რომ სინამდვილეში **სკოლებში საგზაო მოძრაობის წესებისა თუ კბილის ჯაგრისის გამოყენების სწავლების უკან ევროკავშირისთვის საინტერესო და ჩვენთვის მიუღებელი დირექტივებისა და თემების დანერგვა მიმდინარეობს.**

**ამ საკითხზე პატრიარქმა თავისი პოზიცია გამოხატა, მიტროპოლიტმა იოანემაც რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, ბრიფინგიც გამართა, რადგან განათლების სამინისტროს პოზიციით გაოგნებულია.**

მართალია, სახელდახელოდ „გასუფთავებული“ ვერსიები გაუგზავნეს სკოლებს, მაგრამ იქაც **არის გარკვეული ტერმინები დარჩენილი, რომლებითაც შეიძლება შემდგომში ბავშვებს ასწავლონ ის, რის სწავლებასაც ევროკავშირი და ევროკომისია საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს.**

გამოქვეყნდა ევროკომისიის დოკუმენტი საქართველოს შესახებ, რომელშიც ჩაიწერა, რომ, რადგან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მამათმავლობას ცოდვა უწოდა, ის თურმე სიძულვილის ენით საუბრობს და ამაზე არავის, არც ერთ სახელმწიფო მოხელეს, რეაქცია არ ჰქონია. მეტიც, ევროკომისიის დასკვნას ახლავს საქართველოს მთავრობის გამაოგნებელი პასუხიც: ლგბტ — ეს ტერმინი რომ არ არის ოფიციალურ დოკუმენტებში, არ ნიშნავს, ამ საკითხზე არ ვზრუნავთო. ანუ გამოდის, რომ საქართველოს მთავრობა, ფაქტობრივად, ეუბნება ევროკავშირს, ეს ჩვენს მოსახლეობას ვატყუებთ, რომ არაფერი ხდება, თორემ სინამდვილეში, რასაც გვეუბნებით, ყველაფრის შესრულებას ვაპირებთო.

* * *

დოკუმენტში ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ჰომო თუ ტრანსფობიური დისკურსის მიმართ ნათქვამია, რომ **ევროკომისია იძლევა რეკომენდაციას, გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ასევე, უნდა შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობერების ასამაღლებლად.** „საქართველოში არ არის აღიარებული რაიმე სახის ერთსქესიანი პარტნიორობა. ეს იწვევს სხვადასხა სახის დისკრიმინაციას სოციალურ უფლებათა სფეროში, ამ მხრივ, ECRI ხელისუფლების ყურადღებას ამახვილების ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე (CM/Rec (2010) 5 წევრი სახელმწიფოს მიმართ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლებზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ“...

ასევე, **მიგვითითებენ, რომ ჩვენთან არ არის ცხადი მოთხოვნები ახალი გენდერული იდენტობის ცნობასა და მასთან დაკავშირებილი დოკუმენტების ცვლილების მიმართ** და გვაძლევენ რეკომენდაციას, ხელისუფლებამ ნათელი სახელმძღვანელო პრინციპების შეიმუშავოსო.



**«ვეკითხები საქართველოს მთავრობას, პრემიერს, პრეზიდენტს: ევროპისკენ მიმავალი გზა ადამიანის უკანალზე გადის?»**

**დეკანოზი გიორგი რაზმაძე, ავჭალის ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი:**

— „მე და საზოგადოება“ — ამ წიგნის სწავლება ნიშნავს გარყვნილების პროპაგანდას სკოლებში, რასაც ვაპროტესტებთ არა მხოლოდ სასულიერო პირები, ამ პროცესში ფართო საზოგადეობაა ჩართული. ამ საგნების სკოლებში სწავლება მომავალი თაობის გარყვნასა და გათახსირებას ნიშნავს.

**— განათლების სამინსტრო ამ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებენ, რომ თქვენი მოსაზრებები გაითვალისწინეს...**

— იმდენი ფული აქვთ აღებული ჯერ კიდევ ყოფილი ხელისუფლების დროს, რომ, აბა, რას იტყვიან?! სხვა გზა არ აქვთ.

**— ვისგან აიღეს ფული?**

— ვინც მათ აფინანსებს. **ეს არის ევროკავშირი და მსგავსი სტრუქტურები. სწორედ ისინი ასაზრდოებენ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც, ფაქტობრივად, უცხო ქვეყნის აგენტები არიან და ყველანაირად ცდილობენ ქართული სახელმწიფოებრიობის, ჩვენი ეკლესიის, ჯარისა და ყველა იმ ინსტიტუტის დეგრადაციას, რომლებიც ქვეყნის სიძლიერის საფუძველთა საფუძველია.**

ჩვენი აზრი არავის გაუთვალისწინებია. ეს წიგნი მთლიანად სიმყრალე და სიბილწეა და იქ რა უნდა შეცვალონ? შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

გასულ საუკუნეში გერმანიის სახელმწიფო სკოლები ზუსტად ასეთი სახელმძღვანელოების დანერგვის შედეგად გარდაქმნეს და ამან ის შედეგი გამოიღო, რომ იშვა ყველაზე დიდი მონსტრი კაცობრიობის ისტორიაში — ჰიტლერი, რომელიც ანალოგიურად იქცეოდა დაპყრობილ ქვეყნებში. მაგალითად, როდესაც ჰიტლერმა პოლონეთი დაიპყრო, დეკრეტი გამოსცეს, რომელშიც ეწერა, რომ ქვეყანაში უნდა გავრცელდეს სექსი, ნარკოტიკი, ჰომოსექსუალური კავშირები, რათა ერი აღარ გამრავლდესო. სამწუხაროდ, როგორც წინა ხელისუფლების დროს, ასეთი ჰიტლერი ახლაც ბევრი გვყავს. **ძმები ბერძენიშვილები მამათმავლების დროშით დარბიან პარლამენტში. ჩვენ იმიტომ არ მიგვიცია „ოცნებისთვის“ ხმა, რომ ძმებ ბერძენიშვილებს პარლამენტში მამათმავლების დროშით ერბინათ.** ვინ მისცა ამის უფლება ამ თავხედ ადამიანებს?! ქართველმა ხალხმა ისინი იმიტომ მოიყვანა ხელისუფლებაში, რომ ჩვენი შვილები გახრწნან?! **ვეკითხები საქართველოს მთავრობას, პრემიერს, პრეზიდენტს: ევროპისკენ გზა ადამიანის უკანალზე გადის?** თუ ასეა, მაშინ საქართველოს არ სჭირდება ასეთი ევროპა. ილია მართალი ამბობდა ხოლმე, საქართველოს ისტრიიდან რომ ამოიღო ეკლესია, იქ არაფერი დარჩებაო.

როგორც ჰიტლერი ცდილობდა, დაპყრობილ ქვეყნებში მოეშალა ეკლესია, ▶

**«ძმები ბერძენიშვილები მამათმავლების დროშით დარბიან პარლამენტში. ჩვენ იმიტომ არ მიგვიცია «ოცნებისთვის» ხმა, რომ ძმებ ბერძენიშვილებს პარლამენტში მამათმავლების დროშით ერბინათ. ვინ მისცა ამის უფლება ამ თავხედ ადამიანებს?! ქართველმა ხალხმა ისინი იმიტომ მოიყვანა ხელისუფლებაში, რომ ჩვენი შვილები გახრწნან?!»**

**„ქართველი მედასავლეთე პოლიტიკოსების რეფლექსია ის, რაც პრეზიდენტმა განაცხადა. ასე ხდება ყოველთვის: როდესაც სილას გააწნავენ, ტირილს იწყებენ, ცხვირიდან და თვალებიდან ერთდროულად გადმოსდით სითხე და გაიძახიან, გვიშველეთო. არადა, ყველა ნორმალურ ადამიანს რეფლექსი აქვს: როდესაც გაარტყამენ ხელს იფარებს ან ხელს უბრუნებს. ის, რაც პრეზიდენტმა გააკეთა, გალახული ბავშვის პოზიცია იყო და არა ქვეყნის პრეზიდენტისა“.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ჯარი, სახელმწიფო ინსტიტუტები, ესენიც იმავეს აკეთებენ.

**— ანუ ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა?**

— რა თქმა უნდა, და **ეს ყველაფერი იმართება ევროკავშირიდან და იმ „ცისფერი კომისრებისგან“, რომლებსაც ესენი გუნდრუკს უკმევენ.** სამარცხვინოა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი გამოდის და ლაპარაკობს, მდიდარი სექსი მაქვსო. პრეზიდენტი უსირცხვილო ადამიანია. როგორ შეიძლება, ასე მსჯელობდეს ქვეყნის პრეზიდენტი?! **მირჩევნია, ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოსნაირი კაცი იყოს ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც მთელი ევროპა დიქტატორს უწოდებს, ვიდრე მამათმავალი და თავისუფალი სექსის მიმდევარი.** ესენი ზნეობრივად გახრწნილი ადამიანები არიან. ჩვენ წინა ხელისუფლებასაც ვამხელდით და ამასაც ვამხელთ და მომავალშიც, თუ მოვა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს არ გაითვალსწინებს, იმასაც ვამხელთ და მკაცრად მოვთხოვთ პასუხს. **რადგან ეს ხალხი ჩვენი არჩეულია, კეთილი ინებონ და ისე იცხოვრონ, როგორც ამას ჩვენი წინაპრები და ტრადიციები გვასწავლის და ნუ გვახვევენ თავს იმ სიმყრალეს, რაც ევროპაშია.** ისიც უნდა ითქვას, ღვთის მადლით, იქაც არიან ნორმალური ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს აპროტესტებენ.



## «ამ საგნების მიზანია, ბავშვს მსოფლმხედველობა შეუცვლოს»

**დეკანოზი არჩილ ქიტუაშვილი, დაბა კაზრეთის წმინდა სამების ტაძრის წინამძღვარი:**

— ამ საგნების მიზანია, ბავშვს მსოფლმხედველობა შეუცვლოს, ამ მიზნით შემოაქვთ და არა იმიტომ, რომ ბავშვებს მისალმება ასწავლონ. მათი მიზანია, ჩვენი მომავალი თაობა აღიზარდოს არა იმ სტანდარტებით, რომლებითაც აქამდე ვიზრდებოდით, არამედ იმ ბუნდოვანი სტანდარტებით, რომლებსაც ზოგიერთი ე.წ. ევროპულ სტანდარტებს ეძახის.

**— რას აპირებთ, თუ განათლების სამინისტრო არ გაითვალისწინებს ეკლესიის პოზიციას და სკოლებში მაინც შეიტანს ამ საგნებს?**

— ჩვენი იარაღი ყოველთვის სიტყვაა და ვაპირებთ ქადაგების გაგრძელებას. მაქსიმალურად შევეცდებით ყველა ხერხის გამოყენებას, რომლებიც ჩვენთვის, როგორც ქრისტიანებისთვის, დასაშვებია.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

### გულბაათ რცხილაძე:

# არავის ვურჩევ ანტირუსული რიტორიკის გამძაფრებას

## მოსახლეობის 80 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მომხრეა, მას დასავლეთის ხსენებაც არ სურს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა პრაღაში ქართველ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ მთავარი საფრთხე საქართველოში, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის ზრდაა. „ახლა მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის ზრდაა, რომელიც ისმის საერთაშორისო არენაზე, ისმის საზოგადო მოღვაწეთა მხრიდანაც. ყველა პოლიტიკოსს უნდა, გაამძაფროს თავისი პოზიცია, სურს აჩვენოს, რომ ყველაზე მეტი პატრიოტები, მკაცრები და შეურიგებლები არიან ე.წ. რუსული ექსპანსიისა და მუქარის მიმართ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ისიც კი თქვა, რომ ცივილიზებული სამყარო უნდა გაერთიანდეს რუსული აგრესიის წინააღმდეგ. წესიერ საზოგადოებაში, როგორც წესი, ასეთ განცხადებებს არ პატიობენ. ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ, მაგრამ ვშიშობ, ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“, — აღნიშნავს კარასინი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ეს განცხადება საქართველოში სხვადასხვაგვარად აღიქვეს. რა გვითხრა სინამდვილეში გრიგორი კარასინმა და რაზე გვმართებს ყურადღების გამახვილება?**

**— ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება.**



**— ბატონო გულბაათ, მოვისმინეთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადება, რომელიც მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მუქარად აღიქვა, მეორე ნაწილმა კი — როგორც „დაკიდება“... რა გვითხრა სინამდვილეში კარასინმა?**

— გრიგორი კარასინის განცხადებაში მუქარის შემცველი ელემენტები არ ყოფილა. **კარასინის განცხადებაში გამოთქმული იყო სურვილი, რომ ქართულმა მხარემ იმის ნახევარი მაინც შეასრულოს, რაც განაცხადა — ურთიერთობების დარეგულირება. ასევე ისაუბრა იმაზე, რომ არ უნდა ილანძღებოდნენ ქართველი მინისტრები. საქართველოს თავდაცვის მინისტრი არ უნდა მოუწოდებდეს სხვა სახელმწიფოებს, გაერთიანდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ეს, ლანძღვა კი არა, გამოკვეთილი პოლიტიკაა.**

ვსვამ კითხვას: **რით განსხვავდება დღევანდელი საგარეო პოლიტიკა მიშა სააკაშვილის საგარეო პოლიტიკისგან?**

აქამდე თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ქართული პოლიტიკა რუსეთის მიმართ ნეგატივზე არ იყო აგებული, შესაძლოა, ბევრი არაფერი კეთდებოდა, მაგრამ ნეგატიური სვლები არ იყო. გვეკავა პოზიცია — ჩვენ სუვერენული ქვეყანა ვართ, თქვენთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ ქვეყნის არჩევანი ნატოა და სწორედ მისკენ ვისწრაფვით, თუმცა ამან დიდხან არ გასტანა და ლანძღვაზე გადავედით. უფრო მეტიც, კარასინის ამ განცხადების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა თქვა, — რუსეთზე ზეწოლა უნდა გავაძლიეროთო, იმის ნაცვლად, რომ გარემოება შეერბილებინა. **საინტერესოა, რას ნიშნავს უსუფაშვილისთვის „ზეწოლა“ რუსეთზე? ჩნდება ეჭვი, რომ პარლამენტში არსებული ლიბერალური ძალები პროვოკაციის მოწყობას ცდილობენ, ისინი პრემიერისა და მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების შემდეგ მქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა, სადაც ითქვა, რომ კარასინის განცხადების ასე განხილვა არ შეიძლება, რომ მას ეს განცხადება ოფიციალურად არ გაუკეთებია, კარასინმა პასუხი გასცა ჟურნალისტებს, ჩვენ კი არ ვიცით, რა ჰკითხეს მას.

**ჩვენთან ბევრს საუბრობენ, რომ კარასინის განცხადება ისე უნდა აღვიქვათ, თითქოს რუსეთი საქართველოს მომავალ არჩევნებში ჩარევას ცდილობს ან რაიმე ფორმით ზეგავლენას, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. კარასინმა მარტივად თქვა, რომ არჩევნები მოდის და ვიღაც-ვიღაცებს ანტირუსული პოპულისტური განცხადებები სჭირდებათ.**

მეეჭვება, რომ რომელიმე ქვეყნის ელჩმა კარასინის განცხადებაზე მკვეთრი და უხეში განმარტება გააკეთოს. ყველა იმავეს იტყოდა იმ ვითარებაში, რომელშიც საქართველო და რუსეთი არიან ერთმანეთთან. **თუ ვაცხადებთ, რომ უდიდესი სურვილი გვაქვს, რუსეთთან მოლაპარაკებები ვაწარმოოთ, რატომ ვლანძღავთ? თანაც მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი კარგი რამ გაკეთდა რუსეთის კენილი ნების გამო.** აბაშიძე-კარასინის ამ თითქოს უმნიშვნელო შეხვედრებით მართლაც ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, თანაც მხოლოდ საქართველოსთვის. ვთქვათ სიმართლე: **რომ ვყოფილიყავი რუსი ექსპერტი ან პოლიტიკოსი, ძალიან მკაცრად გავაკრიტიკებდი რუსეთის ხელისუფლებას საქართველოსთან ურთიერთობებში, რადგან რუსეთმა ჩვენთვის დათმობები ცალმხრივად გააკეთა, მან ამ მცირედი, მაგრამ მაინც დამთბარი შეხვედრებით რა მიიღო?** მხოლოდ ითხოვს, ნუ მაკრიტიკებთ და ნუ მლანძღავთო...

**— ახლა აქ თქვენი ოპონენტი რომ იჯდეს, აუცილებლად შემოგედავებოდათ და გეტყოდათ, მეტი რა დივიდენდი უნდა მიიღოს რუსეთმა, მას ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს და დღემდე მცოცავ ანექსიას ახორციელებსო...**

— ვიცი, რომ იტყვიან და თქვან, თუ უნდათ... გავიმეორებ, რომ **აბაშიძე-კარასინის შეხვედრებიდან საქართველომ ბევრი მიიღო, მაგრამ რუსეთს არაფერი მიუღია. რუსეთი თუ სამხედრო ძალით რამეს მიიღებს, აბაშიძე-კარასინის შეხვედრები აქ არაფერ შუაშია.**

რაც შეეხება ოკუპაციას, აუცილებლად უნდა ითქვას ჟურნალისტების „ცოდვაზეც“. **დაუსხდებიან რესპონდენტს და ეკითხებიან, — რუსეთს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს თუ არაო. რესპონდენტი პასუხობს, რომ კი... კაციშვილი არ ფიქრობს იმაზე, რას ფიქრობენ ამ პასუხზე აფხაზები და ოსები, რომლებიც თვლიან, რომ რუსეთი მათი მფარველი და განმათავისუფლებელია, განმათავისუფლებელი საქართველოს ხელისუფლებების აგრესიისგან, განსაკუთრებით — სააკაშვილის ხელისუფლებისგან.**

ჩვენი პოლიტიკოსები ღაღადებენ, რომ აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები არიან, არც მეტი, არც ნაკლები — ძმები, რომლებთანაც პირდაპირი დიალოგი უნდა გვქონდეს და პრობლემები ისე მოვაგვაროთ. დალოცვილებო, **თუ ძმები არიან, ხომ უნდა ჰკითხო, რას ფიქრობს რუსულ ჯარზე, რას ფიქრობს შენზე და გთვლის თუ არა ძმად? ამ შეკითხვებს რომ უსვამ ჩვენს „ურაპატრიოტებს“, „იჟედებიან“. ადამიანთან მოლაპარაკება გინდა და ეუბნები, რომ ოკუპირებული ხარ?! — ასეთი რამ არსად გაგონილა.**

**— საქართველოს პრეზიდენტმა კარასინის განცხადების შემდეგ განკარგულება გასცა, თარგმნეთ ყველა ენაზე აღნიშნული განცხადება და საქართველოში არსებულ საელჩოებს მიაწოდეთო. იქვე დასძინა, აბაშიძე-კარასინის შეხვედრებმა ხომ არ ამოწურა თავისი მისიაო...**

— **ქართველი მედასავლეთე პოლიტიკოსების რეფლექსია ის, რაც პრეზიდენტმა განაცხადა. ასე ხდება ყოველთვის: როდესაც სილას გააწნავენ, ტირილს იწყებენ, ცხვირიდან და თვალებიდან ერთდროულად გადმოსდით სითხე და გაიძახიან, გვიშველეთო.** არადა, ყველა ნორმალურ ადამიანს რეფლექსი აქვს, როდესაც გაარტყამენ, ხელს იფარებს ან ხელს უბრუნებს. **ის, რაც პრეზიდენტმა გააკეთა, გალახული ბავშვის პოზიცია იყო და არა ქვეყნის პრეზიდენტისა, თუმცა ამას შევეჩვით კიდეც...**

რაც შეეხება **აბაშიძე-კარასინის ფორმატს, მან მართლაც ამოწურა შესაძლებლობები და დროა, ახალ, უფრო ფართომასშტაბიან ფორმატზე ვიფიქროთ.** არ ვიცი, პრეზიდენტი რას გულისხმობდა, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობები გასაფართოებელია.

აბაშიძე კარგი დიპლომატია, მაგრამ მას გზა მოსუფთავებული ჰქონდა და ეს ჩვენ გავაკეთეთ, რამდენიმე ორგანიზაციამ, რომლებსაც თავი გვქონდა გადადებული და სიმართლის თქმის არ გვეშინოდა. ამ გაკაფულ გზაზე აბაშიძეს სიარული არ გასჭირვებია, მარტივი აღმოჩნდა რუსეთთან ამ ფორმატით საუბარი. დღეს უკვე დროა, ურთიერთობები სერიოზულ ფაზაში გადავიდეს. რუსეთთან ურთიერთობა უკრაინასაც კი არ შეუწყვეტია. საქმე ის არის, რომ **ამ მთავრობას ეშინია, ნაციონალებმა სამშობლოს ღალატი არ დააბრალონ. აქედან გამომდინარე, მარგველაშვილის განცხადება არაპატრიოტულია, მას აბაშიძე-კარასინის შეხვედრის გაუქმება კი არ უნდა სურდეს, მეტი არხისა და გზის გამონახვას უნდა ცდილობდეს, რათა შესაძლებლობა გვქონდეს, რუსეთს დაველაპარაკოთ.**

**— ვინ უნდა დაელაპარაკოს რუსეთს, მის პრეზიდენტს? დაელაპარაკება კი რუსეთის პრეზიდენტი ქართველ პოლიტიკოსებს?**

— რუსეთის პრეზიდენტი ამათ არ დაელაპარაკება, თუმცა პრემიერ კვირიკაშვილზე ამბობენ, წესიერი კაციაო, მაგრამ მხოლოდ წესიერება საკმარისი არ არის, საქმე ისაა, რომ **ჩვენი ხელისუფლება გადაწყვეტილების მიღებაში თავისუფალი არ არის. მათ აკონტროლებენ. ყველამ ვიცით, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დანამატია.** სწორედ ეს ფაქტორი არ მისცემს საქართველოს მთავრობას საშუალებას, რუსეთთან ურთიერთობები გააღრმავოს, მაგრამ არც ის მგონია, საქართველოს მთავრობამ მარგველაშვილის ჭკუაზე იაროს და უკვე მონაპოვარზე უარი განაცხადოს.

არჩევნების წინ ანტირუსული რიტორიკის გამძაფრება, რაც უნდა უცნაური იყოს, არც ერთ პოლიტიკურ ძალას დივიდენდებს არ აძლევს. ხალხის განწყობა სულ სხვანაირია. **საქართველოს მოსახლეობის 80% რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მომხრეა, მას დასავლეთის ხსენებაც არ სურს, რასაც თავად დასავლეთმა შეუწყო ხელი.**

რომელიმე პარტიის კონსულტანტი რომ ვიყო, არავის ვურჩევ ანტირუსული რიტორიკის გამძაფრებას, პირიქით, ხალხს უნდა ის პარტია, რომელიც რუსეთთან მეგობრობას დაჰპირდება. **ჩვენ დღეს სუვერენული ქვეყანა არ გვაქვს, ბევრი რაღაცით მიჯაჭვულნი ვართ უცხო ქვეყნებზე. სამწუხაროდ, ამაზე არავინ ფიქრობს, პორნოგრაფიით ვართ დაკავებულნი.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა თქვა ისეთი კარასინმა, რომ პრემიერიდან დაწყებული და ჩვენი „მდიდარი სექსის“ მქონე პრეზიდენტით დამთავრებული ლამის ნიფხვიდან ამოხტნენ ყველანი? — „ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“, რომლის თარგმნასაც და საქართველოს ყველა „მეგობარი“ ქვეყნებისთვის დარიგებასაც აპირებს ამერიკის მარიონეტი ჩვენი ხელისუფლება!**

# წილი ნაყარია!

**ALEA IACTA EST — „წილი ნაყარია“, — წარმოთქვა იულიუს კეისარმა მდინარე რუბიკონის გადალახვის წინ ძვ.წ. 49 წლის 10 იანვარს და გადალახა კიდეც. მას შემდეგ „რუბიკონის გადალახვა“ პოპულარული იდიომაა, რომელსაც იყენებენ მავანის მიერ ისეთი ზღვრის გადაჭრის აღსანიშნავად, რომლის შემდეგაც უკან მობრუნება შეუძლებელია.**




მას შემდეგ არა ერთ მავანს გადაულახავს თავისი რუბიკონი, თუმცა წერილის თემიდან გამომდინარე, მკითხველის ყურადღება რუსეთისკენ გვინდა მივაპყროთ და ორი ისტორიული ფაქტი გავიხსენოთ:

**ნაპოლეონ ბონაპარტემაც** გააგორა კამათელი,— წილი ნაყარიაო, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება დაარღვია და 1812 წლის 24 ივნისს, დილის 6 საათზე, უზურპატორის 500-ათასიანმა არმიამ რუსეთის რუბიკონი, მდინარე ნემანი გადალახა და რუსეთის იმპერიის კუთვნილ ტერიტორიაზე შეიჭრა. იგივე გააკეთა **ადოლფ ჰიტლერმაც**, როდესაც მოლოტოვ-რიბენტროპის თავდაუსხმელობის პაქტი დაარღვია და 1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე, ფაშისტების არმიამ საბჭოთა რუსეთის რუბიკონი, მდინარე ბუგი გადალახა და სტალინის საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე შეიჭრა.

**ნაპოლეონი იულიუს კეისარს უტოლებდა თავს, ხოლო ჰიტლერი — ნაპოლეონს. ორივემ ერთად კი როგორც დაამთავრეს რუსეთის რუბიკონების გადალახვა, ცნობილია. „კამათლის მღერას“ თუ ავყვებით და ხატოვნად ვიტყვით, ორივემ დუშაშით დაიწყო რუსეთთან ომი და ორივემ დუიაქეთი დაამთავრა, ერთმა — პარიზში და მეორემ — ბერლინში.**

2015 წლის 29 სექტემბერს, გაეროს დაარსებიდან საიუბილეო 70 წლისთავის საზეიმო სესიაზე, ამჯერად „მოსკოვის კეისრის“ — ვლადიმერ პუტინის მიერ „დემოკრატიული დასავლეთის“ (წაიკითხე — აშშ) მიმართ ნასროლი მკვახე ფრაზა — „თუ გესმით მაინც, რა ჩაიდინეთ?“ — შინაარსობრივად „წილი ნაყარიას“ და „რუბიკონის გადალახვას“ ნიშნავდა. რუსეთის პრეზიდენტი არც კი დალოდებია გაეროს საიუბილეო სესიის დასრულებას, ტრიბუნიდან პირდაპირ საკუთარ თვითმფრინავს მიაშურა და რუსეთის ავიაკოსმოსურმა ძალებმა მეორე დღესვე, 30 სექტემბერს, დაიწყეს სირიის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების პოზიციების დაბომბვა.

რუსეთის პრეზიდენტს თამამად შეუძლია, გაიმეოროს იულიუს კეისრის კიდევ ერთი ფრთიანი გამონათქვამი, რომელიც მან პონტოს სამეფოს სამუდამოდ განადგურების შემდეგ თქვა: VENI, VIDI, VICI — „მიველ, ვნახე, გავიმარჯვე“....

მართლაც, რუსეთის სამხედრო ძალების მოქმედების შედეგები ისე თვალსაჩინოა, რომ მხოლოდ ბრიყვებს ან **მაია ორჯონიკიძის** მსგავს ანგაჟირებულ არსებებს შეუძლიათ იმის თქმა, რომ რუსეთმა სირიაში მარცხი განიცადა და ამიტომ შეიქნა იძულებული, თავისი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანა დაეწყო სირიიდან(?!).

**არადა, ის, რაც 4 წლის განმავლობაში ვერ თუ არ გააკეთა აშშ-ის მეთაურობით ჩამოყალიბებულმა 60-სუბიექტიანმა სამხედრო კოალიციამ, 5 თვეში გააკეთა ერთმა რუსეთმა.**

**ის, რაც 4 წლის განმავლობაში ვერ თუ არ გააკეთა აშშ-ის მეთაურობით ჩამოყალიბებულმა 60-სუბიექტიანმა სამხედრო კოალიციამ, 5 თვეში გააკეთა ერთმა რუსეთმა**

თავად ვანსაჯეთ:

**1. ბაშარ ასადი, რომლის ხსენებაზეც ცოტა ხნის წინათ ბარაკ ობამას გველის კაჭრობა ემართებოდა, ხელისუფლებაში დარჩა და მომავალში მის ბედს, აშშ კი არა (როგორც თავის დროზე აშშ-მა გადაწყვიტა კადაფის, სადამ ჰუსეინის, ბენ ალისა თუ ჰოსნი მუბარაქის ბედი), სირიელი ხალხი გადაწყვეტს;**

**2. რუსეთის დახმარებით ასადის არმია ისე მომძლავრდა, რომ "ისლამური სახელმწიფოს" მიერ ოკუპირებული 400-მდე სოფელ-ქალაქი გაათავისუფლა 10 000 კვ. კმ ტერიტორიაზე;**

**3. რუსეთმა რეალურ საომარ მოქმედებებში გამოსცადა უახლესი სამხედრო ტექნიკა და კასპიის ზღვის აკვატორიიდან თუ ხმელთაშუა ზღვის წყალქვეშა ნავებიდან ფრთოსანი რაკეტებით განხორციელებული უზუსტესი დარტყმებით მსოფლიოს დაანახვა, რა შეუძლია რუსულ იარაღს, რომლითაც სამუდამოდ დამარხა მითი რუსული ჟანგიანი ტანკების შესახებ;**

**4. გაანადგურა „ისლამური სახელმწიფოს“ ინფრასტრუქტურისა და სანავთობო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი; შედეგად ტერორისტების ფინანსური შემოსავლები განახევრდა;**

**5. შეინარჩუნა საჰაერო და საზღვაო ბაზები, რომლებიდანაც გრძელდება „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების დაბომბვა, ოღონდ ნაკლები ინტენსივობით: თუ ადრე დღეში 60-80 ავიაგაფრენას ახორციელებდნენ, ახლა დროებით 20-30-მდე შემცირდა, რაც სრულიად საკმარისია ბაშარ ასადის არმიისთვის;**

**6. დაიმეგობრა ქურთები, 40-მილიონიანი ერი, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო არ აქვთ და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ამ უსამართლობას რუსეთის დახმარებით ბოლო მოეღება;**

**7. „დედა უტირა“ თურქეთს, რომლის ოცნებასაც „ისლამურ სახელმწიფოში“ ტახტი თურქეთის პრეზიდენტს დაეკავებინა, ბოლო მოუღო, უფრო მეტიც — ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ, თუ თურქეთი ერთი ადგილის თამაშს არ მოიშლის, ნიკოლოზ მეორეს მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს დაწყებულ საქმეს — კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლებისთვის დაბრუნებას, ბოლომდე მიიყვანს;**

ვფიქრობ, რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური წარმატებების ეს არასრული ჩამონათვალი საკმარისზე მეტი არგუმენტია საიმისოდ, რომ ვლადიმერ პუტინმა თამამად გაიმეოროს იულიუს კეისრის მიერ 2 ათასი წლის წინათ ნათქვამი:

**VENI, VIDI, VICI – „მიველ, ვნახე, გავიმარჯვე!“....**

ეგეც არ იყოს, სამშობლოში დაბრუნებულ რუს მფრინავებთან საზეიმო შეხვედრაზე, რომელიც კრემლის გიორგიევსკის დარბაზში გაიმართა, დარბაზში, რომელშიც რუსული არმიის დიდების ამსახველი სურათებია გამოფენილი, **ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სირიის საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად ლატაკიის ბაზაზე ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსები, ე.წ. ეს-400-ები დატოვეს, რომლებითაც ნებისმიერ (და სიტყვა „ნებისმიერი“ ორჯერ ხაზგასმით გაიმეორა) საფრენ ობიექტს გაანადგურებენ, რომლებსაც იქ დარჩენილი სამხედრო კონტინგენტი საფრთხის შემცველად ჩათვლის.**

იქვე რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე საათში აღადგენს სტატუს კვოს და დამატებით ძალებსაც შეიყვანს სირიაში.

რუსეთმა ავიაკოსმოსური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის დროულად გამოყვანით დამსახურებულად ჩაიწერა დამატებითი ქულები მსოფლიო თანამეგობრობის თვალში, მაშინ, როცა ზოგიერთი ოდიოზური ლიდერები აცხადებდნენ, რომ რუსეთმა პოლიტიკური სიტუაცია აურია სირიაში და ამიტომ უნდა გამოვიდეს იქიდან.

თუ ამ არევაში ბაშარ ასადის შენარჩუნება იგულისხმება, ასადის, რომელსაც, რომ არა რუსეთი, კადაფის ბედი გარანტირებული ჰქონდა, კი ბატონო. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ასადი დიქტატორია (ამაზე ქვემოთ) და უნდა წასულიყო, მაგრამ რუსეთის სამხედრო წარმატებებს ხომ ვერავინ უარყოფს?!

რამდენიმე წლის წინათ ევროპაში ვიზიტისას ლიბერასტი ჟურნალისტების კითხვებით — რატომ უშლით ხელს გეიპარადების ჩატარებას და ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს რატომ ეწინააღმდეგეებით, ეს სადაური დემოკრატიააო, „შალონებულმა“ პუტინმა უპასუხა, ჩვენ სუვერენული დემოკრატია გვაქვს, მე ახლა ციმბირში რომ ჩავიდე და ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე დავიწყო საუბარი, ხალხი იარაღს აიღებს ხელში და ასე დაიცავს საკუთარ თვითმყოფადობასო!

უკეთესად ვერ იტყვი.

**აქედან გამომდინარეა ბაშარ ასადისა თუ სხვა ისლამურ ლიდერთა დიქტატორობაც, რადგან არსებობს ორი ისლამი:**

**ერთი — აგრესიული,** რომელიც 21-ე საუკუნეში თავებს აჭრის ათასობით ქრისტიანს და არა მხოლოდ, ანგრევს ფასდაუდებელ ისტორიულ ძეგლებს, და **მეორე** — ე.წ. **სვეტსკი ისლამი და „სვეტსკი“ სახელმწიფოები,** რომლებშიც ქალები ჩადრით არ დადიან. მაგალითად, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, ჩეჩნეთი, დაღესტანი ან ყაზახეთი, უზბეკეთი და ა.შ.

ასეთი სახელმწიფო იყო რამდენიმე წლის წინათ აყვავებული და დღეს მიწასთან გასწორებული ლიბია, აგრეთვე, ერაყი, სირია და ა.შ.

ამ „სვეტსკობის“ გარანტი, დიქტატურა თუ არა, სულ ცოტა, ავტორიტარული მმართველობაა, სხვანაირად არაბული სამყარო ვერ იმართება!

**ანუ, როგორც კი სუვერენული დემოკრატიის ნაცვლად, „ნამდვილი“ ევროპული ტიპის დემოკრატიის თავს მოხვევას იწყებ „არაბული გაზაფხულების“ მეშვეობით, მაშინვე ჩდებიან იქ ეგვიპტის მსგავსი „ძმები მუსლიმები“ თავიანთი შარიათის კანონებით!**

დასასრულ — ისევ რუსეთის შესახებ, ოღონდ საქართველოს მიმართ.

**რა თქვა ისეთი კარასინმა, რომ პრემიერიდან დაწყებული და ჩვენი „მდიდარი სექსის“ მქონე პრეზიდენტით დამთავრებული ლამის ნიფხვიდან ამოხტნენ ყველანი?**

**— „ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“,** რომლის თარგმნასაც და საქართველოს ყველა „მეგობარი“ ქვეყნისთვის დარიგებასაც აპირებს ამერიკის მარიონეტი ჩვენი ხელისუფლება!

**კარასინის ეს განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ რუსეთის ტანკები შემოგრიხინდებიან თბილისში. რად უნდათ რუსებს ახალი თავის ტკივილი, როდესაც 2008-ში წაიღეს საქართველოდან ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ?!**

**რუსეთის მეორე დიპლომატის განცხადება იმას ნიშნავდა, რომ, თუ ანტირუსულ ისტერიას, რუსოფობიას განვაგრძობთ, რუსეთი, უბრალოდ, „დაგვიკიდებს“ — თავშიც ქვა გიხლიათო!**

აქედან გამომდინარე, უფრო ვინ უნდა იყოს დაინტერესებული რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობით?

რიტორიკული კითხვაა.

**დავით მხეიძე**

**რუსეთის მეორე დიპლომატის განცხადება იმას ნიშნავდა, რომ, თუ ანტირუსულ ისტერიას, რუსოფობიას განვაგრძობთ, რუსეთი, უბრალოდ, «დაგვიკიდებს» — თავშიც ქვა გიხლიათო! იმ ღვინოს თუ მანდარინს, რომელსაც ვგზავნით რუსეთში, «პახმელიაზე» აითვისებს მხოლოდ ტამბოვის ან პენზის გუბერნია. აქედან გამომდინარე, უფრო ვინ უნდა იყოს დაინტერესებული რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობით?**

**„ქვეყანა იმპორტზეა ჩამოკიდებული, ლარის კურსის ასეთი გამყარება იმპორტიორების წისქვილზე ასხამს წყალს. იმპორტიორების ვაჭრობას უწყობს ხელს. ჩვენ ძლიერი სავაჭრო ქვეყანა არ ვართ, გარეთ არაფერი გაგვაქვს, სამაგიეროდ, იმპორტია დიდი რაოდენობით და ლარის გამყარებული კურსიც სწორედ ამას უწყობს ხელს. სრულად ხელ-ფეხგახსნილი იმპორტიორები უდიდეს შემოსავალს იღებენ ლარის გამყარებით. ჩვენი წარმოება ძვირდება და განვითარების სტიმული ეკარგება, სტიმული, რომელიც ისედაც არ აქვს“.**

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დემურ გიორხელიძე:**

# თუ პროცესი ასე გაგრძელდება, ქართულ ეკონომიკას საბოლოოდ დავასამარებთ

**რამდენიმე დღეა, საქართველოს ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო.
ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა თქვა, რომ „ლარი სტაბილურად მყარდება, რამაც, შესაბამისად, ვაჭრობის წახალისება უნდა განაპირობოს. შარშან, როდესაც ყველა ჩვენს სავაჭრო პარტნიორთან სავაჭრო ბრუნვა შემცირდა, ერთადერთი მიმართულება იყო ევროკავშირი, სადაც სავაჭრო ბრუნვა გაგვეზარდა. პირველი ორი თვის მაჩვენებლებში ჯამური სავაჭრო ბრუნვა შემცირებულია, რისი ძირითადი მიზეზია ის შესწორება, რომელიც ჩვენს საგადასახდელო ბალანსში კიდევ მიმდინარეობს, ანუ ვალუტის დევალვაციიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში შემოსული იმპორტი, ასევე იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ექსპორტი გვაქვს, მცირდება, თუმცა, ვიმედოვნებ, რომ მომავალი თვეებიდან ზრდა გვექნება, მით უმეტეს, ადევნებთ თვალყურს ლარის კურსს, რომ ის სტაბილურად მყარდება და, შესაბამისად, ამან ვაჭრობის წახალისება უნდა მოგვცეს“.
ლარის კურსის მოულოდნელი გამყარების მიზეზად, ძირითადად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის — გიორგი ქადაგიძის წასვლა სახელდება.
ლარის გამყარების პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებზე გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში — დემურ გიორხელიძე.**




## «არ შეიძლება ერთი კაცის წასვლა-მოსვლაზე იყოს დამოკიდებული ეროვნული ვალუტის ბედი»

**— ბატონო დემურ, რამ გამოიწვია ლარის კურსის გამყარება?**

— ვერ ვიტყვი, რომ ლარის კურსი გამყარდა, რადგან არანორმალურად **სწრაფი დევალვაციის შემდეგ ლარმა არანორმალურად სწრაფი ტემპით გამყარება დაიწყო, ეს კი ვალუტებისთვის დამახასიათებელი არ არის და ყოველთვის არასასურველი შედეგით სრულდება.**

ეკონომიკასაც და საზოგადოებასაც სჭირდება არა აღმა-დაღმა მოსიარულე, არამედ სტაბილური ლარი, რომელიც შესაძლოა, ირყეოდეს მცირე ამპლიტუდით, გარკვეული წონასწორული მდგომარეობის ირგვლივ ერთი ან მეორე მიმართულებით.

**— რასთან გვაქვს საქმე?**

— გაურკვეველი ვითარებაა წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, მოვლენა, რომლის მომსწრენიც ვართ, ახსნას არ ექვემდებარება, რადგან ფუნდამენტურად არაფერი შეცვლილა არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ, რამაც ლარის კურსის ასეთი უსწრაფესი ზრდა გამოიწვია.

ვინ თქვა და სად გაგონილა, რომ კარგია გამყარების გზაზე შემდგარი ეროვნული ვალუტა, თანაც გამყარებას გააჩნია, ყოველდღიურად იცვლება კურსი? ეს კარგი რომ იყოს, შეგვიძლია გავაკეთოთ ერთი დოლარი ერთი ლარის ტოლფასი; უფრო კარგი თუ გვინდა ვიყოთ, უკეთესია, 50-თეთრიანი ვაქციოდ ერთდოლარიანად.

**— ამბობენ, ეროვნული ბანკიდან გიორგი ქადაგიძის წასვლამ გამოიწვია ლარის კურსის დარეგულირებაო.**

— ქადაგიძის წასვლაზე და საერთოდ, ცალკეულ ადამიანებზე რომ არის დამოკიდებული ასეთი მნიშვნელოვანი რამ, იმიტომაც ვართ არშემდგარი ქვეყანა. არ შეიძლება, ერთი კაცის წასვლა-მოსვლაზე იყოს დამოკიდებული ეროვნული ვალუტის ბედი, მაგრამ, თუ ვინმეს სურს, ქადაგიძის წასვლის დადებითი მხარე გვაჩვენოს და ლარის კურსი ასე იმიტომ იცვლება, მსუბუქად რომ ვთქვათ, ქვეყნისთვის დამანგრეველია, უპირველესად — ეკონომიკისთვის.

**— სახელისუფლო ეკონომიკური გუნდი გახარებულია, მათ მოსწონთ ლარის ეს მდგომარეობა.**

— თუ მოსწონთ, მაშინ განაგრძონ ასე, მაგრამ კიდევ ერთხელ „ვურჩევ“ — 50-თეთრიანი ერთი დოლარის ტოლფასი გახადონ, მაშინ ლარი უფრო გამყარდება.

**თუ პროცესები ასე განვითარდა, ყველანი მოსროლილები ვიქნებით განუვითარებელი ქვეყნის განუვითარებელ ეკონომიკაში.**

**ლარი თუ მყარია, მისი კურსის ყოველდღიურად ასეთი ცვლა რას ნიშნავს? ეს ვის გაუგია, სად ხდება?** ეს არის მიზანმიმართული ძარცვა, ხელისუფლება ცდილობს, სივრცე დაკეტოს, რათა ადამიანებმა არ იცოდნენ, რა არეგულირებს ლარის კურსს. **გახარება იმით, რომ ლარი ყოველდღე მყარდება, დიდი უჭკუობა მგონია. გასახარი არაფერია. ჩვენ დამოკიდებული ვართ სხვის შრომაზე, უცხოეთიდან ოჯახებისთვის გადმორიცხულ ფულზე და ახლა გამყარებული ლარით ხდება ოჯახების „გაპარსვა“. ბოლო თვეში გადმორიცხვებმა, სულ რაღაც, 16 მილიონით იმატა და სასწრაფოდ უნდა „გაიპარსონ“ ჩვენი მოქალაქეები, რომ არაფერი შერჩეთ.**

**— და მაინც, რა ამყარებს ლარის კურსს?**

— ეს არის დახურული სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ლარით სრული მანიპულაციისა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ხელი მიუწვდება ამ ყველაფერზე. სწორედ ამიტომ **სასწრაფოდ უნდა აღდგეს ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, მკაცრი რეგულაციები უნდა დამყარდეს ვაჭრობის წესებზე. აუცილებელია, თვალყურის დევნება ყოველდღიურ მოთხოვნასა და მიწოდებაზე.** ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში ფულის რა რაოდენობაა მიმოქცევაში, არავინ იცის, ეს კურსის დადგენისას ამოვარდნილი პროცესია. ასეთი ვითარება წარმოუდგენელს ხდის ეკონომიკის განვითარებას.

**— ვისი პრეროგატივაა ამ სისტემის დარეგულირება?**

— ხელისუფლების პრეროგატივაა და, თუ სისტემა არ მოწესრიგდება, ჯადოქარი არავინ არის. ეკონომიკას თავისი კანონები აქვს, მას არ აინტერესებს, ვინ არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ქვეყნის პრემიერმინისტრი. ეკონომიკას თავისი უზუსტესი კანონზომიერება აქვს და გადაწყვეტილება ამ კანონზომიერების ფარგლებშია მისაღები. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არც ერთი მიმართულებით არ არის მიღებული და პრობლემაც სერიოზულია.

**— ძალიან უცნაური რამ ხდება: ლარის კურსი მყარდება და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი ძვირდება...**

— **ქვეყანა იმპორტზეა ჩამოკიდებული, ლარის კურსის ასეთი გამყარება იმპორტიორების წისქვილზე ასხამს წყალს. იმპორტიორების ვაჭრობას უწყობს ხელს. ჩვენ ძლიერი სავაჭრო ქვეყანა არ ვართ, გარეთ არაფერი გაგვაქვს, სამაგიეროდ, იმპორტია დიდი რაოდენობით და ლარის გამყარებული კურსიც სწორედ ამას უწყობს ხელს.** სრულად ხელ-ფეხგახსნილი იმპორტიორები უდიდეს შემოსავალს იღებენ ლარის გამყარებით. ჩვენი წარმოება ძვირდება და განვითარების სტიმული ეკარგება, სტიმული, რომელიც ისედაც არ აქვს.

**— სანამდე გაგრძელდება ლარის კურსის გამყარების პროცესი? საარჩევნო წელია, პოლიტიკოსებს მოსახლეობის კეთილგანწყობა აუცილებლად სჭირდებათ. არჩევნებამდე შეძლებენ ამ ტემპით სიარულს?**

— **წარმოუდგენელია, ეს ტენდენცია გარძელდეს, მაგრამ, თუ მაინც დავუშვებთ იმას, რომ ლარი არჩევნებამდე გამყარებას განაგრძობს, ხელისუფლება არჩევნებზე სასურველ შედეგს მიიღებს, მაგრამ მერე? იმაზე, რაც მოხდება, პასუხს ვინ აგებს? ლარის გამყარების საფუძველი ხომ რეალურად არ არსებობს?! ლარის გამყარებას ეკონომიკური აქტივობა, უდიდესი ფინანსური ნაკადების შემოდინება სჭირდება, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს.**

**— დარწმუნებული ხართ, რომ ეს ხელოვნური პროცესია? იქნებ ბუნებრივად დაიწყო ლარმა გამყარება?**

— გამორიცხულია, რომ ლარს ბუნებრივად დაეწყო გამყარება, ეს აბსოლუტურად ხელოვნური პროცესია, ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკაში საკმაოდ კარგად ვარ გარკვეული და ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. ასეთი რამ არ ახასიათებს ნორმალური ქვეყნების ვალუტებს. ასეთი კატასტროფული თამაშის შედეგად ნებისმიერი ძლიერად აწყობილი ეკონომიკაც კი კრახის წინაშე დადგებოდა. ჩვენ დანგრეული ეკონომიკა გვაქვს და ამ სიტუაციას ვერ ვგრძნობთ, კომაში მყოფი ეკონომიკა დიდ რყევასაც სათანადოდ ვერ აღიქვამს.

**ამერიკისა და ევროპის დიდ ქვეყნებს ის რომ დაემართოს, რაც ბოლო თვეებში საქართველოს ეროვნულ ვალუტას დაემართა, ვგულისხმობ ჯერ დაცემისა და შემდეგ გამყარების პროცესს, ამ ქვეყნების ეკონომიკიდან არაფერი დარჩებოდა.**

დილეტანტები ამბობენ, რომ დოლარმა სულ ოდნავ დაკარგა თავისი ღირებულება, რაც ნავთობის ფასს უკავშირდება. ის, რაც დოლარმა დაკარგა და ლარმა „შეიძინა“, შეუფარდებელია. ასეთი მკაფიო რყევები არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა დოლარის გამო, არ შეცვლილა არც საგარეო პირობები, ამიტომ პიარზე გათვლილი საუბარი შედეგს ვერ მოგცემს.

**— რით დასრულდება ეს ყველაფერი?**

— არ ვიცი, სადამდე მიიყვანენ პროცესს, მაგრამ **იმედი მაქვს, ვიღაც გამოფხიზლდება და მიხვდება, რომ ლარის კურსის ასეთი ზრდა სრულ კატასტროფამდე მიგვიყვანს. ლარი უნდა იყოს სტაბილური ვალუტა და არა ყოველდღიურად გამყარების გზაზე შემდგარი. თუ პროცესი ასე გაგრძელდება, დეკემბრის ბოლოს ან მართლაც 50-თეთრიანი დოლარი გვექნება, ან ქართულ ეკონომიკას საბოლოოდ დავასამარებთ.** ვფიქრობ, არც ერთ ქართველს არ სურს ამ გზით სიარული, ჩვენ სტაბილური ვალუტა და სტაბილური ქვეყანა გვჭირდება, გვჭირდება მძლავრი ეკონომიკური იმპულსები, რათა ქვეყანაში აღმშენებლობა დაიწყოს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მსოფლიო



## გერმანიამ თურქეთში დიპლომატიური მისიები დახურა

**პოტენციური თავდასხმების საფრთხის გამო გერმანიამ თურქეთში დიპლომატიური მისიები დროებით დახურა. როგორც გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“ წერს, დაიხურა გერმანიის საელჩო ანკარაში, გერმანიის გენერალური საკონსულო სტამბოლში და გერმანული სკოლა ანკარაში.**

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოცემას განუმარტა, რომ არსებობს ინფორმაცია პოტენციური საფრთხის შესახებ.

15 მარტს ანკარაში გერმანიის საკონსულომ გააფრთხილა თანამოქალაქეები, რომ თურქეთში ახალი ტერაქტების რისკი არსებობს და მათ სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა.



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც ქვეყანაში უამრავი უკიდურესად ღატაკი და მშიერი ადამიანია, ბიუჯეტიდან ფინანსდება უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში „ქართველ ქალთა“ სამთავრობო და არასამთავრობო დელეგაციების მრავალდღიანი ვიზიტები, რომლებზეც ისინი „ქალთა უფლებების დაცვის“ თემაზე გამართულ კონფერენციებში მონაწილეობენ. ერთ-ერთი ასეთი კონფერენცია ამ დღეებშიც მიმდინარეობს ოკეანის გაღმა და იქ „ქართველი ქალების“ სახელით ორ კვირაზე მეტი ხნით წარგზავნილ რამდენიმე ათეულ მდედრობითი სქესის უსაქმურზე რა თანხა იქნება დახარჯული, თავად დათვალეთ...**

# «საძინებლიდან გამოვარდნილთა» შტურმი, ანუ მეტი ქაჯი პარლამენტში?

**ბოლო ორი კვირის განმავლობაში საქართველოში ყველაზე აქტუალური იყო ე.წ. ქალთა თემა. 3 და 8 მარტს გაურკვეველი სქესის არსებების ასევე გაურკვეველ აქტივობას თითქოს განგებ მიება ე.წ. პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელება, რომელიც ასევე „ქალთა უფლებებს“ დაუკავშირეს ხსენებულმა გაურკვეველი სქესის არსებებმა, რომლებიც საკუთარ თავს რატომღაც „ქალებს“ უწოდებენ.**




ეს სწორედ ის „ქალები“ არიან, რომლებიც ქვეყანაში წამოჭრილ ნებისმიერ პრობლემას პარლამენტში ქალების რაოდენობის სიმცირეს უკავშირებენ. ანუ, მათ რომ ჰკითხო, თუკი საქართველოს პარლამენტში ქალების რაოდენობა 40 პროცენტამდე მაინც იქნება, მაშინ ამ ქვეყანას აღარც სიღარიბე შეაწუხებს, აღარც შიმშილი და აღარც დაკარგული ტერიტორიების პრობლემები.

საუბარი აღარ არის ე.წ. გენდერულ პრობლემებზე, ანუ, მათი აზრით, შეწყდება ქმრების მიერ ცოლების მკვლელობა, საზოგადოდ, სხვა კრიმინალური ფაქტებიც შემცირდება და საქართველოში საყოველთაო მშვიდობა და ბედნიერება დაისადგურებს.

დანამდვილებით მართლა ვერავინ გეტყვით, მათი ასეთი „იდეალური“ თეორია რომელ სოციალურ-ეკონომიკურ გათვლას ეყრდნობა, მაგრამ, მეცნიერულ განსჯებს თავი რომ დავანებოთ, იმთავითვე საოცარია, ეს უკიდურესად აგრესიული, რადიკალურად განწყობილი და საზოგადოებისთვის აშკარად მიუღებელი არსებები მშვიდობაზე, ურთიერთგაგებასა და ტოლერანტობაზე რომ საუბრობენ.

რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ სჭირდება იმას, რომ ადამიანები ნებისმიერ არჩევით თუ დანიშვნით თანამდებობაზე არა სექსობრივი ნიშნით, არამედ ცოდნით, გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით უნდა ხვდებოდნენ. ამ აქსიომასაც თავი რომ დავანებოთ, მდგომარეობა მაინც კატასტროფულია.

საქმე ის არის, რომ **ქალებმა მართლაც შეიძლება მოახერხონ დადებითი როლის შესრულება პარლამენტისა თუ სხვა უწყების მუშაობაში, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ქალების“ სახელით ლაპარაკობენ, სინამდვილეში სულაც არ არიან აღჭურვილი საქართველოს მდედრობითი სქესის მოქალაქეებისაგან რაიმე წარმომადგენლობითი უფლებით.**

ისინი, უბრალოდ, იბრალებენ, რომ საქართველოს ქალთა მოთხოვნებს ახმიანებენ, სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იღვწიან. **ასეთი წიოკობით იზიდავენ უცხოელი ე.წ. დონორი ორგანიზაციებისგან გრანტებსა თუ სხვა ტიპის დაფინანსებას და პლუს ამას, ერთგვარი პოლიტიკური შანტაჟის გზით ცდილობენ, ე.წ. გამსვლელ პარტიებს თავიანთი თავი საპარლამენტო სიებში ჩაასმევინონ.**

არადა, დარწმუნებული ვარ, ქალებს შორის რეფერენდუმი რომ ჩატარდეს, ეს „ვითომ ქალები“ 5-პროცენტიან მხარდაჭერასა და ლეგიტიმაციასაც ვერ მიიღებენ. ამის დასამტკიცებლად სოციალური ქსელების გადახედვაც კი კმარა, სადაც, სხვათა შორის, აი, ამ „ქალთა უფლებების თავგადაკლულ დამცველებს“ უფრო მონდომებითა და გულიანად სწორედ ქალები ლანძღავენ „ფეისბუქპოსტებსა“ თუ კომენტარებში, ვიდრე მამაკაცები.

საზოგადოების საყოველთაო აღშფოთებას იწვევს ისიც, რომ, **როდესაც ქვეყანაში უამრავი უკიდურესად ღატაკი და მშიერი ადამიანია, ბიუჯეტიდან ფინანსდება უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში „ქართველ ქალთა“ სამთავრობო და არასამთავრობო დელეგაციების მრავალდღიანი ვიზიტები, რომელთა დროსაც ისინი „ქალთა უფლებების დაცვის“ თემაზე გამართულ კონფერენციებში მონაწილეობენ.**

**ერთ-ერთი ასეთი კონფერენცია, ჩვენი ინფორმაციით, ამ დღეებშიც მიმდინარეობს ოკეანის გაღმა და იქ „ქართველი ქალების“ სახელით ორ კვირაზე მეტი ხნით წარგზავნილ რამდენიმე ათეულ მდედრობითი სქესის უსაქმურზე რა თანხა იქნება დახარჯული, თავად დათვალეთ...**

ჩვენ მხოლოდ შემოგთავაზებთ „ქალთა უფლებების“ ერთ-ერთი უცხოელი დამცველის სატელევიზიო კომენტარს:

**„როგორც გვითხრეს, საქართველოში ჯერაც უმრავლესობაში არიან ქალები, რომლებიც ოჯახს მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე კარიერას. ჩვენი მიზანია, ასეთი ქალების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდეს. ინტენსიურად ვმუშაობთ ამაზე, რათა ყველა ქალამდე მივიტანოთ აზრი, რომ კარიერა არ არის ოჯახთან შედარებით უმნიშვნელო“.**

შეფარულ ჩანაფიქრზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მგონი, ამ ფრაზაში საკმაოდ ღიად არის გამოხატული, რა ტიპის მახინჯი მსოფლმხედველობის დამკვიდრებასაც ფუთავენ ეს გონებრივად მახინჯი ადამიანები „ქალთა უფლებებად“. ასეთი პროპაგანდა, სამწუხაროდ, გარკვეული დროით, მაგრამ მაინც ახდენს გავლენას შედარებით არამტკიცე ნებისყოფის მქონე ქალბატონებზე და, როდესაც ისინი უკვე ხვდებიან, რა „ხაფანგშიც“ აღმოჩნდნენ, ხელში მხოლოდ არეული პირადი ცხოვრება და დეპრესიული ფსიქიკა შერჩებათ ხოლმე.

საბედნიეროდ, **ქალთა უმრავლესობა ნამდვილად არ არის ისეთი უგუნური, რომ ამ მახინჯ პროპაგანდისტებს აჰყვეს. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ სოციალურ ქსელებში ქალების მიერ ამ თემაზე დატოვებული კომენტარები:**

* „თქვენ ვინ დაგავალათ ჩემი დაცვა, თქვე არასრულფასოვანო და დაკოპლექსებულო ვითომ ქალებო?“

* „აუ, მართლა ვერ გავიგე, ვისგან და რისგან მიცავთ?! არასოდეს მამაკაცებისგან დაცვა არ დამჭირვებია და, თუ დამჭირდება, თქვენნაირ დებილებს მაინც არ შევაწუხებ. უთქვენოდაც მშვენივრად დავიცავ თავს“.

* „რა ამათი ტუტუცი თავის საქმეა, ჩემთვის რა იქნება უფრო მნიშვნელოვანი? ვინ გეკითხებათ თქვენ, ოჯახს დავაყენებ წინა პლანზე თუ კარიერას? წადით რა, თქვენს არეულ პირად ცხოვრებას მიხედეთ, თქვე არაქალებო!“

* „ამათ ვინ სთხოვა ჩვენთვის ჭკუის დარიგება?! მიდით რა, ჭამეთ ეგ მუქთა ფულები და ჩუმად მაინც იყავით, თუმცა, ჩუმად რომ იყოთ, გრანტებს ვიღა მოგცემთ?“

* „რატომ ლაპარაკობთ ქალების სახელით? ვინ მოგცათ ამის უფლება? მე, პირადად, მრცხვენია, რომ ქართველი ქალების სახელით უცხოეთში თქვენნაირი არაქალები ლაპარაკობენ!“

* „ვაიმე, გვაცალეთ რა ცხოვრება და ქალობა. რომ გამოვარდებით და გაიძახით, ქართველი ქალები ასე იჩაგრებიან, ისე იჩაგრებიანო, ჯერ გვკითხეთ რა, საერთოდ გვინდა, რომ ჩვენი სახელით ილაპარაკოთ?“

**აი, ასე ეხმაურება ქალების უმრავლესობა „ქალთა დამცველების“ აქტიურობას და, როგორც ჩანს, ქალები სწორედ ამ „ქალთა უფლებების დამცველებისგან“ უფრო არიან დასაცავები, ვიდრე მამაკაცებისგან.**

მაგრამ რა უნდა გააწყო ადამიანმა, როდესაც ყველაფერი მათ ხელშია, კარგად აღჭურვილი და დაფინანსებული მედიასაშუალებების 90 პროცენტი სწორედ მათ ემსახურება და მათ პროპაგანდას უწყობს ხელს?

აშკარად ამის გამოძახილია ისიც, რომ **ეს ადამიანები, საპროტესტო აქციებზე დიდი ვაივაგლახით თავმოყრილ 50-100 კაცს უკვე „მთელ საზოგადოებას“ არქმევენ და ისეთი ჰონორით აყენებენ ამა თუ იმ სრულიად მიუღებელ მოთხოვნას, გეგონება, ყველაზე ცოტა, ნახევარი მილიონი ადამიანი გამოეყვანოთ ქუჩაში.**

გამოცდილი თვალი და დიდი დაკვირვება არც სჭირდება ამის შემჩნევას. მაგალითად, კადრში ჩანს, სულ რაღაც, 100-მდე ადამიანი და ისმის ტელეწამყვანის ხმა: „საზოგადოება ერთხმად მოითხოვს...“ ან „საზოგადოებამ დაგმო...“, ანდა „საზოგადოება ერთსულოვანია იმაში, რომ...“, ან კიდევ: „საზოგადოებრივი პროტესტი ერთსულოვნად დაფიქსირდა...“

და ასე შემდეგ...

**ეს ყოველივე — მაშინ, როდესაც, თუკი საქმე ეხება ისეთ თემებს, რომლებიც ამ მედიასაშუალებებს, არასამთავრობოებსა და მსგავს წარმონაქმნებს ხელს არ აძლევთ, ქუჩაში ათასობით ადამიანი რომ დააყენოს ვინმემ, ჟურნალისტებს არ ავიწყდებათ „ჟურნალისტური მიუკერძოებლობის“ სტანდარტი და მზად აქვთ გამოთქმა: „საზოგადოების ნაწილი...“**

სწორედ ასე „ერთხმად“ გამოვიდა დაახლოებით 150 ადამიანი „ეს შენ გეხება“-ს ორგანიზებულ აქციაზე, რომლის მთავარი ლოზუნგი „გაეთრიე ჩემი საძინებლიდან“ „ქალთა უფლებების დამცველ“ ცნობილ არაქალს — **ბაია პატარაიას** ეჭირა...

გასაგებია, რომ **ამ ლოზუნგით აქციის მონაწილენი ითხოვდნენ, უჩინარი ვიდეოკამერა გატრეულიყო მათი საძინებლიდან... სამაგიეროდ, ხელს არ აძლევდათ და ამიტომ „დაავიწყდათ“, რომ გავრცელებული ე.წ. პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების არც ერთი მსხვერპლი „თავის საძინებელში“ არ იყო გადაღებული.** ხოლო, თუ რატომ არ უნდა იყვნენ ქვეყნის მმართველ რგოლებში ისეთი უზნეო ადამიანები, რომლებსაც ჰყავთ ოფიციალური მეუღლეები და მაინც ერთი კვირის გაცნობილ ვიღაც „პაცნებს“ დაჰყვებიან სასტუმროს ნომრებსა თუ საუნებში, ამის შესახებ ამავე გაზეთის წინა ნომერში უკვე დავწერე.

აკი, სწორედ ეგაა მთავარი პრობლემა — **ამ ადამიანებს, საკუთარ საძინებელში რომ დატეულიყვნენ, ვერც ვერავინ გადაიღებდა და ვერც ვერავინ დააშანტაჟებდა!**

მაგრამ ამ პრობლემის ამ ჭრილში დანახვა ხსენებულ პერსონებს ხელს არ აძლევთ. ეგ კი არა, იუსტიციის მინისტრი საჯაროდ ამუნათებს ტელეეთერით საზოგადოებას: „ჩვენ არ გვჭირდება ვირზე შესმული ახალი მარიტები, ამიტომ ყველამ თავი დაანებეთ ციციკორეობას!“

ხედავთ? **ამ გავარდნილ კახპებს თურმე ნარგიზობაც არ სურთ, პირდაპირ მარიტობას ეტანებიან! ხოლო საზოგადოებას აშინებენ — თუკი ჩვენგან, ანუ მაღალი თანამდებობის პირებისგან, ელემენტარული, მინიმალური ზნეობის დაცვას მაინც მოითხოვთ, ციციკორეებად მოინათლებითო.**

არაერთხელ ვთქვი და კვლავ გავიმეორებ: დანაშაულია და აუცილებლად უნდა დაისაჯოს ის, ვინც ეს კადრები გადაიღო ან გაავრცელა, მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ, **ვინც ამ უზნეო და კახპა ჩინოსნებს მარიტას ადარებს, ხოლო დაზაფრულ საზოგადოებას მინიმალური ზნეობის დაცვის მოთხოვნის გამო ციციკორეს უწოდებს, მას არც მხატვრული ლიტერატურის და არც მხატვრული ფილმის სწორად აღქმისა და გააზრების უნარი არ აქვს...**

კომიკური იყო ისიც, რომ „საზოგადებისგან ერთხმად მხარდაჭერილად“ გასაღდა საქართველოს პრეზიდენტის სრულიად სამარცხვინო გამოსვლა „მდიდარი სექსის“ შესახებ... და, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც „ერთხმად დათანხმებული საზოგადოება“ დაახლოებით 70-მდე ადამიანი იყო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, **ქალების თავისუფლებისა და ქალობის გამოვლინებებისა რა გითხრათ და, ქაჯების ბოგინისა და ქაჯობის ფაქტების მომსწრენი კი ნამდვილად ვართ...**

ამიტომ, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, მათ ლოზუნგში „მეტი ქალი — პარლამენტში!“ ერთი ასო შევცვალოთ და ასე ვთქვათ: **„მეტი ქაჯი პარლამენტში!“**

ზევითაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: **არ ვარ წინააღმდეგი და მგონია, რომ ქალების, ნორმალური ქალების, მართლა ქალების გააქტიურებამ თუნდაც პარლამენტში და თუნდაც სხვა დაწესებულებაში, რაღაცები მართლაც შეიძლება შეცვალოს დადებითად... მაგრამ, აი, ქაჯების შემოსევა ამავე სტრუქტურებში რა შედეგს მოგვიტანს, ამაზე, ალბათ, კარგად გვმართებს დაფიქრება.**

**გიორგი მარგველაშვილი ლამის პორნოვარსკვლავად მოგვევლინა და საკუთარი „მდიდარი სექსუალური ცხოვრებით“ ისე „გვემარიაჟა“, თითქოს ეს პრეზიდენტის პირდაპირი, უშუალო და აუცილებელი მოვალეობა იყოს!**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარგველაშვილის «მდიდარი სექსის» საიდუმლო

**მხოლოდ ქართველი ექსპერტები არ გააოგნა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებამ თავისი სექსუალური ცხოვრების შესახებ, არა. „პირად ცხოვრებაზე“ გადაღებული ვიდეოების მსხვერპლთა მხარდაჭერა პრეზიდენტის მხრიდან სავსებით გასაგებია, მაგრამ ამის გაკეთება ცოტა ზომიერი განცხადებითაც შეიძლებოდა.**



მაგალითად, რომ ეთქვა, სექსი, ეს ჩვეულებრივი შემადგენელია ადამიანის ცხოვრებისა და ის არ შეიძლება იყოს კომპრომატი, მაგრამ გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაცვა ყველა ჩვენგანის, განსაკუთრებით კი, მაღალ საჯარო თანამდებობებზე მყოფი ადამიანების ვალია, ამასთანავე, კატეგორიული უნდა ვიყოთ ამ უკანონო და ამაზრზენი ქმედების ჩამდენების, ანუ ადამიანების ფარული გადაღებისა და ამ კადრების გავრცელების დამკვეთებისა და შემსრულებლების მიმართ და ისინი აუცილებლად უმკაცრესად უნდა დაისაჯონო, — აი ეს იქნებოდა ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე, სერიოზული პრეზიდენტის განცხადება.

**ნაცვლად ასეთი მკაცრი და მოზომილი სიტყვისა, გიორგი მარგველაშვილი ლამის პორნოვარსკვლავად მოგვევლინა და საკუთარი „მდიდარი სექსუალური ცხოვრებით“ ისე „გვემარიაჟა“, თითქოს ეს პრეზიდენტის პირდაპირი, უშუალო და აუცილებელი მოვალეობა იყოს!**

გასაგებიც იქნებოდა უცხოელი და ქართველი ექსპერტების გაოცება, რომ არა ერთი გარემოება, რომელსაც ჩვენმა ზედმეტად ყურადღებიანმა კორესპონდენტმა იმთავითვე მიაქცია ყურადღება. კერძოდ, ეს არის სიტყვა **„მდიდარი“!**

აბა, დაფიქრდით, ხომ შეიძლებოდა მარგველაშვილს წარმოეთქვა სექსის კონტექტსში უფრო შესაფერისი სხვა სიტყვა, მაგალითად, „მრავალფეროვანი სექსი“, „ხშირი სექსი“, „ექსტრავაგანტური სექსი“, „ცეცხლოვანი სექსი“ ან რამე მსგავსი?

არა! მან, მაინცდამაინც სიტყვა „მდიდარი“ აირჩია. რატომ?

აი, სწორედ ამან დააფიქრა ჩვენი ძალიან დაფიქრებული კორესპონდენტი და სწორ კვალზეც გაიყვანა. კერძოდ, მან ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე სპეციალურად დაუსვა ინტრიგანული შეკითხვა გიორგი მარგველაშვილს: „რა აზრის ხართ საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანის შესახებ?”

ამაზე პრეზიდენტს სახე აელეწა და უმალ მიუგო: **„საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანი მე ვარ! თქვენ თუ ფიქრობთ, რომ სიმდიდრე მხოლოდ ფულია, ძალიან ცდებით!“**

ეს პასუხი პრესკონფერენციაზე დამსწრეებმა მარგველაშვილს „ფილოსოფიურ“ პასუხად ჩაუთვალეს, ჩვენი არაფილოსოფოსი კორესპონდენტი კი იმწამსვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში შეპარულ ჩვენს წყაროს სთხოვა, მარგველაშვილისთვის უფრო ყურადღებით ეთვალთვალა.

მალე ყველაფერი გაირკვა. დიდი ხანია, თურმე გიორგი მარგველაშვილი გულზე სკდება, **ბიძინა ივანიშვილს** ვერაფრით რომ ვერ აჯობა ერთ კომპონენტში — სიმდიდრეში. ამის გამო დეპრესიაც დაწყებია, მაგრამ ბოლოს ფსიქოლოგებს ურჩევიათ, — არ არის აუცილებელი, ბიძინას ფულად სიმდიდრეში აჯობო, სხვა სიმდიდრეებიც არსებობსო.

აი, სწორედ ამის შემდეგ გაგიჟდა და გადაირია მარგველაშვილი. იგი თურმე ყოველი „მდიდრულად“ გატარებული სექსუალური ღამის შემდეგ გადის ავლაბრის რეზიდენციის ვერანდაზე, პირზე ხელებს „რუპორივით“ მიიდებს და მთელი ხმით ყვირის სოლოლაკის მიმართულებით: **„შენზე მდიდარი მე ვარ! მდიდარი სექსი მაქვს, მდიდარი!“**

როგორც სანდო წყაროები გვატყობინებენ, ბიძინას მხრიდან ჯერ ამას პასუხი არ მოჰყოლია. რას შვრება მილიარდერი? ჯერ ვერ გაიგონა მარგველაშვილის ომახიან-სექსუალური შეძახილები თუ მაგრად დაიბოღმა და თავის შუშის სასახლეში ჩაიკეტა?

ამაზე პასუხს, ალბათ, უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

**ნეტა რამოღია**

# სკანდალური კანონი — ცნობილ პირებს სექსი მხოლოდ მუზარადებით ექნებათ

**სექსსკანდალების შემდეგ პარლამენტის შემადგენლობა სერიოზულად დაფიქრდა და გადაწყვეტილებაც უმალ მიიღო. მართალია, სექსზე უარს ვერავინ იტყვის, მაგრამ მისი ფარულად გადაღების შემთხვევაში აქტში მონაწილე პირთა იდენტიფიცირება ველარ მოხდება. როგორც ჩვენმა ანონიმმა წყარომ გვაცნობა, კანონპროექტზე მუშაობა სწრაფად მიმდინარეობს და საკანონმდებლო ორგანო მას უახლოეს დღეებში მიიღებს.**

**პარლამენტარებს განსახილველად წარედგინებათ კანონპროექტი «ცნობილი პირების ოჯახგარეთა ინტიმურ-სექსუალური ქცევების დარეგულირების შესახებ». როგორც ამბობენ, ამ კანონპროექტში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული პირობები იმისათვის, რომ მოხდეს საჯარო პირთა სექსუალური ცხოვრების პრევენცია და, თუ სექსუალური ფაქტები მაინც მოხდა, მაქსიმალურად იყოს გამორიცხული მასში მონაწილე პირთა იდენტიფიცირება**

ახლა კი წარმოგიდგენთ დოკუმენტის სამუშაო ვერსიას, რომელიც ჩვენს ინფორმატორს იმ მომენტში ჩაუვარდა ხელში, როდესაც მისი ავტორი საპირფარეშოში შევიდა, ფურცელი კი მაგიდაზე დარჩა.

საქართველოს პარლამენტში მალე შეიქმნება **„ინტიმური ცხოვრებისა და სექსუალური პროცედურების დაცვის საკითხთა კომიტეტი“.**

ამ კომიტეტის უშუალო ინიციატივით კი პარლამენტარებს განსახილველად წარედგინებათ კანონპროექტი **„ცნობილი პირების ოჯახგარეთა ინტიმურ-სექსუალური ქცევების დარეგულირების შესახებ“.** როგორც ამბობენ, ამ კანონპროექტში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული პირობები იმისათვის, რომ მოხდეს საჯარო პირთა სექსუალური ცხოვრების პრევენცია და, თუ სექსუალური ფაქტები მაინც მოხდა, მაქსიმალურად იყოს გამორიცხული მასში მონაწილე პირთა იდენტიფიცირება.

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ პუნქტებსაც:

2016 წლის 31 მარტიდან ნებისმიერ საჯარო პირს, რომელიც ერთხელ მაინც გამოჩენილა ნებისმიერ მედიასაშუალებაში, სექსუალური ცხოვრების მეთოდები კანონის შესაბამისად შეეზღუდოს. კერძოდ, თუ მოქალაქემ დაგეგმა სექსუალური აქტი მეორე პირთან (სქესის მიუხედავად) და ის წარმოადგენს საჯარო თანამდებობის ან ცნობილ პირს, ვალდებულია, დაიცვას ინტიმური აქტის რამდენიმე ძირითადი პრინციპი:

**1. ვალდებულია, სქესობრივი აქტისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე (ბინა, სასტუმრო, საუნა ან სხვა მოფარებული ადგილი) გამოიყენოს სპეცნიღაბი, პლასტმასის მუზარადი ან სხვა ნებისმიერი საშუალება, რომლითაც მისი იდენტიფიცირება შეუძლებელი იქნება;**

**2. აეკრძალოს სქესობრივ აქტში მონაწილე პირს ემოციური ხმების გამოცემა (მაგალითად: კვნესა, ოხვრა და სიმულაცია), რათა მისი ფარული გადაღების შემთხვევაში არ მოხდეს რომელიმე პირის უნებლიე იდენტიფიცირება, რამაც შესაძლოა რომელიმე მხარეს პრობლემა შეუქმნას.**

*****ამ კანონპროექტს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და იმუქრებიან, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის გაუქმდება.

***** კანონპროექტს იწონებენ ვაკე-საბურთალოს, მთაწმინდა-კრწანისის, გლდანი-ნაძალადევის, ისან-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთისა და ორხევი-ლილოს რაიონების ბოზები.

**მათ მხარს უბამენ ინტელექტის არმქონე ტელებოზები — პროფილელი დიანა, ნანუკელი სილვა და ჯაჯანიძელი ინა.**

**ფრიდომ პირადია**

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველაზე ტკბილად მახსენდება ჩემს შვილთან გატარებული ლამაზი დღეები. დედაშვილობის გარდა, მეგობრული ურთიერთობაც გვქონდა... როცა დავშორდით, ვიცოდი, რა სულიერი ტკივილიც მელოდა; ვიცოდი, როგორ მომენატრებოდა და თვითონაც გაუჭირდებოდა უჩემობა. ამას მხოლოდ ემიგრანტები გამიგებენ, იმასაც, რასაც განვიცდი ან რა მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როცა ერთ დღეს დამირეკა ჩემმა შვილმა ტირილით, — დედა, ჩამოდი, ავად ვარ უშენოდ... 23 წლის ვაჟკაცი რომ აქვითინდება, ეს ხომ მონატრების უკიდურესი გამოვლენაა“**



## ბელგიაში ტერორისტებმა ოთხი პოლიციელი დაჭრეს

**პარიზის ტერაქტების საქმეზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ბრიუსელში ოთხი პოლიციელი დაიჭრა, მათგან ერთი მძიმედ. დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

პოლიციელს ტყვია თავში აქვს მოხვედრილი. სამართალდამცველებს ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც ისინი ერთ-ერთი სახლის გასაჩხრეკად მივიდნენ. მომხდარზე დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება. ასევე უცნობია, რამდენი სავარაუდო ტერორისტი მონაწილეობდა სროლებში, რომლებიც მათ და სამართალდამცველებს შორის მიმდინარეობდა. შემთხვევის ადგილზე 50-ზე მეტი პოლიციელი, სამხედროთა ქვედანაყოფი და ჯავშანმანქანებია თავმოყრილი.



## ფრანგმა სამართალდამცველებმა ოთხი ისლამისტი დააკავეს

**ფრანგმა სამართალდამცველებმა დააკავეს ოთხი ისლამისტი, რომლებიც პარიზის ცენტრში ტერაქტებს გეგმავდნენ.** ამის შესახებ ფრანგული მედია იტყობინება. რეიდებისას სამი მამაკაცი და ერთი ქალი დააკავეს. საფრანგეთის უშიშროების სამსახურები ინფორმაციას ფლობდნენ, რომ აღნიშნულ პირებს ისლამისტურ დაჯგუფებებთან ჰქონდათ კავშირი.

# წინა და ამჟამინდელი ხელისუფლება — ორივე დამნაშავეა!

**პროფესიით ეკონომისტ მანანა არაბულს, ისევე, როგორც ემიგრანტთა უმრავლესობას, გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოუწია საქართველოს დატოვება და უკვე 7 წელი ემიგრაციაშია. ამჟამად საბერძნეთის დედაქალაქ ათენში იმყოფება და ერთ-ერთ ოჯახში მოხუცის მომვლელად მუშაობს.**



— საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, როგორც ყველა ემიგრანტი, მეც იძულებული შევიქენი, დამეტოვებინა სამშობლო, თუმცა წასვლა დიდი გულისტკივილისა და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე. კარგად მახსოვს ის საბედისწერო დღე იმიტომ, რომ სწორედ იმ დღეს ვიგრძენი გაორება, სიცარიელე. იმ დღეს გაუფასურდა ჩემი ცხოვრება... მახსოვს, გზადაგზა ვემშვიდობებოდი ყველას, სწორედ მაშინ ვიგრძენი სამშობლოს დიდი სიყვარული.

**— ამჟამად რა პირობებში გიწევთ მუშაობა?**

— ვერ ვიტყვი, რომ ცუდ პირობებში მიწევს მუშაობა. ისე კი, ხშირად მესმის, რომ სულგამწარებული ემიგრანტები ფიზიკური და მორალური წნეხის ქვეშ მუშაობენ, რაც ნამდვილად გაუსაძლისია. ძნელია, სხვა ქვეყნის კულტურისა და მენტალობის გათავისება, უფრო მეტიც — აუტანელი! ენის ბარიერის გადალახვა, გარემოსთან შეგუება... ყველაფერი ერთად დისკომფორტს გვიქმნის და საკუთარ თავს გვაკარგვინებს. სხვისი ცხოვრების წესით ცხოვრება და საკუთარი „მეს“ დავიწყება, მძიმე მდგომარეობაში გვაგდებს. „მეს“ დაკარგვა იმიტომ, რომ გონება უფუნქციო ხდება, არავინ ითვალისწინებს ჩვენს აზრს, თუმცა, უფლის შეწევნით, მე არ გამივლია ეს ეტაპი, არასოდეს მიგრძვნია თავი დამცირებულად.

უკვე 7 წელია, ვმუშაობ ერთ ოჯახში, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მართლა ესმით ჩვენი და გვაფასებენ ჩვენი თვისებებით. რთულია პირველი დღე, როცა შედიხარ უცხო ოჯახში, არ იცი ენა და მათი წესები. არ იციან, ვინ ხარ და არც აინტერესებთ, არადა, იქნებ მე მათზე უკეთესი წარმომავლობა მაქვს, იქნებ მათზე მეტი ვიცი?! გიყურებენ ვიზუალურად და გაფასებენ, შეძლებ თუ არა მუშაობას, ეს არის მათი მთავარი მიზანი. თუმცა, უფლის წყალობით, არიან ადამიანები, რომლებსაც აინტერესებთ ჩვენი ავიც და კარგიც, ჩვენი განათლების დონეც და პირვანდელი საქმიანობაც. ბერძნებზე ვერ ვიტყვი, რომ უგულო ხალხია. უყვართ ადამიანის დახმარება, შეფარება და დაპურება, მშვიდობიანი ურთიერთობა და არასოდეს გაგიმეტებენ ცუდისთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველგან არის გამონაკლისი. ყველა ერშია ცუდიც და კარგიც. **ჩემი დამოკიდებულება იმ ოჯახის მიმართ, რომელთანაც უკვე 7 წელი ვცხოვრობ და ვმუშაობ, ძალიან დადებითია. მქვია მოსამსახურე — „კოპელა“, მაგრამ ისე მიმიღეს, რომ ოჯახის სრულუფლებიან წევრად მთვლიან.** რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ასეა. პირველი დღეები კი, ვიდრე გამიცნობდნენ, მართლა მძიმე მქონდა. მსმენია, რომ ჩვენს ემიგრანტებს ხშირად აქვთ კრიტიკული მომენტები, მაგალითად, ავტოფარეხში სძინავთ. ბევრს საქართველოში არ გადაუტანია ისეთი გაჭირვება, როგორსაც აქ იტანს. მწარეა ამ ყველაფრის გახსენება... ბევრი გაჭირვებული მომიყვანია ამ ოჯახში, დაგვიპურებია, ოჯახის უფროს ქალბატონს მიუცია მათთვის საკვებიც და ტანსაცმელიც...

**— ემიგრანტებს დიდი ტკივილის ფასად უწევთ უცხოეთში მუშაობა...**

— სამშობლოსა და ახლობლების მონატრება ძალიან ძნელი გადასატანია, უფრო მეტიც, გაუსაძლისი! ამ განცდას ვერაფით ჩაანაცვლებ. **ყველაზე მძიმე სასჯელი — ასე დავარქვი ჩემს ყოფას. მენატრება შვილი, ყველა ახლობელი; მენატრება საფლავების ქვებთან მისვლა და მოფერება; მენატრება საქართველოს ცა, მიწა, ჰაერი...** ვის მიუძღვის წვლილი ჩვენს გადახვეწაში, თუ არა ჩვენს უთავო ხელისუფლებას, რადგან საქართველოში არ არის საარსებო წყარო და იძულებული ხარ, დატოვო შვილები. სწორედ ასეთ ვითარებაში ხდება ჩვენი გარდაქმნა, გვიჩნდება სხვა თვისებები, იცვლება ჩვენი სულიერი სამყარო.

**— ვხვდები, რომ სამშობლო ძალიან გენატრებათ...**

— მწუხარებასთან ერთად მახსენდება ჩემს შვილთან, ახლობლებთან და უახლოეს მეგობრებთან საქართველოში ტკბილად გატარებული დღეები; **ყველაზე ტკბილად მახსენდება ჩემს შვილთან გატარებული ლამაზი დღეები. დედაშვილობის გარდა, მეგობრული ურთიერთობაც გვქონდა... როცა დავშორდით, ვიცოდი, რა სულიერი ტკივილიც მელოდა, ვიცოდი, როგორ მომენატრებოდა და თვითონაც გაუჭირდებოდა უჩემობა. ამას მხოლოდ ემიგრანტები გამიგებენ, იმასაც, რასაც განვიცდი ან რა მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როცა ერთ დღეს დამირეკა ჩემმა შვილმა ტირილით, — დედა, ჩამოდი, ავად ვარ უშენოდ... 23 წლის ვაჟკაცი რომ აქვითინდება, ეს ხომ მონატრების უკიდურესი გამოვლენაა.** ღამე იყო და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, წამოსვლა გადავწყვიტე, ვიჯექი აივანზე და ველოდებოდი გათენებას, უკვე აღარ მაინტერესებდა არაფერი, ოღონდაც კი შვილთან მივსულიყავი და დამემშვიდებინა, მაგრამ... ასე შორდება დედებისა და შვილების გულები ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის უკიდურესად გაჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

**— ემიგრანტები ასეთი გაუსაძლისი პირობების შექმნაში ხელისუფლებას ადანაშაულებენ...**

**— წინა და ამჟამინდელი ხელისუფლება — ორივე დამნაშავეა! ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობა და სრული ქაოსი, უსამართლობა და გაწუკითხაობაა, ადამიანების უგულებელყოფა და გაუფასურება. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის დღითიდღე გაუარესება ემიგრანტებს მხრებზე მძიმედ გვაწვება. პრობლემური ქვეყანა გახდა საქართველო,** ქვეყანა, სადაც მრეწველობა ყველაზე დაბალ დონეზეა, დიდი დროა კიდევ საჭირო, რომ ეკონომიკა განვითარდეს. აქედან გამომდინარე, მიჭირს დაბრუნება, თუმცა იმედი მაქვს, რომ უფლის ნებით, მალე დავბრუნდები.

**— რას ეტყოდით ქართველებს?**

— ჩემს ერს, სრულიად საქართველოს მინდა ვუთხრა, რომ ჩვენ გამორჩეული ერი, უძველესი ქრისტიანი მართლმადიდებლები ვართ! არაფერს მოგვიტანს ურთიერთმტრობა და შური. ვხედავთ, რომ ინგრევა ქვეყანა კაცთმოძულეობით. მინდა, მოგეფეროთ ყველას, ჩემს სისხლსა და ხორცს. ჩვენ ხომ ძლიერი და შემოქმედი ერი ვართ, ჩვენი ქვეყანა ღვთის საუნჯეა. ქართული გენი ძლიერია, სისხლი კი — ყველაზე თბილი. მჯერა, საქართველო გაბრწყინდება და ყველა ჩვენგანი ბედნიერად იცხოვრებს.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**«ყველაზე მძიმე სასჯელი — ასე დავარქვი ჩემს ყოფას. მენატრება შვილი, ყველა ახლობელი; მენატრება საფლავების ქვებთან მისვლა და მოფერება; მენატრება საქართველოს ცა, მიწა, ჰაერი... ვის მიუძღვის წვლილი ჩვენს გადახვეწნაში, თუ არა ჩვენს უთავო ხელისუფლებას, რადგან საქართველოში არ არის საარსებო პირობები, იძულებული ხარ, დატოვო შვილები»**

მსოფლიო

## ბარაკ ობამა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ახალ სანქციებს აწესებს

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებაზე ბრძანებას მოაწერა ხელი.**

ვაშინგტონმა სანქციების დაწესების გადაწყვეტილება ფხენიანის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდის საპასუხოდ მიიღო. ამერიკული მხარის ცნობით, სანქციები მკაცრი იქნება, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა ზომებზეა საუბარი. „აშშ და მსოფლიოს საზოგადოება არ მოითმენენ ჩრდილოეთ კორეის დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც ბირთვული და ბალისტიკური რაკეტების გამოცდას უკავშირდება. სანქციების დაწესებას იქამდე გავაგრძელებთ, სანამ ჩრდილოეთ კორეა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას არ დაიწყებს“, — აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა.





## საუდის არაბეთში ქალი უფლებებით თხას გაუთანაბრეს

**საუდის არაბეთში მეცნიერთა კოლეგია სენსაციურ დასკვნამდე მივიდა — დაადგინა, რომ ქალი ნამდვილად განეკუთვნება ძუძუმწოვართა კლასს და, აქედან გამომდინარე, უნდა სარგებლობდნენ ისეთივე უფლებებით, როგორიც აქვთ ამ კლასის წარმომადგენელ სხვა ცხოველებს, მაგალითად, თხას, აქლემს და ა.შ.** ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, რომლებსაც სასაცილოდ არ ეყოთ საუდის არაბეთის მეცნიერთა „ანთროპოლოგიური“ აღმოჩენა, აღნიშნავენ, რომ ეს სინამდვილეში ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს: „ჯერ კიდევ გუშინ ამ ქვეყანაში ქალი უსულო არსებად ითვლებოდა და საყოფაცხოვრებო ნივთზე მეტად არ ფასობდა, ახლა კი მას ცხოველთა უფლებები მაინც აქვს და ამით თხასა და აქლემს გაუთანაბრდნენ“.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა
# დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## ამერიკელი ჰომოსექსუალი სამხედრო მეზღვაურის ქმარი «სამხედროს საუკეთესო ქმრის» ტიტულის მოსაპოვებლად წარადგინეს

**სან-დიეგოში მდებარე სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდლობამ გადაწყვიტა, ლგბტ თემის წარმომადგენელი პრესტიჟულ საქველმოქმედო პრემიაზე წარადგინოს.**

აშშ-ის არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიაში პირველად 1 კლასის სერჟანტის ქმარი წლის „სამხედროს ქმრის“ ტიტულის მოსაპოვებლად წარადგინეს. **ბრაიან ალვარადომ** ორი წლის წინათ იქორწინა **მეთიუ ალვარადოზე,** რომელიც 17 წლის განმავლობაში მსახურობდა ფლოტში.

სან დიეგოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობამ ბრაიან ალ **ალვარადო** „სამხედროს საუკეთესო ქმრის“ ნომინაციაზე წარადგინა ცოლის — მეთიუს ერთ-ერთი უფროსის რეკომენდაცით, რომელიც მისი ქმრის „კეთილი საქმეებით“ მოიხიბლა.

პრემია წლის „სამხედროს ქმარი“ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ასოციაციამ დააწესა.






## აშშ-ში გეიბავშვებისთვის სკოლა გახსნეს

**„ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში გახსნეს სკოლა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება — კერძო სკოლა ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის, რომლებიც თავს სექსუმცირესობის წარმომადგენლებად მიიჩნევენ“, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „ასოშეითედ პრესი“.**

„ბავშვებს, ისევე, როგორც მასწავლებლებს, აქვთ სრული უფლება, იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან“, — განაცხადა სკოლის დამფუძნებელმა, ტრანსგენდერმა **კრისტიან ზილავეცმა.** მისი თქმით, სკოლა იქნება დაწესებულება, რომელშიც დაწყებითი და საშუალო განათლების მიღება შეეძლება არა მხოლოდ ლგბტ თემის წარმომადგენლებს, არამედ სტუდენტებსაც, რომლებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა, რათა გახდნენ „სხვანაირები“.

## 52 წლის მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ 6 წლის გოგონაა და ოჯახი მიატოვა

**ქალაქ ტორონტოში (კანადა) მცხოვრებმა 7 შვილის მამამ 23-წლიანი ქორწინების შემდეგ ოჯახი მიატოვა. 52 წლის პაულ ვოლსკი ჰორმონების დახმარებით ცდილობს, 6 წლის გოგონად იქცეს.**



პაულ ვოლსკი მშობლების ოჯახში, რომლებმაც იშვილეს, ყვავილებიან კაბას იცვამს და ბაფთას ატარებს.

მამაკაცი 46 წლის იყო, როდესაც მეუღლეს განუცხადა, რომ თავს ბავშვად მიიჩნევს, გოგონად. შემდეგ თავისი ნივთები ჩემოდანში ჩაალაგა და საცხოვრებლად გადავიდა მეგობრებთან, რომლებსაც დედასა და მამას უწოდებს. „გოგონა პაულის“ საყვარელი საქმიანობა არის თამაში და კაბაში გამოწყობა.

„არ შემიძლია უარვყო, რომ მე დაქორწინებული ვიყავი; არ შემიძლია უარვყო, მე მყავს შვილები, მაგრამ მე წინ წავიწიე და დავბრუნდი იმისთვის, რომ ვიყო ბავშვი. ახლა არ მინდა, დიდი ადამიანი ვიყო“, — მოჰყავს კანადელი მამაკაცის ფრაზა გამოცემა „მირორს“.

ვოლსკის აზრით, ასეთი ცვლილება იმიტომ განიცადა, რომ ბავშვობა, პრაქტიკულად, არ ჰქონია. გოგონას მაქსიმალურად რომ დაემსგავსოს, ის 2009 წლიდან იღებს ჰორმონებს. პაულმა აღნიშნა, რომ ახალი „მშობლების“ ოჯახი — შვილები და შვილიშვილები — მას მხარს უჭერს, ხოლო, როცა ნამდვილი ოჯახის წევრებმა ქორწილში დაპატიჟეს და მოსთხოვეს, მამაკაცივით ჩაეცვა. ამის გამო პაულს დეპრესია დაემართა და სიცოცხლე კინაღამ თვითმკვლელობით დაასრულა, ექიმებმა გადაარჩინეს.





## ამერიკელი მოზარდების ნახევარი ჰომო და ბისექსუალია

**სააგენტო „ჯ. ვალტერ ტომპსონ ინოვეიშენ გრუპ“-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 13-დან 20 წლამდე ამერიკელები უფრო გულწრფელები არიან სექსუალური და გენდერული იდენტურობის საკითხებში, ვიდრე მათი უფროსი თანამემამულეები.**

თაობა Z-ის (ასე უწოდებენ ამ დემოგრაფიულ ჯგუფს მკვლევარები) მხოლოდ ***48%*** მიიჩნევს თავს ჰეტეროსექსუალად, 21-დან 34 წლამდე ჯგუფის წარმომადგენელთა შორის კი ასეთად თავს ***65%*** თვლის.

მოზარდების მესამედზე მეტი თავს ბისექსუალად მიიჩნევს, უფროს ასაკობრივ ჯგუფში კი — 24%.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დონის როსტოვში ავიაკატასტროფას 62 ადამიანი ემსხვერპლა



**„ბოინგმა" დონის როსტოვის აეროპორტში დაშვებისას კატასტროფა განიცადა, რომელსაც 62 ადამიანი ემსხვერპლა. დაღუპულთაგან 55 მგზავრია, მათ შორის — 4 ბავშვი, დანარჩენები ეკიპაჟის წევრები იყვნენ.** თვითმფრინავი დუბაიდან როსტოვის მიმართულებით ასრულებდა რეისს. დაღუპულთა უმეტესობა რუსეთის მოქალაქეა, მათ გარდა არიან უკრაინის, უზბეკეთისა და ინდოეთის მოქალაქეებიც. ავიაკატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება.

## უნგრეთი ევროპული დემოკრატიისგან თავს მავთულხლართებით იცავს



**მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რუმინეთის ხელისუფლება, ბრიუსელის ზემოქმედებით, 2016-2017 წლებში 6200 ლტოლვილის მიღებას აპირებს, მეზობელი უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა უბრძანა შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს, კედლით გამიჯნონ უნგრეთ-რუმინეთის საზღვარი, რათა თავიდან აიცილონ არალეგალების შემოსვლა რუმინეთიდან.**

უნგრეთის მოსაზღვრე ყველა ქვეყანასთან (უკრაინა, სლოვაკეთი, ავტრია, სლოვენია, ხორვატია, სერბეთი, რუმინეთი) შედარებით, რუმინეთის საზღვარი ყველაზე გრძელია – 440 კმ. ხორვატიას, სერბეთსა და სლოვენიასთან მომიჯნავე საზღვრებზე უნგრელებმა უკვე აღმართეს კედელი. რუმინეთის საზღვარზეც ასეთივე გაკეთდება — სამი რიგისგან შემდგარი მავთულხლართების 4-მეტრიანი ზღუდე.

2016 წელს უნგრეთი რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს მისთვის თავსმოხვეული 2300 ლტოლვილის კვოტის საკითხზე. უნგრეთის პრემიერი ლტოლვილებს უწინდებურად დამპყრობლებს უწოდებს და აცხადებს: „ბანდიტები ვერ ინადირებენ ჩვენს ცოლებსა და ქალიშვილებზე!"

## დამასკომ თურქეთი, ყატარი და საუდის არაბეთი ტერორიზმის დაფინანსებაში დაადანაშაულა



**თურქეთი ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს", ყატარი და საუდის არაბეთი კი „ჯებჰათ ან-ნუსრას" ასპონსორებენ, — განაცხადა სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ბასარ ჯააფარიმ.**

„საიდუმლო არაა, რომ თურქეთი „ისლამურ სახელმწიფოს" აფინანსებს და ეხმარება მის წევრებს სირიაში", — განაცხადა ჯააფარიმ.

მუდმივი წარმომადგენლის თქმით, სპარსეთის ყურის ზოგიერთი სახელმწიფო ასევე ხელს უწყობს ბოევიკებს. „საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ყატარი და საუდის არაბეთი „ჯებჰათ ან-ნუსრას" აფინასებენ, ფულს იხდიან მათ წვრთნასა და შეიარაღებაში", — აღნიშნა ჯააფარიმ და დასძინა, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნებს სირიაში გაჩაღებულ სისხლისღვრაში ადანაშაულებს, მათ შორის იმის გამოც, რომ ისინი ვაჰაბიზმის ფილოსოფიის მიმდევრები არიან.

შეგახსენებთ, რომ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 15 წევრმა-ქვეყანამ მხარი დაუჭირა რუსეთისა და აშშ-ის მიერ მომზადებულ რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის მხარდასაჭერად სირიაში, რომელიც 27 თებერვალს ამოქმედდა.

## პენტაგონის ხელმძღვანელმა რუსეთს აშშ-ისთვის უპირველესი გლობალური საფრთხე უწოდა



**აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა აშშ-ის სენატში სიტყვით გამოსვლისას, სადაც 2017 წლის თავდაცვის ბიუჯეტი განიხილებოდა, რუსეთი აშშ-ის უსაფრთხოების გლობალურ-სტრატეგიული გამოწვევების სიის სათავეში დაასახელა.**

კარტერმა აშშ-სთვის ხუთი გლობალურ-სტრატეგიული გამოწვევა დაასახელა: **რუსეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, ირანი და ტერორიზმი.** „სწორედ ამ გამოწვევების მიხედვით გეგმავს ბიუჯეტს თავდაცვის უწყება", — ნათქვამია პენტაგონის პრესრელიზში.

ამასთანავე, ეშტონ კარტერმა რუსეთი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იმ მეტოქეებად დაასახელა, რომლებსაც განვითარებული აქვთ სამხედრო სისტემა, რომელიც „ზოგიერთ სფეროში აშშ-ის უპირატესობის წინააღმდეგაა მიმართული. დღევანდელი მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რაც იყო ბოლო 25 წლის განმავლობაში. ის ახალ ინვესტიციებსა და ქმედებებს მოითხოვს", — განუცხადა ეშტონ კარტერმა სენატორებს.

როგორც პენტაგონში აცხადებენ, **ახალი სამხედრო ბიუჯეტისთვის საჭიროა თითქმის 523.9-582.7 მილიარდი დოლარი, აქედან 58.8 მლრდ — მხოლოდ სამხედრო ოპერაციების დასაფინანსებლად საზღვარგარეთ.**

აშშ-ის არმიის პრესსპიკერის — პატრიკ მერფის ამასწინანდელი განცხადებით, პენტაგონის ახალი, 2017 წლის ბიუჯეტი „მინიმალურად ადეკვატურია".

აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სამხედრო ხარჯების შემცირება 27 მილიარდი დოლარით სურდა, რაც შეიარაღების ზოგიერთი დიდი პროგრამის შემცირებას გამოიწვევდა.

## სახელმწიფო სათათბირო ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ სანქციების შემოღებაზე მოუწოდებს



**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა რფ-ის კომუნისტური პარტიიდან პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მოუწოდეს, შემოიღოს სანქციები აშშ–ის პრეზიდენტობის კანდიდატი ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ.**

ინიციატივის ავტორთა აზრით, ჰილარი კლინტონი ე. წ. იაროშენკოს სიის ძირითად ფიგურანტად უნდა იქცეს, რომელიც რუსი მფრინავის — კონსტანტინ იაროშენკოს საქმეს უკავშირდება. იაროშენკო სასჯელს იხდის აშშ–ის ციხეში. შესაბამისი სადეპუტატო მოთხოვნა გაგზავნილია პუტინისა და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის სახელზე. კლინტონის გარდა, დეპუტატები სანქციების დაწესებას ითხოვენ ნიუ იორკის სამხრეთ ოლქის ფედერალურ პროკურორი **პრიტა ბჰარარის**, საოლქო მოსამართლე **ჯედ რაკოფის**, აგრეთვე, აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალური სააგენტოს აფრიკის განყოფილების ხელმძღვანელი **სემ გეიეს** წინააღმდეგ.

## პენტაგონმა სირიის ოპოზიციური ძალების წვრთნაზე 500 მლნ დოლარი დახარჯა



**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ სირიის ოპოზიციური ძალების წვრთნისა და მხარდაჭერის შარშანდელი პროგრამა დახურა, რომელიც პენტაგონს 500 მლნ დოლარი დაუჯდა და სასურველი შედეგებიც ვერ მოუტანა. ამის თაობაზე წერს ჟურნალი „ფორინ პოლისი".**

გამოცემის ცნობით, პროგრამა 2015 წლის გაზაფხულზე დაიწყო და წლის ბოლოსთვის 5 ათასი მეამბოხის მომზადებას ითვალისწინებდა, თუმცა დეზერტირობისა და სხვა გასამხედროებული ჯგუფების მხრიდან თავდასხმების გამო, გაიწვრთნა და დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ იბრძოდა მხოლოდ მეომართა პატარა ჯგუფი. „საუბარია 4 თუ 5 მებრძოლზე", — განაცხადა აშშ-ის არმიის გენერალმა **ლოიდ ოსტინმა** აშშ-ის სენატში შეიარაღების საქმეთა კომიტეტის მოსმენაზე სიტყვით გამოსვლისას.

ჯერ კიდევ 2015 წელს რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ ოპოზიციის ქვედანაყოფების მხარდაჭერის პენტაგონისეული გეგმა „რეალობას მოწყვეტილია", — აღნიშნავს გამოცემა.

## რუსებმა ჰიპერბგერითი იარაღი გამოსცადეს





**რუსეთში ჰიპერბგერითი ფრთოსანი რაკეტა „ცირკონის" გამოცდა დაიწყო, რომლის სიჩქარეც ბგერის სიჩქარეს 5-6-ჯერ აღემატება. იუწყება ამერიკული გამოცემა „ნეიშენალ ინტერესტი".**

**„როგორც ჩანს, რუსეთმა თავისი ჰიპერბგერითი ფრთოსანი რაკეტა 3М22 „ცირკონის" გამოცდა დაიწყო", — წერს „ნეიშენალ ინტერესტი".** ამჟამად რაკეტა გამოცდას გადის სახმელეთო პოლიგონზე. 3М22 „ცირკონმა" გემსაწინააღმდეგო რაკეტა პ-700 „გრანიტი" უნდა ჩაანაცვლოს. მართალია, რაკეტა შორი მოქმედების არ არის, მაგრამ მის ჩამოგდებას თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ვერ შეძლებს, რადგან მისი სიჩქარე 5-6 მახს აღწევს.

გამოცემა ირწმუნება, რომ ახალი რაკეტებით ატომურ კრეისერებს — „პეტრე დიდსა" და „ადმირალ ნახიმოვს" აღჭურვავენ, თითოეული 80 რაკეტას დაიტევს.

**რუსული თერმობარული ბომბის წონა, ამერიკულ ანალოგთან შედარებით, ნაკლებია, მაგრამ ნანოტექნოლოგიების გამოყენების წყალობით მასზე 4-ჯერ მძლავრია და შეუძლია, 20-ჯერ მეტი ფართობი დააზიანოს — 180 კვარტალი (ამერიკული ბომბის მაჩვენებელი 9 კვარტალია). ამასთანავე, რუსული თერმობარული ბომბის აფეთქების ეპიცენტრში ტემპერატურა 2-ჯერ მეტია ამერიკულ ბომბთან შედარებით და ტრინიტროტოლუოლის სიმძლავრეს 6,2-ჯერ აღემატება.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ყველა ბომბის მამა»



**„ყველა ბომბის მამა“ („ფეიზერ ოფ ალ ბომბს“) — არაოფიციალურად ასე უწოდებენ ყველა ქვეყნის სამხედროები რუსულ „ჰაერი-მიწა“ კლასის მაღალი სიმძლავრის საავიაციო თერმობარულ (სითბურ-მოცულობით) ბომბს, რომელიც არაბირთვულ საბრძოლო მასალებს შორის ყველაზე მძლავრ საბრძოლო მასალად ითვლება. ეს სახელი მას ფუგასური მოქმედების დიდი კალიბრის ამერიკული საბრძოლო მასალის „ყველა ბომბის დედა“-ს საწინააღმდეგოდ უწოდეს.**

ამ ბომბის კოდიფიკაცია და შემქმნელის სახელი გასაიდუმლოებულია, თუმცა ცნობილია, რომ ამ ბომბით აღჭურვილია რუსეთის საჰაერო ძალების სტრატეგიული ბომბდამშენი „ტუ-160“, რომლიდანაც პირველად 2007 წლის სექტემბერში ჩადმოაგდეს პარაშუტით.

„ყველა ბომბის მამის“ გამოცდამ აჩვენა, რომ ის ეფექტიანობითა და შესაძლებლობებით თითქმის არაფრით ჩამოუვარდება ბირთვულ ბომბს, ამასთანავე, ბირთვული საბრძოლო მასალისგან განსხვავებით რადიაციით არ აბინძურებს და აზიანებს გარემოს.

რუსული თერმობარული ბომბის წონა, ამერიკულ ანალოგთან შედარებით, ნაკლებია, მაგრამ ნანოტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, მასზე 4-ჯერ მძლავრია და შეუძლია, 20-ჯერ მეტი ფართობი დააზიანოს — 180 კვარტალი (ამერიკული ბომბის მაჩვენებელი 9 კვარტალია). ამასთანავე, რუსული თერმობარული ბომბის აფეთქების ეპიცენტრში ტემპერატურა 2-ჯერ მეტია ამერიკულ ბომბთან შედარებით და ტრინიტროტოლუოლის სიმძლავრეს 6,2-ჯერ აღემატება.

**მოქმედების პრინციპი:** **ჰაერში ფეთქდება გაფრქვეული თხევადი საწვავი ნივთიერების ღრუბელი; ნგრევას, ძირითადად, იწვევს დარტყმის ზებგერითი ტალღა და ძალიან მაღალი ტემპერატურა.**




## ამერიკული და რუსული ბომბების შედარება

| | „ყველა ბომბის დედა“ (აშშ) | „ყველა ბომბის მამა“ (რუსეთი) |
|---|---|---|
| ასაფეთქებელი ნივთიერების მასა, კგ | 8200 | 7100 |
| ეკვივალენტი ტროტილში, ტონა | 11 | 44 |
| გარანტირებული დაზიანების რადიუსი (მ) | 150 | 300 |

## დაზიანების ზონების თეორიული გათვლა (ტროტილის ეკვივალენტი)

| დაშორება აფეთქების ეპიცენტრიდან, მ | შედეგი |
|---|---|
| 90 მ-მდე | ყველაზე გამაგრებული კონსტრუქციების დანგრევა |
| 1700 მ-მდე | ძალიან გამაგრებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციების თითქმის სრული დანგრევა, გაუმაგრებელი კონსტრუქციების (საცხ. სახლები) სრული ნგრევა |
| 300 მ-მდე | გაუმაგრებელი კონსტრუქციების პრაქტიკულად სრული დანგრევა, გამაგრებული კონსტრუქციების ნაწილობრივი დანგრევა |
| 1120 მ-მდე | დარტყმის ტალღის შედეგად იმსხვრევა შუშის კონსტრუქციები |
| 2290 მეტრამდე | დარტყმის ტალღას შეუძლია წააქციოს ადამიანი |

# ქართველი კონსტრუქტორის მიერ შექმნილი ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსი «ტოპოლი»

**რაკეტმშენებლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენმა თანამემამულემ, გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათმშენებლობის სპეციალისტმა, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, რუსეთში ბალისტიკური რაკეტების შექმნის საქმეში პიონერმა — ალექსანდრე ნადირაძემ, რომელზეც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით („ვინ იყო ალექსანდრე ნადირაძე და რატომ უნდა იყოს მისი სახელობის ქუჩა თბილისში“, „საქართველო და მსოფლიო“ №10. 16-22 მაპრტი, 2016 წ.).**





ალექსანდრე ნადირაძის შექმნილია უმძლავრესი რაკეტები — „ტემპი“, „ტოპოლი“, „პიონერი“, „სკოროსტი“ და სხვ. დღეს გაგაცნობთ გამოჩენილი ქართველი კონსტრუქტორის ერთ-ერთ ქმნილებას — საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ტოპოლის“ ტექნიკურ მახასიათებლებს.

მოდერნიზებული სარაკეტო მობილური კომპლექსი „ტოპოლი“ რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების ძირითადი ბირთვია. „ტოპოლი“ — ეს არის სამსაფეხურიანი მყარსაწვავიანი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, რომელიც ჩადებულია ჰერმეტულ სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერში, სადაც შეიძლება 15 წლის განმავლობაში იყოს შენახული. ამ სარაკეტო კომპლექსის საექსპლუატაციო ვადა 20 წელიწადია; „ტოპოლ-ემ“-ის მთლიანი ქობინი შეიძლება შეიცვალოს ქობინით, რომელიც გასროლის შემდეგ სამ ელემენტად იყოფა, რომელიც ჰაერსაწინააღმდეგო სისტემისგან იცავს.

გამშვები მოწყობილობა დამონტაჟებულია ავტომობილ „მაზ-7917“-ზე, რომელიც აღჭურვილია რაკეტის გასაშვებად მოსამზადებელი და გასაშვები აგრეგატებითა და სისტემებით.

რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ამჟამად 369 ერთეული „ტოპოლი“ აქვს.

**ტექნიკური მახასიათებლები:**
- კორპუსის სიგრძე — 22,7 მ
- დიამეტრი — 1,86 მ
- სასტარტო წონა — 47,2 ტ
- საბრძოლო მასალის წონა — 1200 კგ
- ფრენის სიშორე — 11 ათასი კმ.

## ლეგენდარული იარაღი

# ავტომატური პისტოლეტი «სტეჩკინი»

**2016 წელს 65 წელი შესრულდა, რაც საბჭოთა არმია და სპეცსამსახურები კონსტრუქტორ იგორ სტეჩკინის ავტომატური პისტოლეტით შეიარაღდა. ეს პისტოლეტი განკუთვნილია ოფიცრებისთვის, რომლებიც ბრძოლებში უშუალოდ მონაწილეობენ, აგრეთვე, სპეციალური ქვედანაყოფების მებრძოლებისა და საბრძოლო მანქანების ეკიპაჟის წევრებისთვის.**

პისტოლეტ „სტეჩკინის“ შექმნა 1948 წელს დაიწყო კონსტრუქტორმა იგორ სტეჩკინმა (1922-2001). მან პირველი გამოსაცდელი ეგზემპლარი 1949 წელს წარმოადგინა. 1951 წელს კი ამ პისტოლეტით სსრკ-ის არმია და უშიშროება შეიარაღდა.

1968 წელს კი, როდესაც პისტოლეტის ექსპლუატაციისას რამდენიმე ნაკლი გამოვლინდა (მასიური ბუდე-კონდახის დიდი გაბარიტები, „ინსტიქტური“ სროლის მოუხერხებლობა), წარმოებიდან მოხსნეს, მაგრამ სამხედრო მოსამსახურეთა გარკვეული კატეგორიები მაინც იყენებდნენ. ამასთანავე, სროლის მაღალი სიზუსტის, მცირე უკუცემისა და ცეცხლის სიმძლავრის გამო სსრკ-ის უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები და სპეცსამსახურები კვლავ იყენებდნენ და დღესაც იყენებენ „სტეჩკინს“.

მაგალითად, სირიაში რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების ოფიცრები „სტეჩკინის“ 9 მმ-იანი ავტომატური პისტოლეტებით არიან შეიარაღებულნი.



**ტექნიკური მახასიათებლები:**
- მასა — 1,02 კგ (ბუდე-კონდახისა და ვაზნების გარეშე) 1,78 კგ (ბუდე-კონდახითა და ვაზნებით)
- სიგრძე — 225 მმ (ბუდე-კონდახის გარეშე) 540 მმ (ბუდე-კონდახით)
- ლულის სიგრძე — 140 მმ
- ვაზნა — 9-კალიბრიანი
- სროლის რაოდენობა წთ-ში - 40/90 (საბრძოლო სროლა, ერთეული/ჯერი)
- ვაზნების რაოდენობა — 20-ვაზნიანი მჭიდი
- დამიზნებით ტყვიის მოხვედრების მანძილი — 200 მ

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინს დღეს რეპრესიების ორგანიზებას აბრალებენ. არადა, ამ ბრალდების საწინააღმდეგოა მისი ქმედება, როცა მან შინაგან საქმეთა კომისარიატი ძველი რევოლუციური კადრებისგან გაწმინდა. ეს ადამიანები კლასობრივი სიძულვილით იყვნენ გაჟღენთილნი, განათლება არ ჰქონდათ, ახალგაზრდობის წლებიდანვე მაუზერები დაიკიდეს და, ყოვლისშემძლეობის ფსიქოლოგიით აღვსილნი, მოქალაქეთა ტერორითა და დასჯით იყვნენ დაკავებულნი.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10 (339)

# სტალინი და საარჩევნო სისტემა, ანუ არის თუ არა არჩევნები ყველა უბედურებისა და გაუგებრობის სათავე

**1937 წლის 23 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგ პლენუმზე სამუშაო დრო ძირითადად დაეთმო თავისუფალი არჩევნების საკითხს, რომელზეც გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა რეფორმატორებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის.**

სტალინის მომხრეთაგან ლენინგრადის საოლქო და საქალაქო პარტიის ორგანიზაციის მეთაური **ანდრეი ჟდანოვი** თავგამოდებით იცავდა სტალინის ინიციატივას, მაგრამ არ ცხრებოდნენ ანტირეფორმისტები.

კომპარტიის დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა **რობერტ ეიხემ** დაუფარავად განაცხადა: „საარჩევნო ბრძოლის დროს ჩვენ შევხვდებით მტრის ნარჩენებს, ამიტომ შევისწავლოთ და გავაცნობიეროთ, რომელ მტრებთან მოგვიწევს შეხვედრა და სად არის მათი კერა“.

ეიხეს ეს სიტყვები სულ სხვა მხრიდან მოდიოდა და აშკარად სტალინის საწინააღმდეგო ლოზუნგი იყო, რომელიც მტრებს იქ ეძებდა, სადაც არ იყვნენ. ძალაუნებურად წინ წამოიწია ტროცკის მიერ სტალინის მიმართ წამოყენებული ბრალდება, რომელიც სტალინზე მიანიშნებდა, როგორც „რევოლუციის მესაფლავეზე“. ეს კიდევ არაფერი, კამათში რომ არ ჩაბმულიყო ასევე ტროცკის იდეებით ნასაზრდოები **ნიკიტა ხრუშჩოვი**, რომელმაც იმავე პლენუმზე, იმავე ტრიბუნიდან განაცხადა:

„ადგილი აქვს მტრული ძალების გამოცოცხლებას ქალაქსა და სოფლად. ჩვენთან, რიაზანში, დიდი ხანია, გამოვლენილია ესერების ჯგუფი, რომელიც ასევე ემზადება, როგორც ახლა უწოდებენ, არჩევნებისათვის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე“.

ტრიბუნაზე გამოსული „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები გაიძახოდნენ, რომ ქვეყანამ გადაუხვია ლენინური პრინციპებიდან, პროლეტარიატის დიქტატურა უგულებელყოფილია და შეცვლილია ბურჟუაზიული ფასეულობებით, მაგრამ ლენინის მიერ გამოწრთობილი ბოლშევიკების პარტია პოზიციებს ასე ადვილად არ დათმობდა. ყველა სიტყვა და გამოსვლა სტალინის წინააღმდეგ იყო მიმართული. რეფორმების მომხრე საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვიაჩესლავ მოლოტოვი** ამაოდ ცდილობდა, დაეწყნარებინა პლენუმის აბობოქრებული მონაწილეები, რომლებსაც სისხლი სწყუროდათ და თავიანთი სკამებისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად მზად იყვნენ, თუნდაც არჩევნების გზით გზიდან ჩამოეშორებინათ თვით სტალინი.

მოლოტოვი პლენუმზე განმარტავდა:

„საკითხს ხშირად ასე სვამენ: თუ ყოფილი ტროცკისტია, არ შეიძლება მასთან საქმის დაჭერაო. არ არის ეს სწორი. ჩვენ მივდივართ ყოფილი ტროცკისტების გამოყენების გზით და ამაში არ შევმცდარვართ“.

მაგრამ **ანტირეფორმატორებს და მამალ ტროცკისტებს შერიგება და მეორე პლანზე ყოფნა არ სურდათ — დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ. სტალინისთვის ლენინის გზიდან გადახვევა არ უნდა ეპატიებიათ.**

დიდი ვნებათაღელვის შემდეგ პლენუმი თითქოს უშედეგოდ, მაგრამ მაინც სტალინის გამარჯვებით დასრულდა. სტალინი კვლავ განაგრძობდა დამოუკიდებელი არჩევნების საკითხის დამუშავებას. და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მოაღწია მორიგმა პლენუმმა, რომელიც 1937 წლის 5 მარტს გაიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობა მხარს არ უჭერდა დემოკრატიულ არჩევნებსა და რეფორმებს, პარტიას და ხელისუფლებას კი კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებისაკენ მოუწოდებდა, სტალინმა პლენუმის დასკვნით გამოსვლაში მაინც თავისი ხაზი გაატარა.

„პარტიული ორგანიზაციები გათავისუფლდებიან სამეურნეო საქმიანობისგან, მაგრამ ეს სწრაფად ვერ მოხდება. ამისათვის აუცილებელია დრო. უნდა დაკომპლექტდეს სოფლის მეურნეობის ორგანოები, მათ უნდა მივცეთ საუკეთესო ადამიანები. მრეწველობა უფრო მტკიცედ არის აწყობილი და მათი ორგანოები არ მოგვცემენ შეცვლის უფლებას და ეს ძალიან კარგია. უნდა ავითვისოთ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ბოლშევიკური მმართველობა, კი არ უნდა ჩავენაცვლოთ მათ, არამედ მივეხმაროთ, განვამტკიცოთ და ვუხელმძღვანელოთ მათზე გავლით და არა მათი გვერდის ავლით.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ, თუ ის სახალხო კომისარია, ყველაფერი იცის. ფიქრობენ, რომ ჩინი თავისთავად დიდ რამეს იძლევა, თითქოს ამომწურავ ცოდნას. ან ფიქრობენ, თუ ცკ-ის წევრი ვარ, ე.ი. შემთხვევით არ ვარ ცენტრალური კომიტეტის წევრი და ყველაფერი ვიციო. არ არის ეს სწორი, ჩვენ, მოხუცები, მალე გავდგებით განზე, სცენიდან ჩამოვალთ. ეს ბუნების კანონია და გვინდა, რომ გვყავდეს რამდენიმე ცვლა“.

აქ შეიძლება გამოტანილი ყოფილიყო დასკვნა, რომ სტალინურმა დემოკრატიულმა რეფორმებმა გაიმარჯვა და აქტიურად უნდა დაწყებულიყო ქვეყნის დემოკრატიული მართვის რელსებზე გადასვლა.

ბოლშევიკების ძველი გვარდია, რომელიც იმხანად პრივილეგიურ ბიუროკრატიას წარმოადგენდა, სტალინის მიერ შემუშავებულ საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზაციის რეფორმაში ხელისუფლების დაკარგვის რეალურ საფრთხეს ხედავდა. ეს პირველმა გააცნობიერა **აბელ ენუქიძემ**, რომელიც ყველაზე ადრე გაეცნო სტალინის ჩანაფიქრის შინაარსს.

ამ საკითხში, აგრეთვე, გათვითცნობიერებული იყო კრემლის კომენდანტი, ანუ კრემლის დაცვის გარნიზონის უფროსი **რუდოლფ პეტერსონი**, რომელიც თავის დროზე ტროცკის დაცვის უფროსად მუშაობდა, მაგრამ მაინც ანდეს კრემლის კომენდანტობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სტალინს ძველი, თავგამოდებული ტროცკისტების რეპრესიებიც კი არ ჰქონია განზრახული. ამას ამტკიცებს ისიც, რომ **ლაზარ კაგანოვიჩის** რეკომენდაციით ნიკიტა ხრუშჩოვი კომპარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივნად დანიშნა, მიუხედავად იმისა, რომ იმავე კაგანოვიჩმა ისიც უთხრა სტალინს, რომ ხრუშჩოვი ადრე ტროცკის აქტიური თანამებრძოლი იყო.



**თუ რეპრესიებზე, კაცთმოძულეობასა და ვამპირობაზეა საუბარი, ამის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ლევ ტროცკი (ლეიბ ბრონშტეინი). ის სამხედრო კომისრის პოსტს ფლობდა 1924 წლამდე და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა**

ამ წერილში მოთხრობილ ზოგიერთ ამბავს საფუძვლად უდევს ცნობილი რუსი ისტორიკოსის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის — **იური ჟუკოვის** მიერ მოძიებული დოკუმენტები, რომლებიც მან რამდენიმე ათეული წლის მუშაობით აღმოაჩინა საბჭოთა კავშირის საიდუმლო არქივებში, მათ შორის, რუსეთის სადაზვერვო სამმართველოს არქივში. მოპოვებული მასალების მიხედვით, ენუქიძემ და პეტერსონმა დაპატიმრებისთანავე საკუთარი ხელით დაწერეს და აღიარეს, რომ აპირებდნენ შეთქმულების მოწყობას, სტალინისა და მისი რეფორმატორული ჯგუფის დაპატიმრებასა და განადგურებას. ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა **იან რუძუტაკიც** — მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე.

შეთქმულებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ მოსკოვის სამხედრო ოლქის მეთაურის მოადგილე **ბორის ფელდმანი**, მოსკოვის საჰაერო დაცვის უფროსი მიხეილ **მედვედევი**. დააპატიმრეს ლენინგრადის სამხედრო ოლქის უფროსის მოადგილე **ვიტალი პრიმაკოვი**. მათ სტალინის ლიკვიდაციის შემდგომ რუსეთის დროებით მმართველად უნდა გამოეცხადებინათ გენერალი **ტუხაჩევსკი**.

**შეთქმულთა აზრით, სტალინი იყო რევოლუციის იდეების მოღალატე და ოპორტუნისტი, რადგან უარყო ოქტომბრის რევოლუციისა და ლენინის საქმის მთავარი მიზნები, რომლებიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ლენინისდროინდელი, 1922 წლის კონსტიტუციის საფუძვლების შეცვლა მოინდომა, კერძოდ — დემოკრატიული პრინციპების მქონე არჩევნების სისტემის შემოღება. ბოლშევიკების მიერ კი დაწესებული იყო მრავალსაფეხურიანი არჩევნები და ღია კენჭისყრა, რათა, კომუნისტების გარდა, არავის შეძლებოდა ხელისუფლებაში მოსვლა. მხოლოდ ის რად ღირდა, რომ მუშებს ორი საარჩევნო ხმა ჰქონდათ, ხოლო გლეხებს — ერთი. ექსპლუატატორთა კლასს მიკუთვნებულ ადამიანებს საერთოდ ჩამორთმეული ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რაც ახალი კანონმდებლობით აღუდგინეს და უფრო მეტიც — კანდიდატების წარდგენის უფლებაც მისცეს.**

სტალინმა დღის წესრიგიდან ამოიღო მსოფლიო რევოლუციის იდეა და ხალხის ყურადღება გადაიტანა საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობისა და გაძლიერებისკენ, რაც გამოიხატებოდა მოწინავე ინდუსტრიის შექმნასა და სუვერენული ეკონომიკის აღმავლობაში. ამას კი ბოლშევიკთა ძველი გვარდია რევოლუციის ამოცანების ღალატად მიიჩნევდა.

**სტალინს დღეს რეპრესიების ორგანიზებას აბრალებენ, არადა, ამ ბრალდების საწინააღმდეგოა მისი ქმედება, როცა მან შინაგან საქმეთა კომისარიატი ძველი რევოლუციური კადრებისგან გაწმინდა. ეს ადამიანები კლასობრივი სიძულვილით იყვნენ გაჟღენთილნი, განათლება არ ჰქონდათ, ახალგაზრდობის წლებიდანვე მაუზერები დაიკიდეს და, ყოვლისშემძლეობის ფსიქოლოგიით აღვსილნი, მოქალაქეთა ტერორითა და დასჯით იყვნენ დაკავებულნი.** ქვეყანაში შიშის ატმოსფეროს შესაქმნელად ამ კადრების შენარჩუნება სტალინისთვის ხელსაყრელი იქნებოდა, ეს მიზანი რომ ჰქონოდა დასახული, მაგრამ მან უკანონო რეპრესიებში მონაწილე პირები დასაჯა ან მასობრივად დაითხოვა ორგანოებიდან და მათ ადგილას მოიყვანა განათლებული და მორალურად სუფთა ადამიანები. მილიონ-ნახევარი უკანონოდ რეპრესირებული ადამიანი კი გაამართლეს და გაათავისუფლეს სხვადასხვა სასჯელისგან და ეს მოხდა 1938 წლის ბოლოს და 1939-40 წლებში, როცა სტალინმა შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობა **ლავრენტი ბერიას** ჩააბარა. **ხრუშჩოვმა კი, სტალინის გარდაცვალების შემდეგ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია თავის დამსახურებად რომ გამოცხადებულიყო, სტალინის მმართველობის პერიოდში თითქმის ყველა მსჯავრდადებულის რეაბილიტაცია განახორციელა, თანაც ისე, რომ მათი საქმეები არ გამოქვეყნებულა, რათა არ გამჟღავნებულიყო ბევრი მათგანის დანაშაულებრივი ქმედებები.** და დღეს ეგრეთ წოდებული დემოკრატიის ბაირახტარი ლიბერალები ცრემლს აღვარღვარებენ სწორედ იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებმაც სასჯელი ღირსეულად დაიმსახურეს. მათ რიგებში იყვნენ ჰიტლერულ გერმანიასთან ომში მოღალატე **ვლასოველები**, სეპარატისტი ბანდერელები, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები, ბოროტმოქმედთა უდიდესი არმია, კორუფციონერი ბიუროკრატები, მკვლელები, ბანდიტები, ქურდები, რომელთა მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულის მიმართ იმ პერიოდში კანონი დახვრეტას ითვალისწინებდა, მაგრამ ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ქვეყნის დემოკრატიზაციის მოწინააღმდეგეები (ანუ სტალინის ოპოზიცია) იყვნენ უმრავლესობაში და უკვე 1937 წლის ივნისის პლენუმზე მათ გაიმარჯვეს, როდესაც დემოკრატიზაციის პროცესი შეაჩერეს და რეპრესიები დაიწყეს. ამით მტკიცდება, რომ სტალინს 1937 წელს აბსოლუტური ხელისუფლება არ ჰქონდა.



ალექსანდრა კოლონტაი



ტროცკი და სტალინი

◀ ბევრს უსჯიდნენ პატიმრობას სასჯელაღსრულების ზონებში, რომლებსაც შემდგომ ბანაკები უწოდეს და იქ მათ მიმართ შრომა-გასწორების მეთოდებს იყენებდნენ. ასეთი სასჯელი კი იმ ადამიანის მიმართ, რომელიც საზოგადოებას ზიანს მიაყენებს, სრულიად კანონზომიერია. მან საკუთარი შრომით უნდა აუნაზღაუროს ზიანი საზოგადოებას და სარგებელიც მოუტანოს.

იური ჟუკოვი ამბობს, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იყო ადმინისტრაციულ საქმეთა განყოფილება, რომელიც კურატორობდა სამართალდამცავ ორგანოებს. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა **ოსიპ პიატნიცკი,** კომინტერნის აქტიური წევრი, ანუ ტროცკის თანამოაზრე და, თანამდებობიდან გამომდინარე, პიატნიცკის რეკომენდაციის გარეშე ვერც ერთ მაღალ თანამდებობის პირს ვერ დასჯიდნენ. გორბაჩოვის ეპოქაში პოლიტბიუროს წევრი **ალექსანდრე იაკოვლევი** ნიანგის ცრემლებს ღვრიდა პიატნიცკის დახვრეტის გამო, მაგრამ **ცენტრალური კომიტეტის ამ განყოფილების არქივს დღესაც ადევს გრიფი „საიდუმლო“, რადგან მისი გახსნის შემთხვევაში დოკუმენტურად დამტკიცდება, რომ მასობრივი რეპრესიების ორგანიზატორები იყვნენ სწორედ პიატნიცკი, ხრუშჩოვი, ეიხე და მაღალი თანამდებობის სხვა პირები.** სხვათა შორის, სწორედ ეიხეს უთხრა სტალინმა ერთ-ერთ პლენუმზე მკაცრად და ირონიულად:

„დაგრჩა კიდევ ვინმე ხალხის მტერი დასახვრეტი?!“

თუ რეპრესიებზე, კაცთმოძულეობასა და ვამპირობაზეა საუბარი, ამის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ლევ ტროცკი (ლეიბ ბრონშტეინი), ის სამხედრო კომისრის პოსტს ფლობდა 1924 წლამდე და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

ახლა კი ვნახოთ მისი დევიზი „ხალხთა განთავისუფლებისა“.

„ჩვენ რუსეთი უდაბნოდ უნდა გადავაქციოთ, რომელიც დასახლებულია თეთრი ზანგებით. მათ ჩვენ მივცემთ ისეთ ტირანიას, რომელიც არასდროს დასიზმრებიათ აღმოსავლეთის ყველაზე საშინელ დესპოტებს. განსხვავება არის ის, რომ ეს ტირანია შეიქმნება არა მარჯვნიდან, არამედ მარცხნიდან. წითელი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ჩვენ დავღვრით სისხლის ისეთ ნაკადს, რომლის წინაშეც შეზანზარდება მსოფლიო და გაფერმკრთალდება კაპიტალისტური ომების ყველა ადამიანური დანაკარგი. ოკეანის გაღმიდან მსხვილი ბანკირები ჩვენთან მჭიდრო კონტაქტში იმუშავებენ. თუ ჩვენ მოვიგებთ რევოლუციას, გავსრესთ რუსეთს, მისი საფლავის ნამსხვრევებზე გავიმყარებთ ხელისუფლებას და ვიქცევით ისეთ ძალად, რომლის წინაშე მსოფლიო მუხლზე დაიჩოქებს. ჩვენ ვაჩვენებთ, რა არის ნამდვილი ძალაუფლება. ტერორის გზითა და სისხლის აბანოებით ჩვენ მივიყვანთ რუსეთის ინტელიგენციას სრულ დაჩლუნგებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე... ახლა ტყავის ქურთუკებში გამოწყობილმა ჩვენმა ახალგაზრდობამ ოდესიდან და ორშიდან, გომელიდან და ვინიციდან იცის ყოველივე რუსულის ზიზღი. ო, რა დიდებულად, რა აღმაფრთოვანებლად იციან მათ ზიზღი. როგორი სიამოვნებით სპობენ ისინი რუს ინტელიგენციას ფიზიკურად — ოფიცრებს, ინჟინრებს, მასწავლებლებს, სასულიერო პირებს, გენერლებს, აგრონომებს, აკადემიკოსებს, მწერლებს“...

რუსმა მწერალმა **ვადიმ კოჟინოვმა** თავის წიგნში გამოიყენა ტროცკის ციტატები 1936 წელს დაწერილი წიგნიდან „გაყიდული რევოლუცია“. ახლა ვნახოთ, რას ედავებოდა და რას უწუნებდა ტროცკი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესების მხარეს მდგომ სტალინს. სასაცილოა, რომ სტალინისადმი პათოლოგიური სიძულვილით შეპყრობილი სუბიექტები ტროცკის მსოფლმხედველობას, იმას, რაზეც მას სტალინთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება ჰქონდა, სტალინს მიაწერენ.

ტროცკი გულისწყრომით წერს საბჭოთა კავშირში ოჯახის აღორძინების მისწრაფების შესახებ:

„რევოლუციამ გმირულად სცადა, დაენგრია ეგრეთ წოდებული ოჯახური კერა, არქაული, აშმორებული და მძიმე დაწესებულება... ოჯახის ადგილი, ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა დაეკავებინა საზოგადოებრივი მზრუნველობისა და მომსახურების სისტემას, ანუ უნდა მომხდარიყო ნამდვილი განთავისუფლება ათასწლოვანი ბორკილებისგან და, რადგან ეს ამოცანა ვერ გადაიჭრა, ორმოცი მილიონი საბჭოთა ოჯახი რჩება შუასაუკუნეების ბუდეებად. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირში ოჯახის შესახებ საკითხის დაყენების თანმიმდევრული ცვლილებები საუკეთესოდ ახასიათებს საბჭოთა საზოგადოების ნამდვილ ბუნებას... უკან ოჯახური კერისკენ, ოჯახის საზეიმო რეაბილიტაცია, საბჭოთა მანეთის რეაბილიტაციასთან ერთად, რომელიც ერთდროულად ხორციელდება, რა წინასწარმეტყველური დამთხვევაა?! ძნელია, თვალით გაზომო უკანდახევის გაქანება... კომუნიზმის ანბანი გამოცხადებულია „მემარცხენე“ გადახრად. დაბალკულტურული ურთიერთობების სულელური და აშმორებული ცრურწმენები აღორძინდა ახალი მორალის სახელით“ (ტროცკი, „გაყიდული რევოლუცია“, გვ. 121-122-127).

„როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო იმედი, რომ ახალი თაობის აღზრდის სადავეები ყოფილიყო სახელმწიფოს ხელში, ხელისუფლება არა მხოლოდ არ ზრუნავდა უფროსების ავტორიტეტის დაცვაზე, კერძოდ, დედისა და მამის, არამედ, პირიქით — ისწრაფვოდა, რაც შეიძლება მეტად განცალკევებულიყვნენ ბავშვები ოჯახისგან, რათა ისინი არიდებულიყვნენ მძიმე ცხოვრების ტრადიციებს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სკოლა და კომკავშირი ბავშვების მიერ ფართოდ გამოიყენებოდა ლოთი მამებისა და რელიგიური დედების მხილებისა და, საერთოდ, ახალი აღზრდისთვის.

ასეთი მეთოდი ნიშნავდა მშობლების ავტორიტეტის შერყევას მის საფუძველშივე. ამჟამად ამ მნიშვნელოვან სფეროში მოხდა მკვეთრი შემოტრიალება. (მრუშობის ცოდვა) და (მშობლის პატივისცემის) ცნებები სრულიად აღდგენილია უფლებებში, თუმცა ჯერჯერობით ღმერთის გარეშე.

...ამჟამად უზენაესის წინააღმდეგ შეტევა, როგორც ოჯახის წინააღმდეგ, შეწყვეტილია, რელიგიის მიმართ თანდათანობით მყარდება ირონიული ნეიტრალიტეტის რეჟიმი, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ეტაპია“ (ტროცკი, „გაყიდული რევოლუცია“, გვ. 128-129).

საბოლოო ჯამში, **მიუხედავად იმისა, რომ 1937-38 წლებში საკმაოდ ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, ძირითადად ანგარიში გაუსწორეს ძველ რევოლუციონერებსა და ენ-ძა-ეი-ეს შემადგენლობას, რომლებიც კლასობრივი სიძულვილით სპობდნენ მილიონობით ადამიანს.**

**ისინი, ინტერნაციონალური რევოლუციური იდეებით მოწამლულნი, ეწინააღმდეგებოდნენ სტალინის ხელმძღვანელობით ეროვნული და სუვერენული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დამკვიდრებას და ბევრი მათგანი დასავლეთის დირექტივებსაც ასრულებდა, რათა რუსული იმპერიის სივრცე — ნედლეულის ბაზრად, ხოლო მოსახლეობა იაფ მუშახელად ქცეულიყო,** რაზეც საუბრობდა თვითონ სტალინი. ეს ჩანაწერი თავის დღიურში შემოინახა ცნობილმა რევოლუციონერმა ქალმა, დიპლომატმა **ალექსანდრა კოლონტაიმ:**

**„ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრი საქმე იქნება დამახინჯებული და შეფურთხებული, უპირველეს ყოვლისა, საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაშიც. სიონიზმი, რომელიც ილტვის მსოფლიო ბატონობისკენ, სასტიკად იძიებს შურს ჩვენზე ჩვენი წარმატებებისა და მიღწევებისთვის. ის ხომ რუსეთს ისე უყურებს, როგორც ველურ ქვეყანას, როგორც ნედლეულის დანამატს. ჩემს სახელს ცილს დასწამებენ და საქმეებს გააყალბებენ“.**

ცნობილი რუსმა ისტორიკოსმა **იური ემელიანოვმა** თავის რადიოგამოსვლაში განაცხადა, რომ ხრუშჩოვმა ცილი დასწამა სტალინს — თითქოს მან 1937 წლის მარტის პლენუმზე რეპრესიებისკენ მოუწოდა, არადა, პირიქით მოხდა — **პარტიულმა ნომენკლატურამ, რომელსაც შეეშინდა, რომ სტალინის მიერ დაწყებული ქვეყნის დემოკრატიული ცვლილებებით ხელისუფლებას დაკარგავდა, კონტრრევოლუციურ საფრთხეებსა და მისი ორგანიზატორების ლიკვიდაციის აუცილებლობაზე დაიწყო საუბარი.**

სწორედ ამას მოჰყვა 1937—38 წლების ყბადაღებული რეპრესიები, როცა დააპატიმრეს 1 372 392 ადამიანი, ხოლო სიკვდილით დასაჯეს — 681 692. ეს საბჭოთა კავშირის ისტორიაში სიკვდილით დასჯილთა 85 პროცენტია. პარტიულ ბიუროკრატიას სურდა, ჩაეგდო არჩევნები და შეენარჩუნებინა თანამდებობრივი პრივილეგიები.

რეპრესიები მოითხოვა დასავლეთ ციმბირის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა რობერტ ეიხემ. მალე ანალოგიური განცხადებები დაწერეს ცენტრალური კომიტეტის წევრების ნახევარზე მეტმა. მათ შორის ეიხესთან ერთად ყველაზე მეტად სისხლმოწყურებული აღმოჩნდა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც 41 000 კულაკის დასჯა მოითხოვა მოსკოვის ოლქში.

მთავარი იყო ის, რომ **პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ქვეყნის დემოკრატიზაციის მოწინააღმდეგეები (ანუ სტალინის ოპოზიცია) იყვნენ უმრავლესობაში და უკვე 1937 წლის ივნისის პლენუმზე მათ გაიმარჯვეს, როდესაც დემოკრატიზაციის პროცესი შეაჩერეს და რეპრესიები დაიწყეს. ამით მტკიცდება, რომ სტალინს 1937 წელს აბსოლუტური ხელისუფლება არ ჰქონდა.** ამოშვებული იქნა რეპრესიების ჯინი, რომელიც უმცირესობაში მოხვედრის გამო სტალინმაც ვერ შეაჩერა და, თუ პრინციპულად შეეწინააღმდეგებოდა პარტიის ხაზს სახელმწიფო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდი შანსი იყო, რომ მას პლენუმის უმრავლესობა პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან გადააყენებდა, რაც ხელისუფლების დაკარგვას ნიშნავდა იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ყველა შედეგით, ამიტომ სტალინის წარმოჩენა ამორალურ პიროვნებად არის სრულიად ულოგიკო. სტალინი, უპირველესად, პოლიტიკოსი გახლდათ და თავისი იდეების განსახორციელებლად ხელისუფლების შენარჩუნება მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, აუცილებელი იყო.

**გაგრძელება იქნება**

## კვირის კითხვა

**— რას იტყვით კონსტიტუციაში შესატან ცვლილებაზე, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა?**

**გრიგოლ ონიანი:** — ტროცკის ჩანაფიქრი, ოჯახური კერის დანგრევის შესახებ, რომელიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო, სტალინმა ჩაშალა და გააცამტვერა. დღეს ამერიკის შეერთებული შტატები ევროპასთან ერთად პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე საქართველოდან იწყებს ტროცკის ჩანაფიქრის განხორციელებას. თავის წიგნში „გაყიდული რევოლუცია“ ტროცკი წერს: „რევოლუციამ გმირულად სცადა, დაენგრია ე. წ. ოჯახური კერა, აშმორებული და მძიმე დაწესებულება. ეს ამოცანა ვერ განხორციელდა, ამიტომ 40 მილიონი საბჭოთა ოჯახი რჩება შუა საუკუნეების ბუდეებად“...

სწორედ ამ ბუდეებს, რომლის აშენებასაც შესწირა სტალინმა სიცოცხლე, დღეს ასე ულმობლად ანგრევენ. იფხიზლეთ, ადამიანებო! ევროპიდან ჰიტლერი მოდის, ოკეანის გაღმიდან კი — ტროცკი.

ვის ვახვედრებთ მარგველაშვილსა და ხიდაშელს?





## ყურადღება!

ამა წლის 20 მარტიდან „ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მშვიდობისმყოფელთა ბოროტმოქმედებები სექსუალური ხასიათის დანაშაულებით არ შემოიფარგლება. მაგალითად, მათ ანგარიშზეა ძარცვა, კორუფცია (ჰუმანიტარული დახმარებების გაცემა ხდება ქრთამის სიდიდის გათვალისწინებით), მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობები ან მკვლელობებისთვის ხელის შეწყობა.**



# ძალადობა, ძარცვა და გენოციდი: როგორ ერთობიან დასავლელი მშვიდობისმყოფელები

**გაუპატიურება, გენოციდი, პედოფილია, ძარცვა, მოვალეობების შესრულების უუნარობა — ეს სულაც არ არის გაეროს წარმომადგენლების მიმართ წაყენებული ყოველწლიური ბრალდებების სრული სია. საუბარია ორგანიზაციაზე, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის შეიქმნა. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით გამოვიდა.**



ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეუძლიათ ადამიანებს დანაშაულის ჩადენა მათ მიმართ, ვისი დაცვა და გადარჩენაც მათი პირდაპირი მოვალეობაა?! ამ მოვალეობების შესრულებისთვის მშვიდობისმყოფელები, თუკი შეიძლება მათ ასე ვუწოდოთ, კარგ ანაზღაურებასაც იღებენ. საინტერესოა, სად იყურებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზედა ეშელონების წარმომადგენლები?!

ალბათ, ბევრს ახსოვს, რომ **გასულ ზაფხულს მედიასაშუალებებში ფართოდ განიხილავდნენ მშვიდობისმყოფელებს, რომლებიც ლიბერიასა და ჰაიტიზე ასრულებდნენ საკუთარ მისიებს და რომლებიც ჰუმანიტარული დახმარების სახით იქ ჩატანილ სურსათს სექსუალურ მომსახურებაზე ცვლიდნენ.**

„გვაქვს მტკიცებულებები, რომ სექსუალური ბარტერი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მსგავსი ინფორმაცია იშვიათად ხვდება მისიის ოფიციალურ ანგარიშებში“, — წერდნენ გაეროს შიდა ზედამხედველობის სამსახურების სამმართველოს (OIOS) ანგარიშში.

**მას შემდეგ, რაც სურსათს დაარიგებდნენ, „ცისფერი ჩაფხუტები“ ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობდნენ საკუთარ მობილურ ტელეფონებს, საათებსა და სხვა პირად ნივთებს სექსმომსახურების სანაცვლოდ. თუკი ვინმე უარს იტყოდა ამგვარ გარიგებაზე, იარაღით ემუქრებოდნენ.**

OIOS-ის მონაცემების თანხმად, **2014 წელს მშვიდობისმყოფელთა მონაწილეობით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლი 79 მშვიდობიანი მოქალაქე გახდა. 2015 წელს შეტანილ იქნა 69 საჩივარი სექსუალურ ექსპლოატაციის გამო. მაგრამ ყველას მშვენივრად ესმის, რომ ეს ციფრები ძალზე შორსაა რეალობისგან, დაზარალებულთა ძირითადი ნაწილი, უბრალოდ, არ მიმართავს პოლიციას. OIOS-ის დასკვნაში წერია, რომ ყოველ მესამე შემთხვევაში მსხვერპლი ბავშვია.**

პოლიციისათვის მიმართვა ხშირად მართლაც უაზრობაა. და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ 1946 წლიდან დღემდე მშვიდობისმყოფელები პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გაეროს კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფებიან. მარტივად რომ ვთქვათ, **ორგანიზაციის თანამშრომლები თავისუფლდებიან ყოველგვარი დევნისგან, ხოლო მათი გასამართლება შეუძლიათ მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლიდანაც არიან წარმოშობით. ცხადია, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ საქმის აღძვრა არავის სურს, შესაბამისად, ხშირად საქმე სასამართლომდეც კი არ მიდის.**

კიდევ ერთი ხმაურიანი მოვლენა, რომელიც მსოფლიოში გავრცელდა: გასულ ზაფხულს გაერომ თავის „მშვიდობისათვის მებრძოლთ“ შესთავაზა, მამობის ტესტები გაევლოთ. ამ სიახლის შეთავაზება განპირობებული იყო იმით, რომ მშვიდობისმყოფელების მხრიდან გაუპატიურების შემდგომ სულ უფრო მეტი ქალი აჩენდა ბავშვს. ახალი შეთავაზება ქაღალდზე დარჩა, რადგან სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობების მიხედვით, „ცისფერჩაფხუტიანებს“ დადებითი შედეგების შემთხვევაში არა მხოლოდ ალიმენტის გადახდა, არამედ პატიმრობაც დაეკისრებოდათ. გაერომ არ ისურვა თავისი „მებრძოლების“ ბედით გარისკა.

**„უცნობია, მსოფლიოში კონკრეტულად რამდენი ბავშვი დაიბადა გაეროს მშვიდობისმყოფელთაგან. ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გაეროს 125 ათასი ცისფერჩაფხუტიანი მსახურობს“, — წერენ მედიასაშუალებები.**

იცოდით, რომ სამხრეთ სუდანში ჯარისკაცებს ნებას რთავენ, გააუპატიურონ ქალები და ამ სახით მიიღონ ანაზღაურება?

„სამხრეთ სუდანში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობა მსოფლიოში საშინელია. ამ ქვეყანაში მასობრივი გაუპატიურება ტერორის ინსტრუმენტად და ომის წარმოების საშუალებად იქცა, და ეს ყველაფერი დიდწილად საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება“, — განაცხადა გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების მიმართულებით — **ზეიდ რაად ალ-ჰუსეინმა.**

იმის გამო ხომ არ განახლდა ძალადობის ამოფრქვევა, რომ არმიამ მშვიდობისმყოფელთაგან აიღო მაგალითი? **მართლაც, თუკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთათვის შეიძლება, რატომ არ შეიძლება რიგითი ჯარისკაცებისთვის?**

**სხვათა შორის, მშვიდობისმყოფელთა ბოროტმოქმედებები სექსუალური ხასიათის დანაშაულებით არ შემოიფარგლება. მაგალითად, მათ ანგარიშზეა ძარცვა, კორუფცია (ჰუმანიტარული დახმარებების გაცემა ხდება ქრთამის სიდიდის გათვალისწინებით), მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობები ან მკვლელობებისთვის ხელის შეწყობა.**

შეიძლება გავიხსენოთ ზემოთქმულის დამადასტურებელი არაერთი შემთხვევა:

* **სრებრენიცას მოვლენები** (1995 წელი), როდესაც მშვიდობისმყოფელები არ ჩაერივნენ ბოსნიელი სერბების მიერ მოწყობილ ჟლეტაში. მაშინ 8000-ზე მეტი მუსლიმანი მოკვდა.

* **რუანდის გენოციდი** (1994 წელი), როდესაც 2500-მა მშვიდობისმყოფელმა სასაკლაო ჩანასახშივე ვერ მოსპეს.

* **სამხრეთ სუდანი,** სადაც მსხვერპლთა რაოდენობამ 1200-ს მიაღწია.

ამგვარი მაგალითი ბევრია.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროში არიან ქვეყნები, რომლებიც მშვიდობისმყოფელებით ამარაგებენ მას (ინდოეთი, პაკისტანი, ნიგერია, ნეპალი და ასე შემდეგ), არიან ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც აფინანსებენ „ბანკეტს“ (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია). მათ დონორ ქვეყნებს უწოდებენ და ისინი საკუთარ მშვიდობისმყოფელებს გზავნიან მხოლოდ იქ, სადაც მათი პოლიტიკური ინტერესებია შელახული. მაგრამ „მშვიდობისა და წესრიგის მცველთა“ ქმედებებზე, ცხადია, ყველა უნდა აგებდეს პასუხს.

რამდენიმე დღის წინათ გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ განაცხადა, რომ აუცილებელია მშვიდობისმყოფელთა პასუხისმგებლობის გაზრდა მათ მიერ ჩადენილი სექსუალური დანაშაულების გამო.

შეგახსენებთ, **11 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №2272 უშიშროების საბჭოს ნებართვით მოქმედ მშვიდობისმყოფელთა მხრიდან სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამიერიდან სექსუალური ძალადობის ჩამდენთ დეპორტაცია ელით, ხოლო ისინი, ვინც ადრე იყვნენ დადანაშაულებულნი სექსუალურ ძალადობაში, მაგრამ გამოძიება არ ჩატარებულა, საკუთარ ქვედანაყოფს აყენებენ საფრთხის წინაშე.**

# ევროკომისია — გეიაღლუმის ოფიციალური სპონსორი

**ამსტერდამის გეიაღლუმი არის ყველაზე მასშტაბური ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად აგვისტოში ტარდება და რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება. სწორედ ამ აღლუმის მსვლელობისას შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ამაყად უამბოს მსოფლიოს საკუთარი ჰომოსექსუალობის შესახებ. ევროკომისიამაც აღარ ისურვა ჩრდილში დარჩენა და გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს აღლუმში. ასე რომ, აგვისტოსღა ველით, რომ ეს „სასიხარულო“ მოვლენა ვიხილოთ.**



ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს მხოლოდ უნგრელმა დეპუტატებმა, რომლებმაც აღნიშნული გადაწყვეტილება სექსუალური უმცირესობების უფლებების რეკლამირებად მიიჩნიეს. ევროკომისიის დანარჩენმა წევრებმა იდეა ზარზეიმით მიიღეს და სიხარულისგან ტაშიც შემოჰკრეს. მართალიაცაა, **კიდევ როდისღა ჩაუვარდებათ ხელთ ამგვარი შესაძლებლობა — გასცურონ გეიდედაქალაქის არხებში ერთნაირსქესიანთა სიყვარულის ნავით?**

გეიაღლუმში მონაწილეობით ევროპარლამენტი პირდაპირ უჭერს მხარს საკუთარი ხალხის ამოწყვეტის იდეოლოგიას. ერთნაირსქესიანთა ურთიერთობების პროპაგანდა ისედაც მომაკვდავ ევროპას, ადრე თუ გვიან, სავალალო შედეგებამდე მიიყვანს. სამეცნიერო თვალსაზრისით ჰომოსექსუალიზმი სხვა არაფერია, თუ არა სქესობრივი გადახრა და მისთვის გენეტიკური თავისებურების დარქმევა აბსურდია. ქალისა და მამაკაცის კავშირს არასდროს ჰქონია ალტერნატივა, თუკი საუბარია შთამომავლობასა და ბავშვების აღზრდაზე, მაგრამ განა ეს ადარდებთ ამერიკელებსა და ინგლისელებს, რომელთა პასპორტებშიც უკვე აღარ არსებობს „დედა“ და „მამა“, მათი ადგილი კი დაიკავეს უსქესო „პირველმა მშობელმა“ და „მეორე მშობელმა“?

ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონება წამალი არ არის. ეს ნელი მოქმედების საწამლავია, რომელიც ნელნელა დალუპავს ევროპას, რაც ძალიანაც გაახარებთ ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩასულ „სტუმრებს“.

ერთი წლის განმავლობაში ბრძოლებში 89 ბავშვი დაიღუპა. მათგან 39% თვითმკვლელი იყო, 33% ბრძოლის ველზე მოკვდა, 4%-მა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ხოლო 18% დაიღუპა „უფროსი ძმების“ დახმარებისას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი, უბრალოდ, სამიზნედ გამოიყენეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოშმარები რეალობიდან

## ბავშვები და «ისლამური სახელმწიფოს» არშობილი არმია

**მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებთან აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს, ისინი განაგრძობენ სისასტიკით მსოფლიოს შეძრწუნებას. რამდენიმე დღის წინათ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა თავიანთი მეთაური მოკლეს, რამდენიმე მამაკაცმა კი გადაწყვიტა, ამ ორგანიზაციის რიგები დატოვოს იქ გამეფებული გადამეტებული სისასტიკის გამო. ანტიუტოპისტების ყველაზე საშინელი ფანტაზიები ჩვენ თვალწინ რეალობა ხდება.**



როგორც უკვე ყველამ ვიცით, იმ ტერორისტული დაჯგუფებების შიგნით, რომლებმაც არაერთი მარცხი იგემეს რუსეთის საჰაერო კოსმოსური ძალების დარტყმებისა და სირიის არმიასთან შეტაკებების შედეგად, დაპირისპირება იზრდება. ტერორისტები არ ერიდებიან სისხლიან გარჩევებს „კონკურენტებთან“. ორიოდე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა ფეხები მოაჭრეს „ჯაბჰატ ან-ნუსრას“ დატყვევებულ წევრებს.

მხეცობებს განაგრძობენ ქალების მიმართაც.

**„მათ აქვთ ოფიციალური წესი — იმ ქალების გაუპატიურება, რომლებიც ისლამის მოთხოვნებს არ იცავენ. მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ის, დედა თუ შვილი. ამას სექსუალური ჯიჰადი ეწოდება. მათთვის არსებობს ცნება „ქორწინება 2-3 საათით“. იმისათვის, რომ ისლამის კანონები არ დაარღვიონ, ისინი ქორწინდებიან გოგონაზე, ერთობიან მასთან, შემდეგ კი განქორწინდებიან და ყოფილ ცოლს სხვებს გადასცემენ“,** — ყვება სირიული ტაძრის მონაზონი, ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტი დედა **აგნეს მარიამ ას-სალიბი.** უკვე ორი წელია, იგი „ისლამური სახელმწიფოს“ მხეცობებზე მტკიცებულებებს აგროვებს.

მადლობა ღმერთს, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შემდეგ სულ უფრო ხშირად ჩნდება ცნობები იმათ შესახებ, ვინც მაინც მოახერხა გაქცევა. რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოდან“ გამოქცეულმა ქალებმა ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად ბატალიონი შექმნეს.

ჩვენ უნდა დავიცვათ საკუთარი ღირსება და სინდისი. მას შემდეგ, რაც დაგვემართა, აღარ გვეშინია“, — აღნიშნა ბატალიონის ერთ-ერთმა წევრმა, 19 წლის მესამ.

მაგრამ ყველაზე საშინელი არის ის, რომ **ტერორისტები განაგრძობენ სისასტიკეს ბავშვების მიმართაც. ისინი აქტიურად იყენებენ ნაცისტური გერმანიის მეთოდებს, ოღონდ უფრო დახვეწილად. ტერორისტები ცდილობენ, მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვები დაუნდობელ მოჯაჰედებად აქციონ. ამ მიზნის მისაღწევად ბავშვებს აიძულებენ, უყურონ მკვლელობებს, ითამაშონ გვამებით, ხანდახან კი პირდაპირ იარაღს აძლევენ და უბრძანებენ, ტყვეები დახოცონ.**

**ტერორისტები ცდილობენ, მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვები დაუნდობელ მოჯაჰედებად აქციონ. ამ მიზნის მისაღწევად ბავშვებს აიძულებენ, უყურონ მკვლელობებს, ითამაშონ გვამებით, ხანდახან კი პირდაპირ იარაღს აძლევენ და უბრძანებენ, ტყვეები დახოცონ**



ამ საკითხზე საუბრისას, პირველ რიგში, ის 12 წლის გოგონა უნდა გავიხსენოთ, რომელმაც ხუთი ქალი მოკლა. ეს გოგონა იყო პირველი, რომელმაც ტყვეები დახოცა. მანამდე მსგავს მხეცობებს მხოლოდ ბიჭებს აიძულებდნენ. სამაგალითოდ ის ოთხი წლის ბავშვიც კმარა, რომელმაც სამი ტყვე გამოასალმა სიცოცხლეს.

აშშ-ის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის მონაცემების თანახმად, **მიმდინარე წლის იანვარში ორჯერ უფრო მეტი ბავშვი გადაიბირეს, ვიდრე გასული წლის იანვარში. არც ის ბავშვები დავივიწყოთ, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ ტყვეები გახდნენ.**

ცენტრის გათვლებით, **ერთი წლის განმავლობაში ბრძოლებში 89 ბავშვი დაიღუპა. მათგან 39% თვითმკვლელი იყო, 33% ბრძოლის ველზე მოკვდა, 4%-მა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ხოლო 18% დაიღუპა „უფროსი ძმების“ დახმარებისას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი, უბრალოდ, სამიზნედ გამოიყენეს.**

„თუკი ადრე სამხედრო დაჯგუფებებში, ძირითადად, მომწიფებულ მოზარდებს გადაიბირებდნენ ხოლმე, ბოლო 1-2 წლის განმავლობაში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, ახლა აგრესიულად გადაიბირებენ ბავშვებსაც“, — განაცხადა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში „უნისეფის“ რეგიონულმა დირექტორმა პიტერ სალამამ.

ფსიქოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ყველაფერი განპირობებულია ერთი ფაქტორით: ბავშვების ფსიქიკა ჯერ კიდევ არაა მტკიცედ ჩამოყალიბებული და მათზე ზემოქმედება იოლია. ინტერნეტსივრცეში გავრცელებულია რამდენიმე ისტორია, რომელსაც ტერორისტული ტყვეობისგან გამოქცეული ბავშვები ყვებიან.

„ისინი გვეუბნებოდნენ, რომ ურწმუნო ამერიკელებს სურთ ჩვენი დახოცვა, ხოლო „ისლამური სახელმწიფო“ უფრო უკეთ იზრუნებს ჩვენზე, ვიდრე ჩვენივე მშობლები“, — ამბობდა ერაყელი 12 წლის ბიჭი.

„სალემის ბანაკში მკაცრი განაწესი იყო. რვაზე ადგომა, საუზმე, დილის ვარჯიში ეზოში, შემდეგ სირბილი. იმისათვის, რომ უფრო სწრაფად გვერბინა, იარაღიდან გვესროდნენ. სადილის შემდეგ ყველა მიდიოდა თვითმკვლელის ქამრის გამოყენების შემსწავლელ ლექციაზე. ამის შემდეგ ვსწავლობდით ჭრილობების მიყენებას ყელის არეში. შენ, ისევე, როგორც ნებისმიერი მოჯაჰედი, განსაკუთრებული ადამიანი ხარ, — მეუბნებოდნენ ჩემი მასწავლებლები. ყოველ პარასკევს სიკვდილით დასჯას უნდა დავსწრებოდით. საჭირო იყო ყურადღებით დაკვირვება და დამახსოვრება“, — ყვებოდა 10 წლის ბიჭი.

ამ ბავშვებს გაუმართლათ, მათ გამოქცევა შეძლეს, მაგრამ რა ეშველებათ იმ ბავშვებს, რომლებიც ახლაც „ისლამური სახელმწიფოს“ ზედამხედველობის ქვეშ არიან?

და კიდევ — ყველა ბავშვი შეძლებს შემობრუნებას? ყველა გაიგებს, რომ ხალიფატის კანონებით ცხოვრება არ შეიძლება? ვინ იზრუნებს ამ პრობლემის მოგვარებაზე? სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

იმ სასჯელთა განსაკუთრებულობა, რომლებშიც სისასტიკე ჭარბობს, ისაა, რომ ისინი გამოშტერებას იწვევენ. ადამიანში სულიერი მხარის ჩაკვლით ისინი მას ველურ, ხანდახან კი სისხლისმსმელ მხეცადაც აქცევენ.

მასმედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ახლო მომავალში 30 000-ზე მეტი ქალი, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, ტერორისტებს მემკვიდრეებს გაუჩენენ.

ცხადია, „ისლამური სახელმწიფო“ თავისი მებრძოლების მომავალ თაობას არამშვიდობიანი მიზნებისთვის გამოიყენებს.

ანგარიში, რომელიც ამ თემაზე გაეროს მხარდაჭერით მომზადდა, გამოქვეყნებულია და ინტერნეტშიც ხელმისაწვდომია.

ამ ანგარიშიდან რამდენიმე თეზისი ასე გამოიყურება:

***ბავშვებს იყენებენ ცოცხალ მიზნებად;**

***ბავშვები უფროსებზე იაფი ჯდება;**

***ბავშები სწრაფად სწავლობენ;**

***ბავშვებისთვის გაცილებით იოლია ძალადობის სიყვარულის ჩანერგვა;**

***ბავშვებს უფრო იოლად აიძულებ ჯაშუშობას, ამისათვის საკმარისია, დავალება თამაშად აქციო;**

***ბავშვები გაცილებით უფრო ემოციურები არიან, ამავე დროს მათ შეუძლიათ, გადაიბირონ სხვა ბავშვები;**

***ბავშვებისთვის იოლია სისასტიკის სწავლება, საკმარისია, მიახვედრო, რომ სიკვდილით დასჯაში მონაწილეობა საპატიო პრივილეგიაა.**

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მოხსენებიდან.

და, თუკი „ისლამური სახელმწიფოს“ ყველა წევრი დაუყოვნებლივ არ განადგურდება, იმის გაფიქრებაც კი შემზარავია, თუ რა შეიძლება მოხდეს.

**„სლოვო ი დელო“**

მსოფლიო

## «თურქეთი უყოყმანოდ გამოიყენებს თავდაცვის უფლებას»

**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი პირობას დებს, რომ ტერორიზმს „დააჩოქებს“. ამის შესახებ ერდოღანმა ანკარაში მომხდარი აფეთქების შემდეგ განაცხადა.**

„თურქეთი უყოყმანოდ გამოიყენებს თავდაცვის უფლებას ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ შემთხვევაში“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა. პრეზიდენტის თქმით, თვითმკვლელი ტერორისტის მიერ გამოწყობილი აფეთქება თურქეთის უსაფრთხოების ძალებს კიდევ უფრო გააძლიერებს. შეგახსენებთ, რომ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში მომხდარ აფეთქებას ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა. აფეთქება ავტობუსის გაჩერებაზე, გიუვენ-პარკთან, ათა-თურქის ბულვარზე მაშინ მოხდა, როდესაც იქ უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. მთლიანად დაიწვა ერთი მუნიციპალური ავტობუსი. ვრცელდება ინფორმაცია მრავალი დაშავებულის შესახებ. ასაფეთქებელი მოწყობილობა ერთ-ერთ ავტომობილში იყო მოთავსებული. მომხდარის შედეგად დაიღუპა 37, ხოლო დაშავდა 61 ადამიანი.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკა-იაპონიის ეკონომიკური ომი 90-იანი წლების პირველ ნახევარში სწორედ ასეთი ლიტერატურულ-ჰოლივუდური, ალაგ-ალაგ მაღალლიტერატურული პროპაგანდისტული შეტევით დაიწყო. და პოლიტოლოგი ფრიდმანიც სწორედ „მეზღაპრეთა“ შორის უნდა იქნეს მოხსენიებული.**



## ბრაზილია კორუფციის წინააღმდეგ

**ბრაზილიის ქალაქებში მილიონობით მოქალაქე ქვეყნის პრეზიდენტის — დილმა რუსეფის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით გამოვიდა.**

ამის მიზეზი გახდა ის, რომ ბრაზილიაში კორუფციული სკანდალი აგორდა, რომლის მთავარი ფიგურანტები მოქმედი პრეზიდენტი და ექსპრეზიდენტი ლუის ინასიუ ლულა და სილვა არიან. აქცია ქვეყნის 261 ქალაქში ერთდროულად მიმდინარეობდა. მხოლოდ სან-პაულუს აქციაში 1,4 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, რიო-დე-ჟანეიროში კი — მილიონი.



## რუსეთმა ერაყელ ქურთებს საზენიტო დანადგარები მიაწოდა

**რუსეთმა ერაყელ ქურთებს საზენიტო დანადგარები მიაწოდა. ამის შესახებ სააგენტო „რია ნოვოსტის“ ერაყის ქურთისტანში რუსეთის საკონსულოში აცნობეს.** დიპლომატიური მისიის თქმით, საუბარია 5 საზენიტო დანადგარსა და ტყვია-წამალზე, რომელიც 14 მარტს ერაყის ქურთისტანის შეიარაღებულ ფორმირებას — ფეშმერგას გადაეცა. როგორც „ბიბისი“ აღნიშნავს, თურქეთი ქურთულ შეიარაღებულ ფორმირებებს საკუთარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს. 13 მარტს ანკარაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, თურქეთმა ერაყის ჩრდილოეთში ქურთების პოზიციები დაბომბა.

# «სტრატფორმა» მსოფლიოს ახალი ომი უწინასწარმეტყველა

**ხშირად „ჩრდილოვან ცსს“-დ მოხსენიებული „სტრატფორის“ დამფუძნებელი ჯორჯ ფრიდმანი მსოფლიოს უწინასწარმეტყველებს ახალ დიდ ომს, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, აშშ-სა და იაპონიას შორის კონფლიქტსაც მოიცავს. ავბედითი პროგნოზი რუსეთსაც ეხება. ამ ქვეყნის მომავალს ანალიტიკოსი შავ ფერებში ხედავს, მაგრამ სერიოზულია ეს პროგნოზები? „საჭიროა მზადყოფნა ომისთვის, — ხაზი გაუსვა მან. — შვიდწლიანი ომი ევროპაში, ნაპოლეონის ომები XIX საუკუნეში, დიდი მსოფლიო ომები... ყველა ასწლეულში რაღაც იყო“.**



ფრიდმანმა აღწერა სისტემური ომების დაწყების თავისებური ხედვა. როდესაც ისეთი ქვეყნები, როგორიც არის გერმანია, რუსეთი და ჩინეთი — დაცემისკენ მიექანებიან, მათ ადგილს სხვები იკავებენ. ამ სიტუაციაში სახიფათო ისაა, რომ ახალ ქვეყნებს „ჯერ არ მიუღწევიათ ბალანსისთვის“, ანუ, ფრიდმანის აზრით, პრობლემა არის არა „ძველი“ ქვეყნების დესტაბილიზაცია, არამედ „ახლების“ („ძველების“ ნანგრევებზე აღმოცენებული ქვეყნების) ბრძოლა სასიცოცხლო სივრცისთვის. „1871 წელს გერმანია გაერთიანდა და შედეგად დაიწყო ჯოჯოხეთი. XX საუკუნის დასაწყისში იაპონიამ გაზარდა სიმძლავრე, შემდეგ კი ქაოსი დადგა“, — მოჰყავს მაგალითები „სტრატფორის“ უფროსს.

ამასთანავე, ფრიდმანი ირწმუნება, რომ „1815-დან 1871 წლამდე ევროპაში მნიშვნელოვანი ომები არ ყოფილა. ეს, სულ მცირე, სახალისოა ადამიანისთვის, რომელიც ევროპაში (ბუდაპეშტში) დაიბადა, მაგრამ გამართლებულია მისთვის, ვინც განათლება მიიღო სადღაც ნიუ იორკის შტატში, შემდეგ კი იქვე კერძო კოლეჯში ასწავლიდა. ფრიდმანმა, უბრალოდ, გამოტოვა ყირიმის ომი, დანია-პრუსიის, პრუსია-ავსტრიისა და მთელი რიგი ომები.

დავიწყოთ იაპონიასა და აშშ-ს შორის ომით. ფრიდმანი პროგნოზირებს მას 1991 წლიდან. იმხანად გამოიცა მისი ერთ-ერთი ცნობილი წიგნი „იაპონიასთან მოსალოდნელი ომი“, რომელიც დაკავშირებული იყო აშშ-ის მიერ მთავარი მოწინააღმდეგის დაკარგვასთან, საბჭოთა კავშირის სახით; უკანასკნელ ზესახელმწიფოს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ახალი საფრთხეების მოძიება.

ამ საქმეში ჩაერთვნენ ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურთან დაკავშირებული სხვა ადამიანებიც. მაგალითად, ცნობილი ბელეტრისტის — **ტომ კლენსის** წიგნი „ღირსების ვალი“ 1993 წელს გამოიცა და მკითხველს სწორედ ამის შესახებ — ეკონომიკური დაპირისპირების ფონზე აშშ-სა და იაპონიას შორის მოკლევადიან, მაგრამ ძალზე ტექნოლოგიურ და გააზრებულ ომზე — მოუთხრობს.

ითვლებოდა, რომ კლენსი, რომელიც არ გამოირჩეოდა ლიტერატურული ტალანტით, მაგრამ ყურადღებით ეკიდებოდა ტექნოლოგიური საომარი დეტალების აღწერას, თავის წიგნებში ზედმიწევნით ახმოვანებდა იმ სცენარებს, რომლებსაც ცსს ცივი ომის პერიოდში უბრალოდ შეიმუშავებდა საკუჭნაოში შესანახად.

**ნიშანდობლივია, რომ სწორედ „ღირსების ვალში“ დეტალურად აღწერილი, იაპონელი მფრინავი ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ თუ როგორ მიმართავს უდანაშაულო მგზავრებით სავსე თავის სამგზავრო „ბოინგს“ პირდაპირ ვაშინგტონისა და თეთრი სახლისკენ. შეგახსენებთ, ეს 1993 წელს გამოქვეყნდა. დაწერილი სიტყვასიტყვით არ ახდენილა, მაგრამ იდეები დარჩა.**

მეორე მაგალითი: **მაიკლ კრაიტონმა**, რომელიც დაჯილდოებულია ლიტერატურული ნიჭითა და აქტუალურობის განცდით (შემდეგომში იგი გახდა სცენარების ავტორი ფილმებისა „იურიული პერიოდის პარკი“, „სასწრაფო დახმარება“ და „გამოაშკარავება“) 1992 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ამომავალი მზე“, რომელიც უმოკლეს დროში და ბრწყინვალედ იქნა ეკრანიზებული მთავარ როლში **შონ კონერის** მონაწილეობით. მასში ძალზე გასაგებადაა მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა იაპონიის ფინანსურმა ოლიგარქიამ აშშ-ის თითქმის დაპყრობა და რომელი იაპონელები არიან ცუდები.

მთლიანობაში ეს წააგავდა დაგეგმილ კამპანიას, რომელმაც უზრუნველყო აშშ-ში იაპონური იმპორტის (განსაკუთრებით ავტომრეწველობის იაფფასიანი პროდუქტების) მიმართ მთელი რიგი დისკრიმინაციული კანონების შემოღება. ნაკლებად ცნობილი ამერიკა-იაპონიის ეკონომიკური ომი 90-იანი წლების პირველ ნახევარში სწორედ ასეთი ლიტერატურულ-ჰოლივუდური, ალაგ-ალაგ მაღალლიტერატურული პროპაგანდისტული შეტევით დაიწყო. და პოლიტოლოგი ფრიდმანიც სწორედ „მეზღაპრეთა“ შორის უნდა იქნეს მოხსენიებული და არამც და არამც გეოპოლიტიკურ პროგნოზირებაში გარღვევებთან დაკავშირებით.

უცნაური საგნის — პოლიტოლოგიის პროვინციული მასწავლებლის — **ჯორჯ ფრიდმანის** სახელი ცნობილი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ 1980-იან წლებში მან კონცენტრირება მოახდინა პოლიტოლოგიის იმხანად ყველაზე მოთხოვნილ ფორმაზე — სოვეტოლოგიაზე.

ამ საგნის წყალობით, კარიერა გაიკეთეს უნგრელ დევნილზე არანაკლებ გამტანმა ადამიანებმა, მაგრამ მას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა „თანასოფლელი“ **ჯორჯ სოროსის** მხრიდან.



1996 წელს სწორედ სოროსის ხელშეწყობით დაარსდა „სტრატფორი“, რომელსაც სწრაფად შეარქვეს „ჩრდილოვანი ცსს“. სხვათა შორის, ეს ფორმულირება პირველად გამოიყენა ამერიკელმა ჟურნალისტმა **ჯონ ბარონმა** — ავტორმა წიგნისა „სუკი დღეს. უხილავი საცეცები“; ჟურნალისტმა, რომელიც სპეცსამსახურების თემაზე სპეციალიზდებოდა და შემდგომ საკუთარი სახელის მატარებელ ჟურნალს გამოსცემდა.

მიღებულია, რომ „სტრატფორი“ ჩაითვალოს „კერძო ანალიტიკურ-სადაზვერვო კომპანიად“. თუმცა ეს შეუძლებელია, რადგან სადაზვერვო საქმიანობით დაკავებულნი არიან მხოლოდ სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც შეზღუდულნი არიან კანონმდებლობით. გასაიდუმლოებისა და „ანალიტიკურობის“ მთელი ეს საბურველი „სტრატფორისაკენ“ ყურადღებასა და ფულს იზიდავს, სინამდვილეში სააგენტოს საქმიანობის დიდი ნაწილი დაკავშირებულია არა პოლიტიკასა და დაზვერვასთან, არამედ ეკონომიკურ შეკვეთებთან.

ვიღაცას სჭირდება ცნობა კონკურენტების შესახებ, ინტერნეტში ძებნა ეზარება, ზედმეტი ფული კი ბევრი აქვს. ვიღაცას კი „ბაზრის რისკის“ შეფასება სურს და უკვე ფორმირებული იმიჯით მოტყუებული მიმართავს სააგენტოს, არადა, ნებისმიერი კვალიფიციური ბროკერი ასეთსავე ანალიზს გაცილებით იაფად გააკეთებს.

ეს სისტემის ჩაკეტილი წრეა: რაც მეტია შეკვეთა, მით მტკიცეა იმიჯი. და უოლსტრიტთან ახლოს მდებარე რომელიღაც კლუბში ერთი ჭკვიანი კვლავ ეტყვის მეორეს: „მე მიანმეში ბურთულიანი კალმების ბაზრის ანალიზი „სტრატფორმა“ გამიკეთა“. მეორე ჭკვიანიც წავა და იმავე „სტრატფორს“ შეუკვეთავს ტაილანდში ფლომასტერების ბაზრის ანალიზს. საბოლოოდ ყველა მოგებულია.

ამ ფონზე არავინ აქცევს ყურადღებას იმ პროგნოზების უაზრობას, რომლებსაც „სტრატფორი“ ქმნის გეოპოლიტიკის სფეროში, თავს აფარებს რა ცსს-ს და ხელოვნურად გაბერილ იმიჯს. ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სააგენტო ცდილობს, პლანეტაზე მომავალი ათი წლის პროგნოზი იწინასწარმეტყველოს. „სტრატფორის“ არსებობის განმავლობაში მისი პროგნოზები არათუ არ გამართლებულა, ისინი საერთოდაც სხვა პლანეტას ეხება.

1995-დან 2005-წლამდე პერიოდის მომცველ პირველ პროგნოზში იყო ერთადერთი ფრაზა, რომელშიც რუსეთის ფედერაცია ახსენეს: „რუსეთი შეეცდება თავის აღდგენას, წინააღმდეგობას ▶

მოკლედ

## სტენტონი დონალდ ტრამპის წინააღმდეგ

**ჟურნალისტი, ავტორი იმ ფოტოებისა, რომლებიც ვრცელდება მსოფლიოში ცნობილ „ფეისბუქგვერდზე“ — „ადამიანები ნიუ იორკიდან“, აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატ დონალდ ტრამპს ღია წერილით მიმართავს.**

**ბრენდონ სტენტონის** წერილი სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის სოციალურ ქსელში მილიონზე მეტმა მომხმარებელმა გააზიარა, ხოლო ორ მილიონზე მეტმა მოიწონა. „ძალიან ვცდილობ, რომ პოლიტიზებული არ ვიყო. უარი ვთქვი არაერთ თქვენს კოლეგა კანდიდატთან ინტერვიუზე. არ მინდოდა, რომელიმე მათგანისთვის ქულები დამეწერა. ვფიქრობდი, იქნებ ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ძალადობისა და ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლისთვის „სწორი დრო“ არ არსებობს. ამისთვის დრო ყოველთვის სწორია. მილიონობით ამერიკელის მსგავსად, მივხვდი, რომ თქვენ წინააღმდეგ ყოფნა არა პოლიტიკური, არამედ მორალური საკითხია“, — წერს სტენტონი.



# იმპერიის აღდგენის, „პოლონეთისა და რუმინეთის საზღვრებზე გასვლისა“ და „ბალტიის ქვეყნების გადაყლაპვის“ პროგნოზებიდან ფრიდმანმა 180 გრადუსით შეიცვალა პოზიცია.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გადაეყრება გერმანიის, ისლამური ქვეყნებისა და ჩინეთის რუსულ საზღვრებზე. ამ ქვეყნებიდან თითეული მხარს დაუჭერს რუსეთში სეპარატისტულ ელემენტებს“.

**შემდგომში ფრიდმანი ამბობდა, რომ მან „რუსეთის გეოპოლიტიკური გაძლიერება“ იწინასწარმეტყველა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფრაზიდან ეს არ ჩანს, უფრო მეტიც, პროგნოზში დაწერილი პირდაპირ ეწინააღმდეგება შემდგომ თავის მართლებას.**

2000-2010 წლების პროგნოზში „სტრატფორი“ ირწმუნება: „დასავლური კაპიტალისგან პრაქტიკულად მოკვეთილი და დასავლეთის ბაზრებზე კონკურენციის უუნარო რუსეთი იძულებული იქნება, აღადგინოს ყოფილი საბჭოთა კავშირის კომპონენტები. ყოფილი რესპუბლიკების საერთო უუნარობა, მონაწილეობა მიიღონ დასავლურ სამეურნეო საქმიანობაში, განმეორებითი ფედერაციის რამენაირ ფორმას შეუქმნის პერსპექტივას, მიმზიდველი იყოს ბევრისათვის რუსეთის საზღვრებს გარეთ. ნაციონალიზმი კონკურენციას გაუწევს ეკონომიკურ რეალობას და შექმნის რთულ და სახიფათო სიტუაციას. რუსეთი მომდევნო ათწლეულში დიდ დროს დაუთმობს საკუთარი იმპერიის აღდგენის მტკივნეულ პროცესს“. **რა შეიძლება ითქვას? პროგნოზი აზრს იყო მოკლებული მისი გამოქვეყნების მომენტშივე.**

გაგრძელება კიდევ უფრო სასაცილოა, რადგან **იმპერიის აღდგენის, „პოლონეთისა და რუმინეთის საზღვრებზე გასვლისა“ და „ბალტიის ქვეყნების გადაყლაპვის“ პროგნოზებიდან ფრიდმანმა 180 გრადუსით შეიცვალა პოზიცია.**

2005-დან 2015 წლამდე პროგნოზში საუბარია უკვე რუსეთის დეზინტეგრაციასა და დაშლაზე და არა მის განმტკიცებაზე. „რუსეთი იმყოფება გაღრმავებად სისტემურ კრიზისში და დაუნდობელ მუდმივ ბრძოლაში ნაციონალურ და პროდასავლურ ძალებს შორის. ამას მოჰყვება პოლიტიკური წარუმატებლობების სერია, შესაძლოა, ისეთი ტერიტორიების დაკარგვაც, როგორიც კავკასიაა. ან რუსეთი დაიწყებს დეზინტეგრაციას იმ წერტილამდე, რომელშიც მოსკოვს მხოლოდ ნომინალური კონტროლი ექნება ზოგიერთ რეგიონზე, რომლებიც დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ. ეს მომდევნო ათწლედში მოხდება“.

მორიგი პროგნოზი — 2010-დან 2020-მდე — კიდევ უფრო მხიარულია.

**„რუსები საშინაო საკითხებზე იბრძოლებენ, ეთნიკური დაძაბულობიდან დაწყებული — დემოგრაფიული ვარდნით დამთავრებული.**

რუსეთი მოსახლეობის მცირე რაოდენობას უკეთ გაუმკლავდება, ვიდრე სხვა ქვეყნები; მან, შესაძლოა, შექმნას ჯანსაღი ბალანსი წარმოებასა და მოხმარებას შორის. რუსეთმა უკვე გააკეთა პენსიის კორექტირება, როდესაც საპენსიო ასაკი მამაკაცთა მოკვდავობის საშუალო ასაკზე მაღლა გადასწია. რუსეთი ყოველთვის მრავალეროვნული იმპერია იყო და ჰქონდა არარუსი მოსახლეობის მართვის გამოცდილება.

რუსეთის ეკონომიკა ასევე უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს არაშრომატევადი დარგების შექმნაში და ახალგაზრდა მომუშავეთა საჭიროების შემცირებაში. მართალია, რუსეთის დემოგრაფიული წარმატებები უარესია, ვიდრე ევროპის ნებისმიერი სხვა ქვეყნისა, თავისი დემოგრაფიული მახასიათებლების შედეგები 2020 წლამდე რუსეთს კრახამდე არ მიიყვანს“.

აქ ყურადღების გამოჩენაა საჭირო.

საპენსიო ასაკზე საუბრობდა პრეზიდენტი მედვედევი თავის ანგარიშში. რითაც დასრულდა ეს ყველაფერი, ცნობილია. სწორედ ამ პერიოდში რუსეთმა დემოგრაფიაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ამასთანავე, მისი მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყნისა.

მაგრამ „სტრატფორმა“ აღნიშნული პროგნოზის მომზადებისას არ იცოდა რუსეთში შობადობის მკვეთრი ზრდის შესახებ და ცსს-ს „ფაქტბუქის“ მონაცემებს ეყრდნობოდნენ, მასში კი განვითარების დემოგრაფიული მოდელი 2004 წლის მდგომარეობით იყო ჩადებული. ის არ შეცვლილა 2011 წლამდე და დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ რუსეთში წელიწადში მილიონი ადამიანი კვდება. მხოლოდ მოგვიანებით შეიტანა ცსს-მ ცვლილებები თავის სტატისტიკურ მოდელში.

დასასრულ, **ყველაზე აქტუალური და ყველაზე იუმორისტული — „სტრატფორის“ 2015-2025 წლების პროგნოზი:**

„ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთის ფედერაცია ამჟამინდელი სახით გადარჩეს. რუსეთის უუნარობა, საკუთარი ენერგეტიკული შემოსავლები თვითმხარდამჭერ ეკონომიკად აქციოს, მას ენერგომატარებლებზე ფასების მერყეობის მიმართ სუსტს ხდის. რუსეთს ამ საბაზრო ძალების წინააღმდეგ არანაირი დაცვა არ გააჩნია.

როდესაც შემოსავლები მოსკოვში მიედინება, შემდეგ კი პირდაპირ ან ხელისუფლების რეგიონული ორგანოების საშუალებით ნაწილდება, რესურსების ნაკადი მკვეთრად შემცირდება. ეს განაპირობებს საბჭოთა კავშირის 1980-იანი წლების გამოცდილების გაზიარებას, არაფორმალური და ფორმალური ავტონომიების ფორმირებას.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ისე, რომ რუსები ამგვარ პრობლემებს საიდუმლო პოლიციის, სუკის და მისი მემკვიდრე უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის საშუალებით აგვარებენ. მაგრამ, როგორც 1980-იან წლებში, საიდუმლო პოლიცია ვერც ამ ათწლეულში შეძლებს იმ ცენტრიდანული ძალების შეკავებას, რომლებიც რეგიონებს მოსკოვიდან ექაჩებიან.

ამ შემთხვევაში უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ძალაუფლება შესუსტდება. და ეკონომიკა დასრულდება, ისევე, როგორც უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ძალები. ამ სამსახურის გარეშე კი, რომელიც ასულდგმულებს ნამდვილ ტერორს, რუსეთის ფედერაციის ფრაგმენტაცია არ შეწყდება.

**პოლონეთი, უნგრეთი და რუმინეთი იმუშავებენ, რათა ბელარუსი და უკრაინა რუსეთის გავლენიდან გაიყვანონ. სამხრეთით დაკარგულ იქნება რუსების შემძლეობა, აკონტროლონ ჩრდილოეთ კავკასია და ცენტრალური აზია. ჩრდილო-დასავლეთით კარელიის რეგიონი შეეცდება, ფინეთს დაუბრუნდეს.**

შორეულ აღმოსავლეთში ზღვისპირა რაიონები სულ უფრო მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებული ჩინეთთან, იაპონიასა და აშშ-თან, ვიდრე მოსკოვთან. ეს მათ საშუალებას მისცემს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმოქმედონ. მოსკოვი დაკარგავს რუსეთის ფედერაცის მართვის უნარს. ამ ვაკუუმში რუსეთის ფედერაციის მხოლოდ ფრაგმენტებიღა დარჩება“.

**ამ სისულელის კომენტირების არც სურვილი არსებობს და არც აუცილებლობა. სხვა საკითხია ის, რომ სწორედ ამ მოხსენებას იცავს ჯორჯ ფრიდმანი სპეციალიზებული ინგლისურენოვანი მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში. ამ ბოდვის უკან დგას გლობალური საფუძველი: სწორედ მსხვილი სახელმწიფოები დაიშლებან, მათ ნანგრევებზე კი მცირეწლოვანი სახელმწიფოები ერთმანეთს დაერევიან.**

აშშ კი აუცილებლად დაიწყებს ომს იაპონიასთან ან პირიქით. საუკუნის მეოთხედია, ამ ეპიკურ შერკინებას ველით და უფრო ნიჭიერი ავტორების ნაშრომებშიც წაგვიკითხავს იგივე, მაგრამ სწორედ ფრიდმანის გამონათქვამები განიხილება ღრმააზროვან ციტატებად რუსეთის ლიბერალურ მედიაში, როგორც რაღაც წინასწარმეტყველება.



მეზღაპრის რეპუტაცია ფრიდმანს სულაც არ უშლის ხელს, მთელი მსოფლიო მოიაროს ლექციებით, რომლებიც სექტის ლიდერის მოძღვრებას უფრო ჰგავს. მას სიხარულით მასპინძლობენ მთელ რიგ რუსულ პროფილურ სასწავლო დაწესებულებებში და ანალიტიკურ ცენტრებში

**მეზღაპრის რეპუტაცია ფრიდმანს სულაც არ უშლის ხელს, მთელი მსოფლიო მოიაროს ლექციებით, რომლებიც სექტის ლიდერის მოძღვრებას უფრო ჰგავს. მას სიხარულით მასპინძლობენ მთელ რიგ რუსულ პროფილურ სასწავლო დაწესებულებებში და ანალიტიკურ ცენტრებში.**

მაგალითად, 2014 წელს მან ლექცია წაიკითხა საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში, სადაც „თანამედროვე მსოფლიო წყობის საკუთარი ხედვა გაუზიარა“ მსმენელებს. ეს დაძველებული ავადმყოფობაა: დიპლომატიურ აკადემიასა და საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში 1990-იანი წლებიდან მრავალი მასწავლებელი ასე თუ ისე დაკავშირებულია მსოფლიო მოწყობის დასავლურ შეხედულებებთან — ზოგი პირადად, ზოგიც სტაჟირების საშუალებით.

ის, რაც რუსული დიპლომატიის პროფილური სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისა და ასპირანტების თავებში იდება, გვერდიდან იშვიათად თუ ჩანს. ხოლო ისინი, ვინც ამას პირისპირ ეჯახება, დიდხანს ვერ ხვდებიან, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო.

„სტრატფორის“ პროგნოზები, როგორც მოვლენა, სახიფათო არაა, თუკი გვესმის, რომ მათ უკან არაფერი დგას, გარდა მძიმე ბავშვობის მქონე უცნაური პერსონაჟის ამბიციებისა. სერიოზულად ხომ არ განვიხილავთ კონცეფციას, რომლის თანახმადაც ყოველ ასწლეულში ევროპაში რამდენიმე ომი ხდებოდა, თითქოს ფრიდმანის გარდა ეს არავის მოსვლია აზრად.

მაგრამ იგი ახერხებს, ეს ყველაფერი იმდენად ღრმააზროვანი გამომეტყველებით გამოთქვას, რომ ბევრი მზადაა, ირწმუნოს ჭეშმარიტება. შარლატანობაც ხელოვნებაა. სხვაგვარად რომ იყოს, შარლატანები ამდენს ვერ გამოიმუშავებდნენ.

**ვზგლიად.რუ**



## დონალდ ტრამპი რესპუბლიკელებს ბუნტით ემუქრება

**დონალდ ტრამპის განცხადებით, თუ რესპუბლიკური პარტია მის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებაზე უარს იტყვის, ტრამპის მხარდამჭერები აბუნტდებიან.**

ამის შესახებ ამერიკელმა მილიარდერმა CNN-თან საუბარში განაცხადა. „მე ვარ მილიონობით ადამიანის წარმომადგენელი, ბევრი მათგანი არჩევნებში მონაწილეობას პირველად იღებს. ხმის მიცემის უფლებას თუ ჩამოვართმევთ, ვფიქრობ, სერიოზული პრობლემები დაიწყება“, — განაცხადა ტრამპმა. როგორც „ბიბისი“ წერს, იმისთვის, რომ რესპუბლიკელებმა ის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელონ, ტრამპმა 18-21 ივლისს დაგეგმილ პარტიულ ყრილობაზე 1 237 დელეგატის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს.



## «ისლამურმა სახელმწიფომ» ტერიტორიების 22% და შემოსავლების 40% დაკარგა

**„ისლამურმა სახელმწიფომ“ სირიასა და ერაყში ბოლო 14 თვის განმავლობაში ტერიტორიების 22 პროცენტზე დაკარგა კონტროლი.** ექსპერტების შეფასებით, ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ იმავე პერიოდში შემოსავლების 40 პროცენტი დაკარგა, მისი დიდი ნაწილი ნავთობის გაყიდვებზე მოდიოდა. კვლევის მიხედვით, ეს იმის გამო მოხდა, რომ ექსტრემისტები ველარ აკონტროლებენ სირია-თურქეთის სასაზღვრო რეგიონს.

ევროპა

## სასამართლო ანდერს ბრეივიკის საჩივარს განიხილავს

**15 მარტს ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბრეივიკი სასამართლოში მხოლოდ იმის გამო მივიდა, რომ ნორვეგიის ხელისუფლება ადამიანის უფლებების დარღვევაში დაედანაშაულებინა. ბრეივიკმა ბევრჯერ იჩივლა იმ პირობების გამო, რა პირობებშიც ის ციხეში იმყოფება. მან ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლოსაც მიმართა.**

ციხის წესების მიხედვით, ბრეივიკს პატიმრებთან ურთიერთობა აკრძალული აქვს. მას მხოლოდ იმის უფლება აქვს, ესაუბროს დაცვასა და ციხის სხვა პერსონალს. შეუძლია ისარგებლოს ტელევიზორით, კომპიუტერით ინტერნეტის გარეშე. ბრეივიკს ასეთი დამოკიდებულება „წამებად“ მიაჩნია. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ბრეივიკმა ოსლოში ტერაქტი მოაწყო, შემდეგ თავს დაესხა ახალგაზრდულ ბანაკს და 77 ახალგაზრდა მოკლა, 150 კი დაჭრა. 2012 წელს ანდრეს ბრეივიკს სასამართლომ 21-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩხირკედელა ამერიკელი, ხრუშჩოვის მოხსენების ანალიზი რომ დაიწყო, უცებ წააწყდა შეუთავსებლობათა მთელ წყებას და იმთავითვე ეჭვი გამოთქვა, რომ საქმე ჰქონდა „დანაშაულებრივ თაღლითობასთან“. ეს ეჭვი სამუშაოს დამთავრების შემდეგ მტკიცე დასკვნად ჩამოუყალიბდა და „დახურული მოხსენება“ ასე შეაფასა: „სტალინისა და ბერიას „მამხილებელ“ მტკიცებულებათა შორის არც ერთი აღმოჩნდა მართალი“.**

# საბჭოთა კავშირის უკანასკნელი თავდაცვის მინისტრის, მარშალ დიმიტრი იაზოვის მიხედვით...

**საბჭოთა კავშირის უკანასკნელი თავდაცვის მინისტრი, მარშალი დიმიტრი იაზოვი სტალინზე ჯოჯოხეთური სიცრუისა და სიმართლის შესახებ მოგვითხრობს. მარშალს ესაუბრება კორესპონდენტი გალინა კუსკოვა.**

**— კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა ახლახან განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ გორბაჩოვისა და ელცინის მოღვაწეობა დანაშაულებრივ ქმედებად შეფასდება. საბაბიც საფუძვლიანია: 60 წელი შესრულდა, რაც ნიკიტა ხრუშჩოვმა ცეკას დახურულ პლენუმს წარუდგინა მოხსენება „სტალინის პიროვნების კულტის შესახებ“... მოხსენება, რომელსაც ამერიკელმა ისტორიკოსმა გროვერ ფერმა „ანტისტალინური უნამუსობა“ უწოდა.**

— ჩხირკედელა ამერიკელი, ხრუშჩოვის მოხსენების ანალიზი რომ დაიწყო, უცებ წააწყდა შეუთავსებლობათა მთელ წყებას და იმთავითვე ეჭვი გამოთქვა, რომ საქმე ჰქონდა „დანაშაულებრივ თაღლითობასთან“. ეს ეჭვი სამუშაოს დამთავრების შემდეგ მტკიცე დასკვნად ჩამოუყალიბდა და „დახურული მოხსენება“ ასე შეაფასა: „სტალინისა და ბერიას „მამხილებელ“ მტკიცებულებათა შორის არც ერთი აღმოჩნდა მართალი“.

**— „იუბილარი მოხსენების“ ახლახან მოწყობილ სატელევიზიო განხილვაზე ანტისტალინელებს ღირსეული პასუხი გასცეს ნიკოლაი სტარიკოვმა, ვიტალი ტრეტიაკოვმა, კარენ შახნაზაროვმა, სერგეი შარგუნოვმა.**

**1956 წელს, როცა ხრუშჩოვმა თავისი მოხსენება წაიკითხა, თქვენ ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის დამამთავრებელ კურსზე სწავლობდით...**

— ჩვენთვის, ფრონტელი ახალგაზრდებისთვის, სტალინის სახელი, შეიძლება ითქვას, წმინდა იყო. იმ დღეებში მარშალმა **როკოსოვსკიმ** პირდაპირ განაცხადა: ამხანაგი სტალინი ჩემთვის წმინდანია. უმაღლესი მთავარსარდლის სამხედრო ავტორიტეტი უდავო იყო.

ასეთია პატიოსანი სამხედროს პოზიცია, მაგრამ რას ფიქრობს სტალინზე ადამიანი, რომელიც 30-იან წლებში რეპრესირებული იყო და ყველა უბედურება პირადად განიცადა, სამი გადასახლება მოიხადა, მათგან ერთ-ერთი — ტურუხანსკის მხარეში, სადაც სტალინი იყო გადასახლებული. ვლაპარაკობ **ვალენტინ ვოინო-იასენეცკიზე,** სიმფეროპოლისა და ყირიმის არქიეპისკოპოსზე, ცნობილ ქირურგზე, ომის დროს ღვთისმსახურებას საევაკუაციო ჰოსპიტალში მუშაობას რომ უთავსებდა. მის სამეცნიერო კვლევებს, მათ შორის, ჩირქოვან ქირურგიაზე, რომლისთვისაც დასტაქარს სტალინური პრემია მიენიჭა, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

**„სტალინმა შეგვინარჩუნა რუსეთი, დაგვანახვა, რას ნიშნავს იგი მსოფლიოსთვის, ამიტომ მე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი და რუსი პატრიოტი, ქედს ვიხრი სტალინის წინაშე. სტალინი ღვთითბოძებული ბელადია“,** — ასე შეაფასა სტალინი წმინდანთა სწორად შერაცხილმა ადამიანმა.

აი, სხვა რელიგიური მოღვაწის მოსაზრებაც:

**სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტი იოანე წერს: „სტალინი ჩვენთვის ღვთის მიერაა მოვლენილი. მან შექმნა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ანგრევენ და მაინც ვერ დაანგრიეს... ასე რომ, ღვთის თვალით თუ შევაფასებთ სტალინს, იგი მართლაც განსაკუთრებული ადამიანია, ღვთით ბოძებული, მაცხოვრის მადლცხებული“.**

**— ათეისტი ხრუშჩოვი ეგებ ამის გამო აუმხედრდა ბელადს და ეკლესიას სრულად? ამბობენ, რომ მისი მითითებით იმაზე მეტი ტაძარი იავარქმნეს, ვიდრე რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უფრო გამძაფრებულ წლებში.**

— ამის შემოწმება ძალიან ადვილია. **ხრუშჩოვის „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ეკლესიის წინააღმდეგ იმ ადამიანების თვალწინ ხდებოდა, რომლებიც დღეს ცოცხლები არიან...**

**— მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ჩვენს ლიბერალებს, ეს ცოდვა იოსებ ბესარიონის ძისთვის აეკიდებინათ.**

— ეს ან უვიცობაა, ან ბოროტი ჩანაფიქრი. **ცნობილია სტალინის წერილი მენჟინსკისადმი, რომელიც 1933 წლით არის დათარიღებული. სტალინი ადრესატს აცნობებს, რომ ყოვლად დაუშვებელია ახალმშენებლობათა დაპროექტება ტაძრებისა და ეკლესიების ნაფუძარზე, რომლებიც უნდა მივიჩნიოთ ძველი რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლებად.** სხვათა შორის, იმავე პერიოდში მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის რეპერტუარიდან ამოიღეს (სტალინის ჩარევის შემდეგ) კომიკური ოპერა „დევგმირები“. აკრძალვა შემდეგნარად იყო დასაბუთებული: ოპერა „ანტისტორიულად და დამცინავად წარმოგვიდგენს რუსეთის მონათვლას, რომელიც სინამდვილეში იყო დადებითი ეტაპი რუსი ხალხის ისტორიაში“.



კიდევ ერთი ფაქტი.

სტალინმა ხელი მოაწერა საკ.კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს დადგენილებას, რომელიც 1939 წელს გაიმართა და რომლითაც მიზანშეუწონლად იყო ჩათვლილი სსრკ შინსახკომის ორგანოების პრაქტიკა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მსახურთა დაპატიმრებისა და მორწმუნეთა დევნის მხრივ.

**ომის დროს საბჭოთა კავშირში გაიხსნა 22 ათასი ეკლესია. სტალინის მიერ ეკლესიებისთვის დახმარების გაწევის უამრავი, დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია ცნობილი.**

**— 1936 წლის სტალინური კონსტიტუციით, ეკლესიის მსახურთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაუბრუნდა, მორწმუნეებს — უფლება ჯვრისწერის, ბავშვების მონათვლის, საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნის...**

აქ კორესპონდენტი უბრუნდება სამხედრო თემას და იხსენებს ერთ ფაქტს, რომელიც ავიაციის მარშალ **ალექსანდრე გოლოვანოვს** აქვს აღწერილი. საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავისა და ლენინის ორდენის მისაღებად მოსკოვში ჩამოსულ მფრინავს შემოაკვდება რომელიღაც სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც შეურაცხყოფდა ქუჩაში თავის საქმეზე მიმავალ ახალგაზრდა ქალს. ამის შესახებ მოახსენებენ სტალინს. ბელადი იკითხავს, რისი გაკეთება არის შესაძლებელი კანონის თანახმად? უპასუხებენ, რომ სასამართლომდე შეიძლება მფრინავის თავდებით გამოშვება. სტალინმა დაწერა განცხადება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომლითაც თავდებად უდგებოდა სამხედრო მფრინავს. თხოვნა დააკმაყოფილეს. მფრინავი დაბრუნდა ფრონტზე, გმირულად იბრძოლა და ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში დაიღუპა.

**„ამ ამბავს რომ მოყვა**, — განაგრძობს კორესპონდენტი, — **გოლოვანოვმა, რომელიც ახლოს იცნობდა სტალინს** (იხ. მისი წიგნი „შორეული ბომბდამშენი“, რომლის ქართული თარგმანი 1970-იანი წლების დასაწყისში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ იბეჭდებოდა), **აღნიშნა: „მისთვის (სტალინისთვის) განუყოფელი იყო მკაცრი მოთხოვნა სამუშაოს შესრულების პროცესში და ადამიანზე მზრუნველობა. ეს ორი მხარე ისე ბუნებრივად იყო ერთმანეთთან შერწყმული, როგორც ერთი მთელის ორი შემადგენელი, და ძალიან იყო დაფასებული ყველას მიერ, ვისაც კი მასთან ახლო შეხება ჰქონია. სტალინთან საუბრის შემდეგ გავიწყდებოდა ყველა სიძნელე და გაჭირვება. იგრძნობდი, რომ გელაპარაკებოდა არა მხოლოდ ბედთა ყოვლისშემძლე გამრიგე, არამედ უბრალო ადამიანი“.**

**ინტერვიუში განიხილავენ საბჭოთა მხედართმთავრების მიერ გერმანელი გენერლების ძლევის თემას.**

**იაზოვი ამბობს:**

— საბჭოთა მხედართმთავრებს აღზრდიდა. პროფესიულ სიმაღლეებზე ისინი აჰყავდა იმ ატმოსფეროს, რომელიც არმიაში სტალინის დროს სუფევდა. არტილერიის მთავარი მარშალი **ნიკოლაი იაკოვლევი** აღნიშნავდა: „სტალინი შესაშური სიმშვიდით გამოირჩეოდა, ეთანხმებოდა გონიერ მოსაზრებებს, მაგრამ, როცა განხილულ საკითხზე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, იგი საბოლოო იყო... მთავარბანაკში მუშაობა გამოირჩეოდა უბრალოებითა და დიდი ინტელიგენტურობით. არავითარი მოჩვენებითი და ზეაწეული სიტყვები, ამაღლებული ტონი, საუბარი — ნახევარ ხმაში...

მას არ უყვარდა, მის წინაშე გაჭიმულები რომ მდგარიყვნენ, მხედრული ნაბიჯებით რომ მიახლოვებულიყვნენ და დაცილებოდნენ.

მისი ურყევი სიმკაცრის პარალელურად იგი უმნიშვნელო ადამიანური გადაცდომებისადმი მოწყალე დამოკიდებულების გაკვეთილებს გვიტარებდა. ერთი ასეთი შემთხვევა განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

ერთხელ უმაღლესი მთავარსარდლის სამუშაო ოთახში რამდენიმე სამხედრო დავყოვნდით. ვსხედვართ, ჩვენს საკითხებს ვწყვეტთ. ამ დროს შემოდის პოსკრებიშევი და სტალინს მოახსენებს, რომ რომელიღაც გენერალია მოსული.

— შემოვიდეს, — უპასუხა სტალინმა.

ვერ წარმოიდგენთ ჩვენს გაოცებას, როცა ოთახში ნაბიჯარეული გენერალი შემოვიდა! ფერწასული, ორივე ხელით მაგიდის კიდეს ჩააფრინდა და წაილუღლუღა, რომ გამოცხადდა ბრძანების თანახმად. სუნთქვა შეგვეკრა — რა ელოდა ამ უბედურს! უმაღლესი მთავარსარდალი წამოდგა, მივიდა გენერალთან და მშვიდად ჰკითხა:

— ავად ხომ არ ხართ?

— დიახ, — ძლივს გამოსცრა გენერალმა.

— მაშინ ერთმანეთს ხვალ შევხვდეთ, — უთხრა სტალინმა და გენერალს წასვლის ნება დართო.

როცა სტუმარმა კარი გაიხურა, სტალინმა ისე, რომ კონკრეტულად არავისთვის მიუმართავს, თქვა:

— ამხანაგმა დღეს მიიღო ორდენი ოპერაციის წარმატებულად ჩატარებისთვის. შტაბბინაში რომ გამოიძახებდნენ, ბუნებრივია, არ იცოდა. აიღო და თავისებურად იზეიმა ეს ჯილდო. განსაკუთრებულ დანაშაულს ვერ ვხედავ, ასეთ დღეში რომ გამოგვეცხადა.

იაკოვლევი ასკვნის, რომ სწორედ სტალინის წყალობით ქვეყნის ხელმძღვანელობაში მთელი ომის განმავლობაში მტკიცე ერთსულოვნება იყო დამკვიდრებული. უმაღლესი მთავარსარდლის სიტყვა კანონი იყო.

**— დიმიტრი ტიმოფეევიჩ, უთუოდ შენიშნავდით, რომ ჩვენმა ლიბერალებმა თავიდან წამოიწყეს მობეზრებული სიმღერა: ომი მოვიგეთ სტალინის საწინააღმდეგოდ. ჟირინოვსკი ისტერიკაში ვარდება, როცა დაუმტკიცებლის დამტკიცებას ცდილობს.**

— ადვილად ასახსნელია. ახლოვდება არჩევნები. სახელმწიფო სათათბიროში შესვლა სურთ. ხალხს ახალს ვერაფერს სთავაზობენ. ჰოდა, გამოაცოცხლეს დიდი ხნის წინათ უარყოფილი ზღაპრები.

ახლახან წავიკითხე **ფელიქს ჩუევის** წიგნი გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორის — სერგეი ილუშინის შესახებ. **ილუშინს ეკუთვნის ეს სიტყვები: „სტალინს ჰქონდა კარგი თვისება — არ უყვარდა არამზადები და ძალიან უყვარდა რუსეთი. იგი პატიოსნებისთვის იყო გაჩენილი და აღზრდიდა სანდო ადამიანებს, ამიტომაც ვიმარჯვებდით“.**

**— რუსი გენიოსის სიტყვა, „იურისტის შვილის“ სიტყვასთან შედარებით, კარგად ისმის... ერთი ინგლისელი გენერლის წიგნში ამოვიკითხე: „რუსეთმა გამოფატრა გერმანული არმია. „ილ-2“ იყო მისი ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ქირურგიული იარაღი“.**

— ამ სახელგანთქმული თვითმფრინავის ბედი თავის დროზე სტალინმა გადაწყვიტა... ამ თვითმფრინავის წინააღმდეგ აღდგა ყველა, ვისზეც მისი სერიული გამოშვება იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით კატეგორიულები სამხედროები იყვნენ. ილუშინი არ ნებდებოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ორცხობილა გაიმზადა და გადასახლებისთვის მოემზადა...

ერთ მშვენიერ დღეს სტალინმა ილუშინი პოლიტბიუროს სხდომაზე დაიბარა. სტალინისა და მისი თანამებრძოლების გარდა, იქ იყვნენ ავიამშენებლობის სპეციალისტები. დამსწრეთა მოსაზრებები რომ მოისმინა, სტალინმა თქვა: „ახლა კი მოისმინეთ, რას ვფიქრობთ ამ საკითხზე მე და ამხანაგი ილუშინი...“

შედეგად ილუშინის საკონსტრუქტორო ბიურო მოსკოვში დარჩა და მან და მისმა თანამშრომლებმა მშვიდად განაგრძეს მუშაობა.

თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ ისტორია, რომელიც ამ თვითმფრინავს უკავშირდებოდა, განვითარდა, სტალინს არ დავიწყებია. ამიტომ იყო, რომ მან გარკვეული დროის შემდეგ, როცა დღის წესრიგში დადგა „ილ-2“-ისა თუ სხვა თვითმფრინავების დამზადების საკითხი, უპირატესობა ილუშინის პირმშოს მიანიჭა. და არც შემცდარა. თვითმფრინავი მართლაც შესანიშნავი იყო. იგი რუსულ სასწაულად მონათლეს. „თვითმფრინავი „ილ-2“, — წერდნენ გერმანელები, — განსაკუთრებული პროგრესის მაჩვენებელია. იგი გერმანიის არმიის მთავარი, ძირითადი მოწინააღმდეგეა“.

**სტალინისთვის ყოველთვის პირველი იყო საქმე და, რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელზეც დამოკიდებული იყო ეს საქმე. ცნობილია, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: უმაღლესი მთავარსარდალი უკმაყოფილო იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის უფროსის მუშაობით. დღის წესრიგში დადგა მისი შეცვლის საკითხი. რეკომენდაცია გაუწიეს ადმირალ ისაკოვს, მაგრამ ეეჭვებოდათ მისი დამტკიცება, რადგან ადმირალს ერთი ფეხი ამპუტირებული ჰქონდა. ეჭვები სტალინმა გაფანტა. „ცალფეხა კაცთან მუშაობა უთავო კაცთან მუშაობაზე უკეთესია“, — თქვა მან.**

**საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მეცნიერული აღმოჩენის პატენტებისა და ტექნოლოგიური დანადგარების სერიულად დამზადებული კომპლექტების რეალიზაციით მივიღებთ საქართველოს მასშტაბისთვის უპრეცედენტოდ კოლოსალურ შემოსავალს, სავარაუდოდ, 70 მილიარდ დოლარს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ორგანიზმის სრულყოფილი განვითარება და მისი სრულფასოვანი ფუნქციობა, ცხადია, განვითარებული ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია. დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შემდგომ იმის მაგივრად, რომ საბჭოთა ეპოქის დანატოვარი — მატერიალური და ფინანსური რესურსების გარკვეული წილი — ეტაპობრივად და მწყობრ მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებული სისტემით საზოგადოებაზე სამართლიანად და ოპტიმალურად გადანაწილებულიყო, ქაოსურად, უსისტემოდ და დანაშაულებრივად მოხდა ამ ძირითადი ფონდებისა და ფინანსების სხვადასხვა მაქინაციით დატაცება, ეკონომიკური და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის თითქმის სრულად განადგურება და, საერთოდ, მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მიზანმიმართული დაკნინება; უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მიმართ განხორციელდა მორალურ და მატერიალურ წამებასთან გათანაბრებული დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა გამოც ჩვენ ვერ შევძელით, აგვეშენებინა თანამედროვე, ევროპული დონის მმართველობაზე დაფუძნებული სამართლებრივი და განვითარებული ეკონომიკის სახელმწიფო.**

# საქართველოს ეკონომიკური თვითგადარჩენის ერთ-ერთი «ფორმულა»

## ხელიდან არ გავუშვათ საქართველოს მეცნიერული და ეკონომიკური გაბრწყინების შანსი

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან გამოყვანისა და აღმასვლისკენ რადიკალური შემობრუნების გადაუდებელი აუცილებლობის მოთხოვნით, საჭიროა, დაუყოვნებლივ ამოქმედდეს ჩვენი ინტელექტუალური სამეცნიერო ელიტის მიერ შემუშავებული კონკრეტული ბიზნესგეგმები, რომელთა საფუძველზეც განსაზღვრული და დასაბუთებულია, როგორც სამეცნიერო თეორიული კვლევებით და აღმოჩენებით, ისე ექსპერიმენტულად მათი პრაქტიკაში დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობა და რომელთა ბაზაზეც შესაძლებელია მასზე ზედნაშენი დარგების განვითარება, რომელიც საბოლოო ჯამში, კანონის უზენაესობის დაცვის პირობებში, მოგვცემს ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემის, ისეთ მძლავრ, სინქრონულ და ავტომატურ რეჟიმში აღმასვლას, რომლის შეჩერება პრაქტიკულად, შეუძლებელიც კი იქნება.

რაც მთავარია, საზოგადოებამ და ხელისუფლებამაც კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ძირითადი და მთავარი რესურსი ადამიანია და, მით უმეტეს, ადამიანთა ის გამორჩეული კონტინგენტი, რომელსაც თავისი ძალისხმევით შეუძლია ამ საქმეში მნიშვნელოვანი და ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი წვლილის შეტანა. **სწორედ ამ ადამიანური რესურსის გამოყენებით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება უნდა ეყრდნობოდეს სტრატეგიული მნიშვნელობის წიაღისეულის გადამუშავებას, ძვირფასი და სასმელი წყლის ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ ათვისებას, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და იაფი ელექტროენერგეტიკის განვითარებას და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.**

საბედნიეროდ, ჩვენს შორის არიან და მოღვაწეობენ ისეთი კვალიფიციური და მაღალინტელექტუალური პიროვნებები, რომლებსაც შესწევთ უნარი, აქვთ შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და, რაც მთავარია, მაღალი ზნეობა და პასუხისმგებლობა, თავი გაართვან ისეთ მასშტაბურ, ურთულეს და უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეს, როგორიც არის ღრმა მეცნიერულ თეორიულ კვლევებსა და ექსპერიმენტებზე დაყრდნობით შემუშავებული და, ამასთანავე, მცირე ექსპერიმენტული მასშტაბით პრაქტიკაში უკვე დანერგილი კონკრეტული პრობლემების რეალური გადაწყვეტა, რომელსაც საფუძვლად უდევს ყოველ ერთ ინვესტირებულ ლარზე გაცილებით მაღალი და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, შთამბეჭდავი კოეფიციენტით უკუგება.

ასეთ პიროვნებებს გონიერი ხელისუფლებები და ინვესტორები, ხატოვნად რომ ვთქვათ, „სანთლით ეძებენ“ და, ქვეყნის ეკონომიკურ-ფინანსური წინსვლის მიზნით, ყველა პირობას უქმნიან მათი პოტენციური ნიჭისა და უნარის თვითრეალიზაციის სრულად გამოვლენას.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება არაერთი სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ნოვატორულ გამოგონებათა ავტორი და პრაქტიკაში დანერგვის ინიციატორი, უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შპს „საკონსტრუქტორო საწარმოო გაერთიანების“ გენერალური დირექტორი, ბატონი **ევგენი უშვერიძე**, რომლის მრავალ სამეცნიერო გამოგონებათა და აღმოჩენათა შორის თავისი მასშტაბით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბაზალტის უწყვეტი ბოჭკოსგან დამზადებულ ქსოვილზე იშვიათი ჯიშების მცენარეების საუკეთესო ნერგების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ბრინჯის, შაქრის შემცველი მცენარის სტევიას, კართოფილის და სხვა) და მათ შორის უპირობოდ სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტის ხორბლის 60-დღიანი ციკლით თესვამოყვანის უნიკალური ტექნოლოგია, რომელსაც არ გააჩნია ანალოგი მსოფლიოში და რომელიც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რევოლუციური მნიშვნელობის ნოვაციაა, რაც დასტურდება შემდეგით: **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოუსადეგარ მიწის ნაკვეთზე, ცხრასართულიან შენობაში, რომლის განაშენიანების ფართობიც არის 800 კვ. მ (შესაბამისად 0.08 ჰა), 90 კაცისგან შემდგარ მომსახურე პერსონალს ყოველწლიურად შესაძლებლობა ექნება, მიიღოს შთამბეჭდავი რაოდენობის, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო 336 ტონა ხორბალი, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილი 730 ათასი ცალი ვერცხლისფერი ნაძვის ნერგი, 302 ტონა სოკო და მისგან დაამზადოს 51 ტონა სოკოს ფხვნილი.**



**ხორბლის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად წელიწადში 800 ათასი ტონა ხორბლის წარმოებისთვის საჭირო იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დისტრიბუციის თვალსაზრისით, ოპტიმალურად განთავსებული 2381 ცხრასართულიანი კოპუსის ეტაპობრივი, დაახლოებით 6 წლის განმავლობაში მშენებლობა, რომლებშიც, საერთო ჯამში, დასაქმდება 250 ათასამდე ადამიანი**



თუ ჩავთვლით, რომ 1 ჰექტარ ტერიტორიაზე ტრადიციული მეთოდით მოყვანილი ხორბლის რაოდენობა, საუკეთესო შემთხვევაში, საშუალოდ შეადგენს 4 ტონას, მაშინ **ამ საწარმოს ერთი ცხრასართულიან კორპუსში, რომლის განაშენიანების ფართობიც შეადგენს სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწის 0.08 ჰექტარს, ერთი წლის განმავლობაში წარმოებული ხორბლის რაოდენობა იქნება ბუნებრივ პირობებში 84 ჰექტარ ტერიტორიაზე მოყვანილი ხორბლის რაოდენობის ეკვივალენტი.**

ამავე დროს საწარმოო კორპუსის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული წლიური შემოსავალი, ყველაზე მოკრძალებული საბითუმო ფასების გათვლებითაც კი, მათი საწარმოო დანახარჯების გამოკლებით შეადგენს **2.2 მილიონ დოლარს.** ეს ნიშნავს იმას, რომ ცხრასართულიანი კორპუსის მშენებლობისა და ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟის საერთო დანახარჯების — 2 მილიონი დოლარის — გამოსყიდვას დასჭირდება მხოლოდ 1 წელიწადი.

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და, გნებავთ, უსაფრთხოების მიზნითაც კი ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა შევძლოთ ჩვენი მოსახლეობის უზრუნველყოფა საკუთარი წარმოების სურსათით და განსაკუთრებით ისეთი სტრატეგიული პროდუქტით, როგორიც არის ხორბალი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები არ იშურებენ სუბსიდიებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ **სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება უნდა განხორციელდეს გონივრულად, დარგის პერსპექტიული განვითარების გათვალისწინებით.**

**ხორბლის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად წელიწადში 800 ათასი ტონა ხორბლის წარმოებისთვის საჭირო იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დისტრიბუციის თვალსაზრისით, ოპტიმალურად განთავსებული 2381 ცხრასართულიანი კოპუსის ეტაპობრივი, დაახლოებით 6 წლის განმავლობაში მშენებლობა, რომლებშიც, საერთო ჯამში, დასაქმდება 250 ათასამდე ადამიანი.**

ყოველწლიური ციკლით 2381 კორპუსში წარმოება ყოველ წელიწადს მოგვცემს 800 ათას ტონა ხორბალს, საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნილ 120 ათას ტონა სოკოს ფხვნილს, 1.7 მილიარდ ცალ ვერცხლისფერი ნაძვისა და სხვა იშვიათი ჯიშის მცენარეების საუკეთესო ნერგებს და 5 მილიარდ დოლარზე მეტ სუფთა მოგებას.

**ამასთანავე, საქართველო განთავისუფლდება ხორბლის ყოველწლიური იმპორტისგან, რაც შეადგენს არანაკლებ 180 მილიონ დოლარს და, რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვნად გაიაფდება ძირითადი საკვები პროდუქტი — პური.**

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მეცნიერული აღმოჩენის პატენტებისა და ტექნოლოგიური დანადგარების სერიულად დამზადებული კომპლექტების რეალიზაციით **მივიღებთ საქართველოს მასშტაბისთვის უპრეცედენტოდ კოლოსალურ შემოსავალს, სავარაუდოდ, 70 მილიარდ დოლარს.**

ამ უნიკალური პროექტის განხორციელებით, მკვეთრ, ნახტომისებრ ფინანსურ-ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად, მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში მნიშვნელოვნად ამაღლდება საქართველოს პრესტიჟი და ქართველები, ჩვენი წელთაღრიცხვის ოცდამეერთე საუკუნის პირველ მეოთხედში, უკვე სრულიად სხვა თვისობრივ და ხარისხობრივ ამპლუაში, ერთხელ კიდევ დავუმტკიცებთ კაცობრიობას, რომ ნამდვილად ვართ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მიწათმოქმედი, შემოქმედებითად მოაზროვნე და კულტურული ერი.

გენიალურმა მოაზროვნემ და ასტრონომმა **ჯორდანო ბრუნომ** შუა საუკუნეების ევროპულ საზოგადოებას აუწყა იმ დროისთვის ნამდვილად დაუჯერებელი და სენსაციური აღმოჩენის შესახებ, რომ დედამიწა არის არა ბრტყელი, არამედ მრგვალი და რომ იგი ბრუნავს მზის გარშემო. იმ დროისთვის ჯერ კიდევ ბნელმა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ იგი შერაცხეს ერეტიკოსად და კოცონზე დაწვეს. დღეს ბავშვმაც იცის, რომ დედამიწა არის მრგვალი და იგი ბრუნავს მზის გარშემო.

ნათქვამია, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო. ჩვენც, ოცდამეერთე საუკუნის დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრიობა და ხელისუფლება ნუ აღმოვჩნდებით ისეთივე ურწმუნონი და ნუ დავემსგავსებით შუასაუკუნეობრივ დოგმატიკოსებს, რათა ჩვენმა შთამომავლობამ ჩვენც არ მოგვიხსენიოს ტერმინით „ბნელი“ და, **რაც მთავარია, ხელიდან არ გავუშვათ საქართველოს მეცნიერული და ეკონომიკური გაბრწყინების ერთ-ერთი შანსი.**

**ანზორ დავითაშვილი**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არა რუსმა, არამედ ბრიტანელმა „ბიზნესმენებმა“ მიიყვანეს თავიანთი საწარმოს მუშები იმ მდგომარეობამდე, რომ მათი სტიქიური პროტესტი, გადამრავლებული რევოლუციონერთა წაქეზებაზე, ცეცხლსასროლი იარაღით დასამშვიდებელი გაუხდა ხელისუფლებას. შედეგად რუსი მუშების სისხლი რუსეთის ხელისუფლებას სამარცხვინო ლაქად დააჩნდა, ხოლო უცხოელი აქციონერები თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი დარჩნენ.**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-10 (330-339)

**ლენინმა, რომელსაც სძულდა ტროცკი** და მას „იუდუშკას“ ეძახდა, მშვენივრად იცოდა, ვის ინტერესებს წარმოადგენდა ლევ დავითის ძე. ამხანაგ ლეიბ ბრონშტეინის მიმართ სიძულვილი ილიას ძეს წამში გაუქრა: ტროცკი და მისი მომხრეები 1917 წლის ივლისში შედიან ბოლშევიკურ პარტიაში. ვლადიმერ ილიას ძე კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით – თანახმაა. ტროცკის გუნდიდან ბევრმა, როგორც კი ბოლშევიკები გახდნენ, დაუყოვნებლივ მიიღო საპასუხისმგებლო პოსტი. **საიდან ჩამოვიდნენ რევოლუციის რაინდები რუსეთში? — ეს ახალგაზრდები აშშ-იდან ჩამოვიდნენ.**

**ანტონოვ-ოვსეენკო,** რომელმაც დროებითი მთავრობა დააპატიმრა, სწორედ ამ დასტიდან იყო.

ისევე, როგორც პეტერბურგის ხიდთან სპილენძში ჩამოსხმული **მოისეი ვოლოდარსკი...**

ისევე, როგორც პეტერბურგის ჩეკა-ს მეთაური **ურიცკი,** რომლის მკვლელობის „აღსანიშნავადაც“ დაიწყება „წითელი ტერორი“...

ისინი ბოლშევიკები იყვნენ, მაგრამ პარტიაში წითელ ოქტომბრამდე სამი თვით ადრე გაწევრდნენ და დაუყოვნებლივ მიიღეს თავბრუდამხვევი თანამდებობები. მათ ჩამოსვლამდე აშშ-დან ბოლშევიკების პარტიაში სიცარიელე იყო? არ იყვნენ ღირსეული ადამიანები? თუ ეს თამამი ბიჭები, რომლებიც ასე წარმატებით შეერწყნენ ლენინელთა რიგებს, რაიმე მიზეზით რომ ვერ ჩამოსულიყვნენ რუსეთში, რევოლუცია არ მოხდებოდა?

**კაპიტალისტური სამყაროს საქმოსნებსა და ცეცხლოვან რევოლუციონერებს შორის ახლო ურთიერთობის დაჯერება საკმაოდ რთულია. ერთი შეხედვით, ბურჟუების საქციელი ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია და კოლექტიურ თვითმკვლელობას ჰგავს: ბანკირები და მილიარდერები ზრდიან თავიანთ „მესაფლავეებს“, დიდსულოვნად აფინანსებენ ანტიკაპიტალისტურ პარტიებს. ეს ყველაფერი უცნაური მხოლოდ პირველი, ზედაპირული შეხედვით ჩანს.** ლოგიკა არის და ლოგიკა რკინისებურია. ფინანსდება დივერსიული ანტიკაპიტალისტური (ანუ ანტისახელმწიფოებრივი!) ელემენტები კონკურენტ ქვეყნებში. **სად იყო ყველაზე ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტიები? — რუსეთსა და გერმანიაში. სად მოხდა რევოლუციები? — რუსეთსა და გერმანიაში. ხოლო აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში მსგავსი არაფერი მომხდარა.** რატომ? იმიტომ, რომ ათასი ჯურის სოციალისტებისთვის ამ ქვეყნებში ფულს არ გამოჰყოფდნენ. ხოლო **ფული, და ამას ყველა „რევოლუციონერი“ ან „თავისუფლებისთვის მებრძოლი“ გეტყვით, ყველაზე საჭირო რევოლუციური ელემენტია, სწორედ ფული და არა იარაღი და ძირგამომთხრელი ლიტერატურა.**

კონკურენტი ქვეყნების „მოწინავე“ მოძრაობების სათავეში შემოწმებულ და სანდო ხალხს აყენებენ. რევოლუციონერთა სათავესთან კავშირი შენარჩუნებულია, პარტიები, თავიანთი ლიდერების მართვადობის წყალობით, მათ შემქმნელ უცხოურ დაზვერვასთან კავშირში არიან. როგორ მივაღწიოთ ამას? ძალიან მარტივად — დაფინანსებით.

ეს ყველაფერი სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები, — იტყვის კრიტიკოსი. სადაა ფაქტები? აი, ძვირფასო მკითხველო, ფაქტები, ცხოვრებისეული ისტორიები მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა სახელმწიფოს, სახელად სსრკ, ცხოვრებიდან, სადაც კაპიტალის ძალაუფლება დაამხეს...

## ისტორია პირველი. ლენა გოლდფილდსისა და ამხანაგ ლენინის ფსევდონიმის შესახებ

გახსოვთ, რატომ დაიწყო ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვმა ფსევდონიმით „ლენინი“ ხელის მოწერა? თუ დაგავიწყდათ, ჰკითხეთ ვინმეს. „ლენის დახვრეტის“ პატივსაცემად, – მიიღებთ პასუხს. ეს 1912 წლის აპრილის მოვლენაა, როდესაც ჯარისკაცების რაზმმა მუშებს ცეცხლი გაუხსნა ციმბირის მდინარე ლენას ნაპირზე მდებარე ოქროს საბადოზე. შედეგად რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა. ამ ისტორიამ იმდროინდელ რუსეთში უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია. სათათბირო ხმაურობდა, წერდნენ გაზეთები, ემიგრანტი ლენინი გმობდა თვითმპყრობელობას. მოგვიანებით ეს ისტორია მეფის რუსეთის არაადამიანურობის მაგალითად შევიდა ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოებში, თუმცა არის რამდენიმე ნიუანსიც, რომელთა შესახებ ჩვენთვის არ უამბნიათ.

**რატომ წარმოიშვა კონფლიქტი, რომელიც სისხლიანი მოვლენებით დასრულდა?** მუშები იბრძოდნენ თავიანთი უფლებებისათვის და მოითხოვდნენ რვასაათიან სამუშაო დღეს, ხელფასის გაზრდას. ამ და სხვა სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარმა გამოიწვია შეტაკება. არაადამიანური ექსპლუატაცია, ანტიეროვნული რეჟიმი, ჩამორჩენილი მეფის რუსეთი — რამდენი განსაცვიფრებელი იარლიყი შეიძლება მივაკრათ ჩვენს ქვეყანას, თუ ზედაპირზე ვიმოძრავებთ და ღრმად არ ჩავხედავთ მოვლენებს. საქმე ის არის, რომ მეფის თვითმპყრობელობას და რუსეთს ამ ისტორიასთან უშუალო კავშირი არ ჰქონია. კაპიტალისტ-ექსპლუატატორები, რომლებიც მუშებს ბოლომდე წურავდნენ, უცხოელები იყვნენ. **ლენის ოქროს მომპოვებელი სააქციო ამხანაგობა, რომელმაც უარი უთხრა მუშებს ხელფასის გაზრდაზე, ინგლისელებს ეკუთვნოდა. ლონდონში დარეგისტრირებული კომპანია „ლენა გოლდფილდსი“ (LENA GOLDFIELDS C°., LTD) ფლობდა ოქროს საბადოების აქციათა საკონტროლო პაკეტს, რომლითაც მთელი რუსული ოქროს ერთ მესამედს მოიპოვებდა.**

**რუსეთისა და რუსების მიმართ დამოკიდებულების ორმაგი სტანდარტი, რომელსაც დღეს ვხედავთ, მეოცე საუკუნის დასაწყისშივე ანგლოსაქსთა ნორმა იყო.** რუსული ხელისუფლების ჩამორჩენილობასა და ანტიჰუმანურობაზე მუდმივი ხაზგასმისას, ინგლისური გაზეთები არაფერს ამბობდნენ იმის შესახებ, რომ ყველაზე სისხლიანი და ყველაზე ცნობილი ეპიზოდი მუშების ბრძოლისა თავიანთი უფლებებისათვის სწორედ „ჰუმანური“ და „დემოკრატიული“ დიდი ბრიტანეთის წარმომდგენლების მონაწილეობით მოხდა. **არა რუსმა, არამედ ბრიტანელმა „ბიზნესმენებმა“ მიიყვანეს თავიანთი საწარმოს მუშები იმ მდგომარეობამდე, რომ მათი სტიქიური პროტესტი, გადამრავლებული რევოლუციონერთა წაქეზებაზე, ცეცხლსასროლი იარაღით დასამშვიდებელი გაუხდა ხელისუფლებას. შედეგად რუსი მუშების სისხლი რუსეთის ხელისუფლებას სამარცხვინო ლაქად დააჩნდა, ხოლო უცხოელი აქციონერები თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი დარჩნენ.**

ციმბირის ოქროს მოპოვების ისტორია არის მშვენიერი ილუსტრაცია არა მხოლოდ მუშათა არაადამიანური ექსპლუატაციის პრინციპებისა, არამედ „ფინანსური ბუშტების“ გაბერვისაც. საზოგადოება „ლენზოლოტომ“ ჯერ კიდევ 1905 წელს, როდესაც მომგებიანი საწარმო იყო, გამოუშვა აქციები, მაგრამ აქციონერებს არც ერთხელ არ გადაუხადეს დივიდენდები. აქციები, რომლებიც 750 რუბლი ღირდა, 1908 წლამდე ხან ძვირდებოდა, ხან იაფდებოდა: თუმცა არასოდეს ასცილებია ნომინალს (ანუ 750 რუბლს), მაგრამ როგორც კი ინგლისელებმა საბადოები ხელში ჩაიგდეს, საწარმოს აქციების ფასი მკვეთრად გაიზარდა. თანაც, ისევე, როგორც დღეს, საწარმოს საბირჟო შეფასების მკვეთრი აწევა არ არის დაკავშირებული მის რეალურ საქმიანობასთან.

1909 წელს აქციების ფასი 1850 რუბლამდე გაიზარდა. 1910 წელს კოტირებამ კოლოსალურ ციფრს – 6075 რუბლს მიაღწია. რატომ მოხდა ასე? ნუთუ ოქროს მოპოვება ათჯერ გაიზარდა? რა თქმა უნდა, არა; უბრალოდ, **ინგლისელები, რომლებმაც საკონტროლო პაკეტი შეისყიდეს, თავიანთ ძირითად შემოსავალს აქციათა კურსის ზრდაში ხედავდნენ. ძვირფასი ლითონის მოპოვება არ გაზრდილა, მაგრამ მოხდა აქციათა ფასის საოცარი ზრდა, რომლის ძირითადი ინსტრუმენტიც იყო არა ის ფაქტი, რომ აქციონერებმა კარგი დივიდენდების მიღება დაიწყეს,** ლენის აქციების ზღაპრული ზრდა საბირჟო მაქინაციების მთელი სისტემის დახმარებით გახდა შესაძლებელი: „მოუსყიდავი“ ბულვარული და სოლიდური ბეჭდვითი საშუალებების, საბირჟო მაკლერების, საეჭვო ბანკების მონაწილეობით.


ლენინი და ტროცკი

**ცუდია, რომ საბჭოთა კავშირის დამფუძნებლის ბიოგრაფია კარგად არ არის შესწავლილი. დიდი შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ კონტაქტები მათთან, ვინც დააფუძნა ფსს, ხოლო შემდეგ მსოფლიო ომებსა და უდიდეს რევოლუციებს გაუწია ორგანიზება, მხოლოდ ტროცკის ჰქონდა. ამხანაგი ლენინი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ გახლდათ გერმანელი ჯაშუში, ასევე «თემაში» იყო**

იმდროინდელი რუსეთისთვის ახალ ვირტუალურ-საბირჟო სფეროში საკმაოდ რეალური დიდი ფულის გამომუშავებაში დახელოვნებული ბრიტანელი აქციონერები სულაც არ აპირებდნენ წარმოების განვითარებას. ამ კოლოსალურ ვირტუალურ თამაშში ხელფასის გაზრდისა და რვასაათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით გაფიცული მუშები სამწუხარო დაბრკოლებად აღიქმებოდნენ, რომელიც ზრდადი კვოტების სააღლუმო სვლას უშლიდა ხელს. ეს იგივეა, რომ თანამედროვე კომპიუტერული გეიმერი, რომელიც მასობრივად ხოცავს მონსტრებსა და მტრებს თავის ნოუთბუქში, რეალურ მტერზე გასამარჯვებლად სანგრის ამოსათხრელად გაუშვა. იგი უბრალოდ ვერ გაგიგებთ. ასევე არავინ აპირებდა ლენის მუშების მოსმენას: საბირჟო მოგების დაბრკოლება, ანუ ხალხი გაანადგურეს...

ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი საზღვარგარეთიდან წერდა: „ლენის დახვრეტა გახდა მასების რევოლუციური განწყობიდან მასების რევოლუციურ ამბოხებაზე გადასვლის საბაბი“. გავიდა კიდევ ხუთი წელიწადი და „მასების რევოლუციურმა ამბოხებამ“ თვითონ ილიას ძის ხელმძღვანელობით მინისტრ-კაპიტალისტთა დროებითი ხელისუფლება დავიწყებას მისცა. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას ბოლო მოეღო: ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დროულად მოახდინა ქვეყნის ყველა საწარმოს ნაციონალიზაცია, მათ შორის, მდინარე ლენაზე არსებული ოქროს მაღაროებისაც.

თითქოს დამთავრდა ჩვენი ისტორია, მაგრამ სინამდვილეში იგი მხოლოდ იწყებოდა. სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე, რომელშიც წითელი არმიის ჯარისკაცები სისხლს ექსპლუატატორებისგან თავის დასაღწევად ღვრიდნენ, ახალგაზრდა ხელისუფლებამ „ყვითელი ლითონის“ მოპოვებისთვის ზრუნვა დაიწყო. **1925 წლის 14 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ გადასცა ლენის მაღაროების კონცესია. როგორ გგონიათ, ვის? იმავე კომპანიას — „ლენა გოლდფილდს“! ბრიტანულ საბანკო კონსორციუმს, რომელიც ფლობდა „ლენა გოლდფილდს“ და დაკავშირებული იყო ამერიკულ საბანკო სახლ „კუნ ლეებთან“ და უფლება ეძლეოდა, მოეპოვებინა ოქრო ოცდაათი წლის განმავლობაში. ბანკირთა კონგლომერატმა, რომელსაც ბევრი ისტორიკოსი ბრალს სდებდა ბოლშევიკური რევოლუციის დაფინანსებაში, რევოლუციური ხელისუფლებისგან ოქროს მოპოვების უფლება მიიღო.**

საინტერესოა, არა?

ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როცა პარტიაში ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო. გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი **ტროცკის** ჰქონდა, ყველაზე ავტორიტეტულ პარტიულ ლიდერს. ამ ბრძოლის მომავალი გამარჯვებული, სტალინი, ჯერ კიდევ ჩრდილში იყო. **პარტიის გენერალური მდივნის პოსტის დაკავებისას მან ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, მაგრამ 1925 წელს პირველი ვიოლინოს პარტიას ტროცკი ასრულებდა. კონცესიური „საქმეები“ ხელისუფლებაში სწორედ მის მიერ კეთდება. კონტრაქტი „ლენა გოლდფილდსთან“ ახალი ხელისუფლების ისტორიაში უმსხვილესია და აძლევს კომპანიას კარგ კომპენსაციას იმ დანაკარგებისთვის, რომლებიც მან რევოლუციის დროს განიცადა.** მიღებული კონცესიის მოედანი უზარმაზარ ტერიტორიაზე, იაკუტიიდან ურალის ქედის აღმოსავლეთამდე, ვრცელდებო- ▶




**ამ ბრძოლის მომავალი გამარჯვებული, სტალინი, ჯერ კიდევ ჩრდილში იყო. პარტიის გენერალური მდივნის პოსტის დაკავებისას მან ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, მაგრამ 1925 წელს პირველი ვიოლინოს პარტიას ტროცკი ასრულებდა. კონცესიური „საქმეები“ ხელისუფლებაში სწორედ მის მიერ კეთდება. კონტრაქტი „ლენა გოლდფილდსთან“ ახალი ხელისუფლების ისტორიაში უმსხვილესია და აძლევს კომპანიას კარგ კომპენსაციას იმ დანაკარგებისთვის, რომლებიც მან რევოლუციის დროს განიცადა.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და, ეკონომიკური ინტერესები კი საკმაოდ სცდებოდა ოქროს მოპოვებას: ესაა ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, რკინა. საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმების მიხედვით, „ლენა გოლდფილდსს“ გადაეცა სამთო და მეტალურგიული საწარმოების მთელი კომპლექსი — ქარხნები, საბადოები, მაღაროები.

**რაც უფრო ღრმად სწავლობ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში ოქროს მოპოვების ისტორიას, მით უფრო დიდი ცინიკოსი ხდები. თურმე პროდუქციის განაწილების შესახებ შეთანხმებით, ეროვნული ხელისუფლების წილი მოპოვებულ ძვირფას ლითონში მხოლოდ 7% იყო. მთელი 7%! ხოლო „ლენა გოლდფილდსის“ წილი შეადგენდა, როგორც უკვე მიხვდით, „საცოდავ“ 93%-ს.**

**მაშ, როგორ მომგებიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი საბჭოთა ხელისუფლებამ და, რაც მთავარია, რისთვის?! ნუთუ მთელ მსოფლიოში არ მოიძებნა სხვა არც ერთი საწარმო, რომელსაც ციმბირში ოქროს მოპოვება უნდოდა? ნუთუ ვერავინ შესთავაზა უფრო მომგებიანი პირობები? არავინ, რუსი მუშების სისხლში ამოთხვრილი „ლენა გოლდფილდსის“ გარდა?**

**და ამის გაკეთება 93%-ზე ნაკლებად არაფრით შეეძლო?**

**რისთვის მოხდა სოციალისტური რევოლუცია, თუ იგივე ლონდონელი და ნიუიორკელი ბანკირები ეზიდებოდნენ რუსეთიდან რესურსებს?**

სწორედ ამისთვის მოხდა. რუსეთში მონარქიის ლიკვიდაციის შემდეგ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უფრო იოლი გახდა, ხოლო მოგება გაიზარდა. ჩვენ კი უკეთ გასაგებად „ლენოჩკას“ ცხოვრებიდან კიდევ რამდენიმე ფაქტს დავამატებთ. ეს უცხოური კომპანია, ინგლისელ **ჰერბერტ გუედალის** მეთაურობით, საკმაოდ თავხედურად იქცეოდა სოციალისტურ სახელმწიფოში. კონცესიური შეთანხმების გაფორმებისას შეჰპირდა „ინვესტიციას“, მაგრამ მაღაროებისა და საწარმოს განვითარებაში ერთი რუბლიც კი არ ჩაუდვია. პირიქით, საქმე იქამდე მივიდა, რომ **„ლენა გოლდფილდსმა“ მოითხოვა სახელმწიფო სუბსიდიები და ყველანაირად თავს არიდებდა გადასახდების გადახდას.**

1929 წლამდე ვერავინ შეერკინა გათავხედებულ „ლენას“. ამ წელს სიტუაცია უეცრად შეიცვალა. მაღაროების მუშებმა გაფიცვათა მთელი რიგი გამართეს, ხოლო ჩეკისტებმა — ჩხრეკათა წყება. შედეგად „ლენა გოლდფილდსს“ კონცესია ჩამოერთვა.

რატომ შეიცვალა ამ კომპანიის მდგომარეობა სსრკ-ში სწორედ 1929 წელს?

**1929 წლის 10 თებერვალს ლევ დავიდის ძე ტროცკი სსრკ-დან გააძევეს. და იმავე წლის დეკემბერში „ლენა გოლდფილდსი“ იძულებული შეიქნა, შეეწყვიტა საქმიანობა რუსეთში. ვიდრე ქვეყანაში, ერთი მხრივ, ტროცკის მეთაურობით ათწლეულების განმავლობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ რევოლუციონერებსა და, მეორე მხრივ, სტალინს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა, რუსეთის ოქროს 93% საზღვარგარეთ გადიოდა. 1930 წლიდან ოქროს მოპოვება ციმბირში უკვე სახელმწიფო კომპანიამ დაიწყო და მთელი მოგებაც ბიუჯეტში წარიმართა. ამხანაგ ტროცკის საზღვარგარეთ განდევნისთანავე სტალინურმა ხელმძღვანელობამ „ყველაზე მომგებიან“ შეთანხმებებზე დაიწყო მუშაობა, რომლებიც ყველაზე ეფექტიანი მენეჯერისა და ბოლშევიკური რევოლუციის საუკეთესო ორგანიზატორის მიერ იყო შემუშავებული.** „საქმის გარჩევების“ ისტორია საოცრად გრძელი და რთული აღმოჩნდა. საბჭოთა მხარისთვის შეთანხმების აშკარად კაბალური პირობების მიუხედავად, ბურჟუების, უბრალოდ, სადმე გაგდება შეუძლებელი აღმოჩნდა. **საერთაშორისო არბიტრაჟმა, რომელსაც ინგლისელებმა მიმართეს, სსრკ-ს „ლენა გოლდფილდსის“ სასარგებლოდ 12 მილიონ 965 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრა, რომლიდანაც უშუალოდ ჩადებული კაპიტალი მხოლოდ 3,5 მილიონი იყო. დანარჩენ 9,5 მილიონ ფუნტ სტერლინგს მოგება შეადგენდა, რომელიც კომპანიას, თავისი გათვლებით, შეთანხმების მიხედვით გათვალისწინებულ 25 წელიწადში უნდა მიეღო.**

ჰიპოთეტური მოგების კოლოსალური თანხა, რომელიც სსრკ-ს მოსთხოვეს, გვიჩვენებს, რომ ურთიერთობის რღვევამ „კრაზანების ბუდე“ ააწრიალა. ამასთანავე, **დასავლეთის ყველაზე გავლენიანი ძალების ნერვიულობის მთავარი მიზეზი ოქრო კი არ იყო, არამედ საბჭოთა კავშირიდან ტროცკის გაძევება, რაც პროლეტარული სახელმწიფოს თავის ნიუიორკელ და ლონდონელ ჭეშმარიტ „დამფუძნებლებთან“ დაცილებას ნიშნავდა.** ამ კულისებს შიგნითა ძალების სიძლიერე ისეთი იყო, რომ 1930-1931 წლებში აშშ-მა თავისთან საქონლის შეტანაზე შეზღუდვები დააწესა, ამგვარი დეკრეტი საფრანგეთში 1930 წელს შეიქმნა, ხოლო 1933 წელს დიდმა ბრიტანეთმა პრაქტიკულად ყველა საბჭოთა საექსპორტო პროდუქტზე ემბარგო დააწესა.

ეს ყველაფერი — მხოლოდ ერთი კომპანიის გამო...

**სტალინსაც კი არ შეეძლო, ანგარიში არ გაეწია ბანკირთა კლანის ძლიერებისთვის, რომელიც ადვილად მართავდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პოლიტიკას მისთვის საჭირო მიმართულებით: 1935 წელს მოლაპარაკებათა სერიის შემდეგ სსრკ-მა განაცხადა, რომ „ლენა გოლდფილდსს“ კომპენსაციას გადაუხდიან და მცირე ნაწილი კიდეც გადაინახა. 1940 წელს, ისარგებლა რა საერთაშორისო გარემოს ცვლილებით, როდესაც დასავლეთის მიერ გამოზრდილმა ჰიტლერმა ხელი ჰკრა თავის პატრონებს, მოსკოვმა შეთანხმება ბათილად სცნო. ამ ბნელი ისტორიას წერტილი კი... 1968 წელს დაესვა! მხოლოდ 38 წლის შემდეგ გადაწყვიტეს საბანკო წრეებმა, შერიგებოდნენ საბჭოთა კავშირს.** რა თქმა უნდა, არა უფასოდ: **1940 წლიდან ბრიტანულ ბანკებში სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფი ბალტიის რესპუბლიკების კუთვნილი ოქრო ინახებოდა. 28 წლის განმავლობაში იგი მოსკოვს სხვადასხვა მიზეზის გამო არ გადასცეს. 1968 წლის შეთანხმების მიხედვით, დაკმაყოფილდა დაუოკებელი „ლენა გოლდფილდსის“ პრეტენზიები...**


„ლენა გოლფისის“ ოქროს დამამუშავებელი საამქრო

**სად იყო ყველაზე ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტიები? — რუსეთსა და გერმანიაში. სად მოხდა რევოლუციები? — რუსეთსა და გერმანიაში, ხოლო აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში მსგავსი არაფერი მომხდარა. რატომ? იმიტომ, რომ ათასი ჯურის სოციალისტებისთვის ამ ქვეყნებში ფულს არ გამოყოფდნენ. ხოლო ფული, და ამას ყველა «რევოლუციონერი» ან «თავისუფლებისთვის მებრძოლი» გეტყვით, ყველაზე საჭირო რევოლუციური ელემენტია, სწორედ ფული და არა იარაღი და ძირგამომთხრელი ლიტერატურა**

ხოლო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ფსევდონიმთან ლენის დახვრეტას არანაირი კავშირი არ აქვს. ილიას ძემ ხელმოწერა „ლენინი“ პირველად ჯერ კიდევ 1899 წლის ბოლოს, გადასახლებაში, ციმბირის სოფელ შუშენსკოეში გამოიყენა...

**ცუდია, რომ საბჭოთა კავშირის დამფუძნებლის ბიოგრაფია კარგად არ არის შესწავლილი. დიდი შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ კონტაქტები მათთან, ვინც დააფუძნა ფსს, ხოლო შემდეგ მსოფლიო ომებსა და უდიდეს რევოლუციებს გაუწია ორგანიზება, მხოლოდ ტროცკის ჰქონდა. ამხანაგი ლენინი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ გახლდათ გერმანელი ჯაშუში, ასევე „თემაში“ იყო.**

**და ამის დასამტკიცებლად — ისტორია მეორე. „ოქროს“ ორთქლმავლების შესახებ, ანუ როგორ აფარებდა ილიას ძე ხელს დავიდის ძეს.**

1920-იანი წლების დასაწყისში, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, ლევ დავითის ძე ტროცკი რკინიგზის სახალხო კომისარიატს ჩაუდგა სათავეში. სწორედ მაშინ ამ უწყებამ კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებთან გააფორმა შეთანხმება, რომელიც თავისი აბსურდულობითა და დაუჯერებლობით ძალიან ჰგავდა „ლენა გოლდფილდსთან“ გაფორმებულ შეთანხმებას. საუბარია შვედეთში, ფირმა **„ნიდკვისტ და ჰოლმის“** ქარხანაში ორთქლმავლების მასობრივ შესყიდვაზე.

ამ შეკვეთაში ყველაფერი საინტერესოა. უწინარეს ყოვლისა, მისი მოცულობა — 1000 ორთქლმავალი; მეორე, ფასი — 200 მილიონი ოქროს რუბლი. არანაკლებ საინტერესოა სხვა დეტალებიც. **შვედეთი სპილოების სამშობლო რომ არ არის, დიდი ხანია, ცნობილია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ქვეყანა მსოფლიო ორთქლმავალმშენებლობის ფლაგმანი არაა, ბოლშევიკებს, რომლებმაც კონტრაქტს ხელი მოაწერეს, რატომღაც გამოეპარათ.** შვედურ ფირმას წელიწადში 40 ორთქლმავალზე მეტი არასოდეს უწარმოებია, მაგრამ აქ მან გადაწყვიტა, ძალა მოეკრიბა და 1921 წლისთვის მთელი 50 ორთქლმავალი აეწყო! შემდეგ შეკვეთა თანაბრად ნაწილდებოდა 5 წელიწადზე: 1922 წელს მყიდველი ღებულობდა 200 ორთქლმავალს, ხოლო 1923-1925 წლებში – 250-ს ყოველწლიურად.

**რატომ ცდილობდა უორთქლმავლოდ დარჩენილი საბჭოთა რუსეთი, ჯიუტად შეესყიდა ისინი სწორედ შვედური „ნიკდვისტ და ჰოლმსის“ კომპანიისგან, „ისტორიულ გამოცანად“ დარჩა. ასევე გაუგებარია, რატომ დათანხმდა საბჭოთა მხარე, დაეცადა ხუთი წელიწადი, იმის ნაცვლად, რომ საჭირო საქონელი სხვაგან შეესყიდა. ამასთანავე, ამხანაგ ტროცკის უწყებამ... კონტრაქტის უზამრაზარი თანხა წინასწარ გადაიხადა.**

მაგრამ ეს რევოლუციური ეკონომიკის ყველა „სასწაული“ როდია. უამრავი ფულის წინასწარ გადახდა საბჭოთა მხარემ რატომღაც არასაკმარისად ჩათვალა. ამიტომ შვედებმა მიიღეს ბოლშევიკებისგან არა მხოლოდ ავანსი 7 მილიონი შვედური კრონის სახით, არამედ დამატებით უპროცენტო ვალი 10 მილიონი კრონის სახით „მექანიკური საამქროსა და საქვაბის ასაშენებლად“.

**შეთანხმების სქემა დაუჯერებელი იყო: ჯერ წითელი რუსეთი ფულს იხდის, შემდეგ შვედები აშენებენ ქარხანას, ხოლო შემდეგ უკვე აკეთებენ და აწვდიან ბოლშევიკებს ორთქლმავლებს.**

შეთანხმებით, სესხი გადახდილად ჩაითვლებოდა ბოლო 500 ორთქლმავლის მიწოდების შემდეგ. **თუ საბჭოთა მხარე შეკვეთას ორჯერ შეამცირებდა, შვედებს უფლებამოსილად შეეძლოთ, აღებული სესხი აღარ დაებრუნებინათ. წარმოვიდგინოთ, რომ ორთქლმავლების მოწოდება ფერხდება შვედური მხარის გამო, შეთანხმების ტექსტში კი არ არის გათვალისწინებული, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეთანხმების გაუქმება შვედურ კომპანიასთან...**

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არაა. **ორთქლმავლები შეუკვეთეს ომამდელ ფასებზე ორჯერ ძვირად და არა გაუფასურებულ ქაღალდის ფულში, არამედ ოქროს რუბლებში! საკმაოდ პიკანტური სურათი მივიღეთ: ფასები გაზრდილი, ფული გადახდილი, საქონელი კი როდის იქნება, გაუგებარია.** ნებისმიერი საგადასახადო ინსპექტორი ან შემმოწმებელი კონტროლიორი, დაინახავდა თუ არა რაიმე მსგავსს, სიხარულით დაიწყებდა ხელების ფშვნეტას: საქმეს დიდი სკანდალისა და აფერის მხილებლისთვის სავარაუდო დაწინაურების სუნი უდის.

**„ორთქლმავლების საქმის“ უცნაურობების შესახებ 1922 წლის დასაწყისში საბჭოთა ჟურნალი „ეკონომისტი“ წერდა. სტატიაში გამოიხატა გაოცება მართვის ასეთი უცნაური მეთოდის გამო. გარდა ამისა, მისი ავტორი ა.ნ. ფროლოვი ლოგიკურ კითხვას სვამდა: რატომ უნდა შევუკვეთოთ ორთქლმავლები მაინცდამაინც შვედეთში? არ სჯობს, რომ განვავითაროთ, უფრო სწორად კი, წინ წავწიოთ სამამულო წარმოება? იმავე პუტილოვის ქარხანაში ომამდე წელიწადში 250 ორთქლმავალს უშვებდნენ. რატომ არ უნდა მივცეთ კრედიტი მას? ამ დიდი ფულით ხომ შეიძლებოდა „წესრიგში მოგვეყვანა საკუთარი ორთქლმავალმშენებელი ქარხნები და საკუთარი მუშები გვეკვება“.**

და მართლაც, პროლეტარული ხელისუფლების ინტერესებში უფრო საკუთარი წარმოების ამოქმედება და პროლეტარებისთვის ხელფასის მიღების საშუალება იყო, ვითომდა რის გამოც მოხდა სისხლისღვრა რუსეთში. ჯერ კიდევ 1923 წლის ბოლოსთვის ხომ რსფსრ-ში დაახლოებით მილიონი უმუშევარი იყო, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება, აშკარად საკუთარი თავის საზიანოდ, ყველანაირი ძალისხმევით ცდილობდა, გამოეკვება შვედი კაპიტალისტები და ხელი მოაწერა საოცრად სულელურ და კაბალურ შეთანხმებას.

რა რეაქცია ჰქონდა ვლადიმერ ლენინს ამ პუბლიკაციაზე, მომდევნო ნომერში წაიკითხავთ.

**გაგრძელება იქნება**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იკებანას ისტორია დაახლოებით 500 წლის წინათ დაიწყო. თავდაპირველად მას რელიგიური დანიშნულება ჰქონდა და იაპონურ ტაძრებში უფლისადმი ძღვნად ითვლებოდა. მისი უძველესი სკოლა იყო იკენობო, რომლის წარმოშობაც უკავშირდება ქალაქ კიოტოში მდებარე როკაკუ-დოს ტაძრის ერთ-ერთ მღვდელს. იგი ტბასთან ახლოს ცხოვრობდა (ტბა იკენობო) და გაწაფული იყო ყვავილების ხელოვნებაში.**

# ზოგი რამ იკებანას შესახებ

**იკებანა იაპონური სიტყვაა და ქართულად ცოცხალ ყვავილს ნიშნავს. ეს ყვავილების დაწყობის იაპონური ხელოვნებაა, რომელშიც ბუნება და ადამიანი ერთმანეთს ერწყმის. იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომ მცენარეთა სილამაზე მხოლოდ მათ მრავალფეროვან ყვავილებშია, იკებანა ხაზს უსვამს დეტალებს — ღეროებს, ფოთლებსა და მათ ფორმას. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, იკებანა ინდური წარმოშობისაა და იაპონიაში ჩინეთიდან ბუდიზმთან ერთად შეაღწია. ასეა თუ ისე, უდავოა, რომ იაპონიაში იკებანას კულტურა ფართოდ გავრცელდა და საზოგადოების ცხოვრებაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. სწორედ იაპონიაში, და არა ინდოეთსა და ჩინეთში, იკებანა ბუდასადმი მიძღვნილი სიმბოლური რიტუალიდან ხელოვნებად იქცა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო მოიცვა.**







**იკებანას კეთებისას აუცილებელია სიჩუმე. ეს არის დრო, როცა ხალხი ეჩვევა ბუნების იმ ნაწილის პატივისცემას, აღქმას, რომელსაც სხვა საქმეებით დაკავებული ვერც კი ამჩნევს. ადამიანი ხდება უფრო მომთმენი და სწავლობს სილამაზის დანახვას. ეს ასევე არის დრო, როცა ადამიანი გრძნობს ბუნებასთან სიახლოვეს და ადუნებს, ასვენებს გონებას, სხეულსა და სულს**

ჩვენი წელთაღრიცხვის 720 წლით დათარიღებულ იაპონურ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ „ყველა მცენარეს შეუძლია ლაპარაკი", თანაც ადამიანურ ენაზე. მთავარია, იცოდე, როგორ მოუსმინო. **იკებანა ემოციის გამოხატვის ისეთივე ხელოვნებაა, როგორც პოეზია, ფერწერა, მუსიკა და კალიგრაფია.**

იზოლირებული ტერიტორიის გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებების გამო იაპონელებს ბუნებისა და ყველა ცოცხალი ქმნილების მიმართ თავისებური ფილოსოფიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ. განსაკუთრებული ბუნებრივი მოვლენები საუკუნეების განმავლობაში მათ აზროვნებასა და ეროვნულ ხასიათს ქმნიდა. ბუნების სილამაზით მათი აღფრთოვანება ხელოვნებაში გამოიხატა. მხოლოდ იაპონელებს შეუძლიათ ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში ჰარმონიის პოვნა.

ლეგენდა გვამცნობს, რომ ერთ მშვენიერ, უფრო სწორად კი საშინელ დღეს ჭექა-ქუხილის შემდეგ მეხისგან დალეწილი ტოტები, ფოთლები და ყვავილები ბუდისტმა ბერებმა მოაგროვეს, ბუდას ქანდაკებას ფერხთით დაუწყვეს და შეევედრნენ: „იყავ გულმოწყალე, დაგვეხმარე და გააცოცხლე ყველაფერი, რაც მეხმა გაანადგურა". ბუდამ შეისმინა მათი თხოვნა და იმ დღიდან ყვავილი იაპონელებისთვის განსაკუთრებულად ძვირფასი გახდა. დღემდე იაპონურ პასპორტსა და ვიზაზე ყვავილია გამოსახული.

დღეს იაპონიაში ინტერიერის დიზაინი იკებანას გარეშე წარმოუდგენელია. მისი საშუალებით იქმნება უხილავი, მისტიური კავშირი სახლის შიგნითა სივრცესა და მის გარეთ არსებულ ბუნებას შორის. გასათხოვარი იაპონელი გოგონასათვის კი იკებანას ხელოვნების ცოდნა დიდი პლუსია.

**იკებანას მასალა შეიძლება იყოს ახალმოჭრილი ტოტები, ხვიარა მცენარეები, ფოთლები, ბალახი, კენკრა, ხილი, თესლი და ყვავილები, დამჭკნარი და გამხმარი მცენარეები. იკებანაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ბუნებრივი მასალა. მათთან ერთად, თანამედროვე ეპოქაში ასევე გამოიყენება მინა, ლითონი და პლასტმასი.** გასათვალისწინებელია, რომ იკებანასთვის არსებითად მნიშვნელოვანია ურთიერთკავშირი მასალებს შორის, მისადაგების სტილი, სათავსოს ან საყვავილის ზომა, ფორმა, მოცულობა, ფერი და აგებულება, ასევე მისი განთავსების ადგილი და დროც კი.

იკებანას ხუთასწლიანი ისტორიაში არსებობდა ფორმების ფართო ასორტიმენტი, დაწყებული მოკრძალებული სახლის დეკორაციებით და უზარმაზარი პეიზაჟებითა და დამთავრებული სკულპტურული ნამუშევრებით, რომლებიც გაავსებდა საგამოფენო დარბაზებს.

ყვავილების არანჟირება მიჩნეულია შემოქმედებით მიღწევად, რომლითაც ადამიანი თავისუფალ დროს არის დაკავებული.

### რიტუალის სიწმინდე

სისადავე, როგორც ორიგინალურობის ნიშანი, და ერთეული, როგორც მთელის შემადგენელი ნაწილი, იკებანას შემქმნელ ხელოვანთა კრედოა. ამ მხრივ მათი შემოქმედება წააგავს ჰაიკუს — იაპონურ ლექსთაწყობას და ჰაიკუსთვის დამახასიათებელი სიღრმითა და სრულყოფილებით გამოირჩევა.

თანამედროვე იაპონიაში იკებანას ხელოვნება ერთ-ერთი პოპულარული სფეროა და აღიქმება როგორც ეროვნული თავისებურება და მსოფლიოში აღიარებული დახვეწილი მხატვრული გემოვნების სიმბოლო.

უცხოელები იკებანას იოლ საქმედ აღიქვამენ. დასავლეთში იკებანას მოცალეობის ჟამს სასიამოვნო გასართობად მიიჩნევენ, იაპონიაში კი იგი სერიოზული, ხანგრძლივი და შრომატევადი სწავლების ობიექტია. რიტუალის სიწმინდის აღქმა არა მარტო ეროვნული კულტურული ტრადიციის უცილობელი ელემენტია, არამედ სამყაროს სრულყოფილების მოდელი.

მიუხედავად იმისა, რომ იკებანა შემოქმედებითი ხასიათისაა და მის შემქმნელს ფანტაზიასა და გემოვნებაში თითქოს სრული თავისუფლება უნდა ეძლეოდეს, მას გარკვეული წესები მაინც აქვს. **ძირითადი წესია ის, რომ იკებანას შემადგენელი ყველა ელემენტი ორგანული უნდა იყოს — ტოტები, ფოთლები, ბალახი თუ ყვავილები. კომპოზიცია უნდა შეიცავდეს ყვავილების მინიმალურ რაოდენობას ღეროებსა და ფოთლებს შორის.**

მცენარეული მასალის — ტოტების, ყვავილებისა და ბალახის არანჟირება იკებანაში მკაცრად არის დაცული. მისი სტილური თავისებურება განსაკუთრებით მკვეთრად აისახება ძირითადი კონსტრუქციული საფუძვლის — ტოტების შეხამებაში. უმთავრესად ეს არის სამი ელემენტი, თუმცა გვხვდება სხვაგვარიც — ორიდან ცხრამდე ელემენტით.

**იაპონური ხელოვნების ამ ნიმუშების საყრდენია სამკუთხედი, რომელიც სამი ტოტითაა გამოსახული. ითვლება, რომ ისინი გამოსახავს ზეცას, მიწასა და ადამიანს. ზოგი კი თვლის, რომ ისინი მზის, მთვარისა და მიწის გამომსახველია.** კონტეინერიც ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია კომპოზიციისა და ამიტომ ბევრი სხვადასხვა სტილის ქოთანს იყენებს იკებანას შესაქმნელად.

### ღმერთისა და ადამიანისთვის

იკებანას ისტორია დაახლოებით 500 წლის წინათ დაიწყო. თავდაპირველად მას რელიგიური დანიშნულება ჰქონდა და იაპონურ ტაძრებში უფლისადმი ძღვნად ითვლებოდა. მისი უძველესი სკოლა იყო იკენობო, რომლის წარმოშობაც უკავშირდება ქალაქ კიოტოში მდებარე როკაკუ-დოს ტაძრის ერთ-ერთ მღვდელს. იგი ტბასთან ახლოს ცხოვრობდა (ტბა იკენობო) და გაწაფული იყო ყვავილების ხელოვნებაში.



როკაკუ-დოს ტაძარი კი 587 წელს ააშენა პრინცმა **შოტოკუმ.** არსებობს თქმულება, რომ პრინცი ეძებდა მასალას შიტენოს ტაძრის ასაშენებლად. ერთ დღეს იგი საბანაოდ წავიდა და თავისი ბუდისტური ამულეტი ხეზე დაკიდა. როდესაც დაბრუნდა, ვერაფრით ჩამოხსნა. იმავე ღამეს პრინცს ბუდა დაესიზმრა, რომელმაც სწორედ იმ ხესთან მიუთითა ადგილი ტაძრის ასაშენებლად.

იკებანას კეთებისას აუცილებელია სიჩუმე. ეს არის დრო, როცა ხალხი ეჩვევა ბუნების იმ ნაწილის პატივისცემას, აღქმას, რომელსაც სხვა საქმეებით დაკავებული ვერც კი ამჩნევს. ადამიანი ხდება უფრო მომთმენი და სწავლობს სილამაზის დანახვას. ეს ასევე არის დრო, როცა ადამიანი გრძნობს ბუნებასთან სიახლოვეს და ადუნებს, ასვენებს გონებას, სხეულსა და სულს.

XV საუკუნის დასაწყისში იკებანა ისე გავრცელდა, რომ ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ მდიდრებისთვის, არამედ ჩვეულებრივი ხალხისთვისაც. თავიდან იგი ძალიან მარტივი იყო და მხოლოდ რამდენიმე ყვავილს და მარადმწვანე ტოტს შეიცავდა. მის პირველ ფორმას კუგე ეწოდება.

იკებანას განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა უძველესი იაპონიის ბუნებრივი პეიზაჟების მრავალფეროვნებამ და ცხოვრების სამიწათმოქმედო სტილმა. გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია ბუდიზმის შემოსვლამ ჩინეთიდან VI საუკუნეში და კუგემ — ყვავილების მირთმევის ტრადიციამ ბუდასა და მიცვალებულის სულებისთვის.

დროთა განმავლობაში იკებანა განვითარდა. იგი გახდა ფესტივალების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი და გამოფენებიც რეგულარულად ტარდებოდა.

იკებანას სტილის თავისებურება აისახება გეომეტრიულ ფიგურებშიც, რომლებსაც იგი წარმოქმნის.

იკებანას სტრუქტურა განსაზღვრავს მის სტილს, სკოლასა და კომპოზიციის ფორმას. იკებანას ხელოვნების ისტორია იწყება დიდებული სადღესასწაულო სტილის შექმნით, რომელსაც **რიკას** უწოდებენ.

თავდაპირველად მისართმევი ყვავილები წარმოდგენილი იყო უბრალო კომპოზიციით (სიმეტრიულად განლაგებული სამი ღერო), მაგრამ შემდეგ, ადრეულ XVII საუკუნეში ის გვხვდება, როგორც რიკა, რაც სიტყვასიტყვით „ფეხზე მდგომ ყვავილებს" ნიშნავს და პირველად შეიქმნა ბუდისტი ბერების მიერ იკენობოს სკოლაში.

ეს ოსტატურად დამუშავებული ხელოვნების ფორმა წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს ლარნაკებში და შესრულებული იყო უმაღლესი ტექნიკური ოსტატობით. მთავარი ტოტი იყო სიმბოლო სამოთხისა ან სიმართლისა; ასიმეტრიული, რომელიც ხან მარჯვნივ იხრებოდა, ხან — მარცხნივ, ისე, რომ თავით შეხებოდა ცენტრალურ ვერტიკალურ ღერძს. დანარჩენი ტოტები ყველა თავის სიმბოლურ მნიშვნელობასა და დეკორატიულ ფუნქციას ატარებდა, რაც წარმოსახვის სფეროს ცენტრალური ნაწილიდან მომდინარეობდა.

მთლიანად რიკას კომპოზიცია წარმოდგენილი იყო, როგორც მიკროკოსმოსი, რომელიც სრულ პეიზაჟის სურათთან ერთობლიობაში მთლიან სამყაროს განასახიერებდა.

რიკასგან სრულიად განსხვავებულ, მარტივ სტილს ეწოდებოდა ჩიაბანა, ანუ ჩაის ყვავილები, რომელიც ჩაის ცერემონიის (ჩიანოიუ) შემადგენელი ნაწილი იყო XVI საუკუნეში. ჩიაბანამ სათავსოში განთავსებული ორიოდე ყვავილითა და ტოტით დასაბამი მისცა **ნაგეირეს** — სპონტანურ სტილს, რომლის ნიმუშებიც მზადდებოდა სხვადასხვა მასალით და იყენებდა ნატიფ ტექნიკურ საშუალებებს ბუნებრივი სილამაზის მარტივი პოეტური განსახიერებისთვის.

ერთი მხრივ, აქცენტი იყო გაკეთებული გულმოდგინედ შესრულებულ ტექნიკურ მხარეზე, უდიდესი მასშტაბის სტილზე და მეორე ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყვავილების ჩვეულებრივი თაიგულებისაგან განსხვავებით, იკებანა თავისებურ, გეომეტრიულ კანონებს ემორჩილება და მასში ფერების შეხამების მკაცრი წესებია დაცული. იკებანას თავისი „რიტმიც“ აქვს. დასავლეთის თაიგული უამრავი ფერის ერთობლიობით გვიხილავს, იაპონური კი — ბუნების ჰარმონიული უბრალოებით.

**იკებანას ხელოვნებაში ნებისმიერი მიმართულებით დაოსტატება მოითხოვს ხანგრძლივ პრაქტიკას კარგად განსწავლულ პედაგოგთან; არსებობს ბევრი საერთო წესი, რომელიც აღიარებულია ყველა სკოლის მასწავლებლის მიერ. სანამ მუშაობას შეუდგება, თავდაპირველად ხელოვანმა უნდა გააცნობიეროს, როგორ გამოიყურება მცენარეები. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მთლიან ფორმას და არა მომხიბლავ დეტალებს**

◀ მხრივ, შეინიშნებოდა სპონტანურობა, უბრალოება, პატივისცემა გამოყენებული მასალის ბუნებრივი თვისებებისადმი.

ნაგეირეს სტილი კი ეფუძნება მცენარეების დაკომპლექტების უმარტივეს პრინციპს, როდესაც მათ თითქოს სახელდახელოდ ათავსებენ ლარნაკში. მაგრამ სწორედ ამ მოჩვენებით ბუნებრიობასა და სისადავეშია ჩადებული ნაგეირეს მხატვრული სახის შექმნის სირთულე.

ედოს პერიოდში (1603-1868 წ.წ.) იაპონიაში სიმშვიდე და მყარი ეკონომიკური ზრდა შეინიშნებოდა. იკებანა — ერთ დროს ექსკლუზიური ცოდნის დარგი მხოლოდ ბუდისტი ბერების, კარის წარმომადგენელთა და არისტროკატებისთვის, ამ პერიოდში ფართოდ გამოიყენებოდა სამურაის კლასის, მდიდარი ვაჭრებისა და სხვათა მიერ. ამ დროს უფრო ხისტი და ოფიციალური გახდა რიკას სტილი და მალე მის ნაცვლად დიდი აღიარება და პოპულარობა ჰპოვა უფრო სადა სტილმა, რომელსაც **სეიკა** ეწოდებოდა.

როცა სეიკა გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებდა ფორმალურ იერს — სამიტოტით ან ღეროთი ქმნიდა მარტივ კომპოზიციას ასიმეტრიულ სამკუთხედზე, ბევრი ახალი სკოლა ეწეოდა საკუთარი დამოუკიდებელი ვერსიების პოპულარიზაციას, მაგრამ სამი ტოტის (ტენ — სამოთხე, ჩი — მიწა და ჯინ — ადამიანი) კომპოზიციათა ვარიაციები დაედო საფუძვლად იკებანის ყველა სკოლის მომზადების ინსტრუქციებს.

სტილი „სეიკა“ პრინციპულად განსხვავდება „ნაგეირეს“ სტილისგან იმით, რომ ამ შემთხვევაში ჭურჭელი (ლარნაკი) კი არ ასრულებს ძლიერი ღეროს როლს, არამედ განასახიერებს დედამიწის სასიცოცხლო ძალებს.

სეიკას სტილში „სინათლის გარემო“ მუდამ მოთავსებულია კომპოზიციის უკან, მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში. ეს გარემოება განაპირობებს სამი ძირითადი კონსტრუქციული ელემენტის განლაგებას: ყოველი მათგანი მიმართულია სინათლის წყაროსკენ, ისევე, როგორც ბუნებაშია.

**მორიბანას** სტილისთვის დამახასიათებელია მცენარეთა ისეთი განლაგება, რომლის დროსაც ისინი არ ეხებიან ჭურჭლის ნაპირს და უშუალოდ წყალზე არიან დამაგრებულნი. ამ შემთხვევაში ჭურჭელი მცენარეთა ფესვების როლს ასრულებს და არა ღეროსი და ტანისა, როგორც ეს ნიშანდობლივია ნაგეირეს და სეიკას სტილისთვის.

ასეთი ჭურჭელი-ფესვი შესაძლებლობას იძლევა, მასში მოთავსდეს საკმაოდ მაღალი მცენარე, რომელიც, ერთი შეხედვით, სადაცაა გადაიზნიქება, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითია — იგი მყარად დგას. მორიბანას სტილის შესაქმნელად იყენებენ **კენძანს** — მძიმე ლითონის სადგარს აქეთ-იქით ამოჩრილი ნემსებით, რომელთა შორისაც მაგრდება ტოტი, მსხვილი ფოთლები და ღეროები.

## იკებანას სკოლა

იაპონიის კარის გაღებამ დასავლეთისთვის მეიჯის პერიოდში (1868–1912 წ.წ.) დიდი ცვლილებები მოიტანა ამ





ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში. იკებანაში ამ ახალ სტილს დაერქვა მორიბანა, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავდა მოგროვებულ ყვავილებს. მისი შემქმნელი იყო ოჰარა უნშინი (1861–1916), ოჰარას სკოლის ფუძემდებელი, რომელმაც რევოლუცირად გარდაქმნა იკებანას ხელოვნება. მაშინ, როდესაც ძველ ტრადიციულ სტილში მასალა მოგროვებული იყო ერთ ადგილზე კონტეინერში, ოჰარა სხვადასხვა სახეობისმასალას ისე განალაგებდა, რომ მოჭრილი მცენარეები სათავსოს მთელ ზედაპირზე ყოფილიყო გაფენილი.

ფართო და წყლით ნაკლებად ავსებულ კონტეინერებს ერქვა **სუიბანი**, ანუ წყლის თასი. იგი გამოყენებული იყო მხოლოდ ახალი, იმპორტირებული მასალებისთვის, რომელიც ვერ მოთავსდებოდა ტრადიციულ სათავსოებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვატორი ამ მიმართულებით იყო **ადაჩი ჩიოკა** (1887-1969), რომელმაც შემოიღო მორიბანა და თავის ნამუშევარს დეკორაცია უწოდა.

ინოვაციების შექმნა განაგრძო ბევრმა ახალმა თანამედროვე სკოლამ. მაგალითად, ტეშიგაჰარა სოფუს (1900–1979) მიერ დაარსებულმა სოგეცუს სკოლამ პოპულარული გახადა იკებანა, როგორც თანამედროვე ხელოვნება, რომელმაც უნდა წაახალისოს თავისუფალი, კრეატიული გამოხატვის უნარი.

ომის შემდგომ პერიოდში ავანგარდულმა ნაწარმოებებმა გაზარდა იკებანას გამომხატველობითი შესაძლებლობები, აბსტრაქტული, სკულპტურული და სიურეალისტური მიდგომების გამოყენებით გააფართოვეს ქმნილებათა მასშტაბები და უფრო განავრცეს გამოსაყენებელი მასალის სახეობა. გარდა ამისა, ტრადიციული სკოლები, როგორიც იყო იკენობო, ინარჩუნებდნენ რა თავიანთ ძველ კლასიკურ სტილს, დამატებით ქმნიდნენ რიკასა და სეიკას ახალ ვერსიებს.

იკებანას თანამედროვე საასპარეზო მოედანზე ლიდერობს სამი დიდი სკოლა — იკენობო, ოჰარა და სოგეცუ. თითოეული მათგანი მილიონობით წევრს ითვლის, მაგრამ არის, აგრეთვე, ათასობით სხვა დიდი და პატარა სკოლა. დიდმა სკოლებმა შექმნეს სწავლების კურსები და სასწავლო ჯგუფები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

1956 წელს ტოკიოში დაარსდა „იკებანა ინტერნაციონალი“ — სამეურვეო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს უამრავი იკებანას სკოლის ინტერესებსა დახელოვნების ამ სახეობას უწევს პოპულარიზაციას გლობალური მასშტაბით.

იაპონიაში იკებანას ბევრი ჩვეულებრივი ადამიანი აკეთებს, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ იკებანას რომელიმე სკოლასთან; უბრალოდ, ეს მათი ცხოვრების სიღრმისეული ნაწილია. ისინი მცენარეებით რთავენ სახლებს და იყენებენ სპეციფიკურ მასალას გარკვეული სეზონური დღესასწაულების გასალამაზებლად.

იაპონელთათვის თითოეულ მცენარეს კონკრეტული დატვირთვა აქვს, მათ მხოლოდ სილამაზისთვის როდი უხამებენ ერთმანეთს. მაგალითად, მარადმწვანე ფიჭვი მიჩნეულია მარადიულობის სიმბოლოდ, **ბამბუკი** — ახალგაზრდული მოქნილობის სიმბოლოდ, **ბარბრის** აყვავებულ ტოტები — სიდარბაისლისა და ხანდაზმულობის სიმბოლოდ, იაპონური **ზამბახები** მამაკაცური ძლიერების სიმბოლოა.

იკებანას ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სიცარიელე, ცარიელი სივრცე თაიგულის სილამაზის აუცილებელი პირობაა. ქმნილებაში უნდა გაერთიანდეს სიახლე, დინამიკა, პროპორციულობა და ჰარმონია.

სიახლე შემქმნელის ინდივიდუალიზმის გამოხატვაა, ეს შეიძლება იყოს თაიგულის მოულოდნებლი ფორმა ან უჩვეულო მასალა, რომლისგანაც ის შედგება. დინამიკაში იგულისხმება ხაზების სილამაზე, სწორი და პირდაპირი ღეროები აქ იშვიათად გამოიყებენა. ყოველი ხაზი გამოხატავს რაღაც მოქმედებას, განწყობას. მაგალითად, **ფიჭვის** მოღუნული ტოტი იაპონელებისთვის ძალის სიმბოლოა.

პროპორციულობა თაიგულის სამი მთავარი ელემენტის (ფოთოლი, ყვავილი და ღერო) შეხამებაა. როგორც ამბობენ, ყველაზე რთული ფერთა ჰარმონიაა. **ყვავილების ჩვეულებრივი თაიგულებისაგან განსხვავებით, იკებანა თავისებურ, გეომეტრიულ კანონებს ემორჩილება და მასში ფერების შეხამების მკაცრი წესებია დაცული. იკებანას თავისი „რიტმიც“ აქვს. დასავლეთის თაიგული უამრავი ფერის ერთობლიობით გვიხილავს, იაპონური კი — ბუნების ჰარმონიული უბრალოებით.**

იკებანა ყველაზე კარგად გამოხატავს იაპონელების შეხედულებას სიკვდილსა და სიცოცხლეზე. საუკუნეების განმავლობაში იკებანა სპეციალურ სკოლებში ვითარდებოდა. სწავლის პროცესი ღვთისმსახურების ტოლფასი იყო. შექმნის მთავარი კანონი შემდეგშია: „ვინც ლაპარაკობს — მან არ იცის, ვინც იცის — ის არ ლაპარაკობს“. სწავლების დროს მასწავლებელი სრულ სიჩუმეს ინარჩუნებს, მოსწავლეები კი ვალდებულნი არიან, სრულად მოახდინონ კონცენტრირება შექმნის პროცესზე, რომელიც ერთგვარი მედიტაციის პროცესია.

იკებანა გამოიყენება მედიტაციის საშუალებად სხვადასხვა დროის, სეზონისა თუ ცვლილებების გარდამავალ ეტაპზე. მისი რელიგიური წარმომავლობა და ძლიერი კავშირი ბუნებრივ ციკლთან, როგორიცაა დაბადება, გაზრდა, დაბერება, ხელახლად მოვლინება და სხვ., იკებანას ღრმა სულიერ რეზონანსს ანიჭებს.

## როგორ გავაკეთოთ იკებანა

მცენარეს სჭირდება საკმარისი წყალი, რათა მალე არ დაჭკნეს. მისი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად არაერთი ტექნოლოგია არსებობს, მაგალითად, მცენარის ღეროს ძირების დაჭეჭყვა, მოხარშვა, დაწვა ან სხვადასხვა ქიმიკატების გამოყენება. ყველაზე გავრცელებული მეთოდი არის მცენარის ძირითადი ღეროს მოჭრა წყალქვეშ, ანუ **მიძუგირი** და მისი დაუყოვნებლივ გამოყენება.

იმისათვის, რომ შეუნარჩუნდეს სასიცოცხლო ძალები დამჭკნარ ყვავილებსა და ფოთლებს, ღეროები იჭრება წყალქვეშ და იქვე რჩება, სულ ცოტა, 30 წუთით.

თანამედროვე იკებანა არის ორი სახეობის: მორიბანა და ნაგეირე. მაშინ, როდესაც მორიბანა თავსდება პრიალა ზედაპირიან თითქმის გადაფრიალებულ კონტეინერში მცენარეების ნემსის თავებიანი დამჭერის, ანუ კენძან-ის საშუალებით, ნაგეირეს კომპოზიცია იდგმება მაღალ ლარნაკში, რომელშიც კომპოზიციის მასალები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებითაა განლაგებული.

როდესაც იყენებენ კენძანს, მოჭრილი სქელი ტოტების ან ღეროების ძირებს ჭრიან დიაგონალზე, მათი გადაჭრის ადგილზე სიგრძეზე ხლეჩენ ისე, რომ შეიძლებოდეს ამ გახლეჩილი ადგილებით მისი ადვილად მოთავსება ნემსისთავებიან დამჭერზე. ყვავილები და ზოგიერთი მასალა, რომელთაც აქვს რბილი ღეროები, უმჯობესია, ჰორიზონტალურად დაიჭრას. ისინი თავსდება კენძან-ის ზემოთ ამოშვერილ ნემსებზე პირდაპირ და შემდეგ შეგვიძლია მისი გადახრა წინ, უკან ან ნებისმიერი მიმართულებით. ბალახების შემთხვევაში, რომელიც გაცილებით თხელია, ვიდრე კენძან-ის ნემსის თავები, მათ ძირებზე ახვევენ იმავე ან სხვა მასალას მეტი სისქის მისაცემად, რაც იძლევა კენძანზე მისი ადვილად დამაგრების საშუალებას.

მაღალ ლარნაკში ჩაწყობილი მცენარეების დახრილ მდგომარეობაში გაჩერების მეთოდის შემთხვევაში, ანუ **ორიდომეს** დროს, იყენებენ სხვადასხვა მასალას. მცენარეების ტოტები ან სქელი ღეროები ეყრდნობა კონტეინერის ძირს, ღეროს მოხრილი ზედა ნაწილი თავსდება კონტეინერის შიგა ზედაპირთან, ძირი კი გადაჭიმულია ფსკერისკენ.

მცენარის დამოუკიდებლად დგომის მეთოდი, ანუ კირიდომე გამოიყენება სქელღეროებიანი ყვავილების შემთხვევაში. მათი ძირი იჭრება კუთხის ფორმით და ებჯინება ლარნაკის შიგა ზედაპირს.

ვერტიკალური ჯვარედინი მეთოდის, იოკო-ვარიდომეს შემთხვევაში, ტოტის ძირი იხლიჩება ჰორიზონტალურად და საბჯენი უმაგრდება მარჯვენა კუთხეში. იმისათვის, რომ ვისარგებლოთ ვერტიკალური საბჯენის გამოყენების მეთოდით, ანუ ტატე-ვარიდომეთი, ძირითადი ღეროს ძირი უნდა გავხლიჩოთ ვერტიკალურად, რომელსაც შემდეგ ჩავამაგრებთ ნემსისთავებიან დამჭერზე, რომლის ძირიც კონტეინერის ფსკერზე დგას.

იკებანას კონტეინერად ნებისმიერი რამ შეიძლება იქნას გამოყენებული; იაპონელები, ტრადიციულად, ბრინჯაოს, კერამიკულ ლაქწასმულ ლარნაკებს, ბამბუკებსა და გამხმარ გოგრას იყენებენ. კონტეინერი არამარტო სათავსოდ გამოიყენება, არამედ წარმოადგენს ამ ხელოვნების განუყრელ კომპონენტს.

როდესაც ვიყენებთ ფრიალა, გამჭირვალე თასს, ანუ სუიბანს, საჭიროა წყლიანი ჭურჭლის ფაქიზად ხმარება ისე, რომ შენარჩუნდეს წყლის ზედაპირის არეკვლის უნარი და ზაფხულში სიგრილის შეგრძნება.

**თანამედროვე იკებანას ხელოვნებაში კონტეინერი ასევე შეიძლება იყოს ფოლადის, მინის ან სხვადასხვა სინთეტიკური ნივთიერებებისგან დამზადებული, მაგრამ როდესაც არჩევანს ვაკეთებთ გამჭვირვალე შუშის ლარნაკზე, განსაკუთრებულად უნდა მივაქციოთ ყურადღება კომპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც მოჩანს ლარნაკიდან, რათა მცენარეთა შეხამების ძირი მოწესრიგებულად, შევსებულად და არამეჩხრად გამოიყურებოდეს. მაღალი ლარნაკის გამოყენებისას შევეცადოთ, რომ არ ავავსოთ ის პირამდე.**

ყველა ბუნებრივი მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კონტური, სახე, ფერი ან ფონი. მაგალითად, დიდ ფოთოლს აქვს შესანიშნავი ზედაპირი, მაგრამ შეიძლება ის გამოყენებულ იქნას პროფილში კონტურის გამოსაკვეთად. თითოეულ ყვავილს აქვს ინდივიდუალური სახე, რომელიც იკებანაში უშუალოდ მისთვის განკუთვნილ მხარეს იმზირება. ყვავილის განთავსების დროს ხელოვანმა უნდა გაიაზროს, რა არის უმჯობესი — ამ ყვავილის მნახველისკენ სახით, პროფილით თუ ზურგშექცევით დგომა.

**იკებანას ხელოვნებაში ნებისმიერი მიმართულებით დაოსტატება მოითხოვს ხანგრძლივ პრაქტიკას კარგად განსწავლულ პედაგოგთან; არსებობს ბევრი საერთო წესი, რომელიც აღიარებულია ყველა სკოლის მასწავლებლის მიერ. სანამ მუშაობას შეუდგება, თავდაპირველად ხელოვანმა უნდა გააცნობიეროს, როგორ გამოიყურება მცენარეები. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მთლიან ფორმას და არა მომხიბლავ დეტალებს.**

## ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ვირუსი, რომელიც აჩლუნგებს

**ჯონ ჰოპკინსისა და ნებრასკას უნივერსიტეტების მკვლევარებმა აღმოაჩინეს ვირუსი, რომელიც ინტელექტის კოეფიციენტზე ახდენს გავლენას. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ვირუსი ადამიანის ინტელექტის მაჩვენებელს საგრძნობლად ამცირებს.** მეცნიერებმა ვირუსი ხელოვნურად შეუყვანეს თაგვებს და ამის შემდეგ მღრღნელებმა დაკარგეს იმ ლაბირინთებში ნავიგაციის უნარი, რომლებშიც მანამდე ადვილად იგნებდნენ გზას. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც ვირუსი თაგვების ორგანიზმს დაეუფლა, მათი გონებრივი შესაძლებლობები შემცირდა. ჯერჯერობით უცნობია ვირუსის სახელი, წარმოშობა, არის თუ არა გადამდები და ა.შ. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ამ ვირუსის გავრცელების საშიშროება არ არსებობს.



# მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ყვავილები

**ყვავილების თაიგული ერთ-ერთ ძვირად ღირებულ საჩუქარს წარმოადგენს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც თაიგული იშვიათი და განსაკუთრებული ყვავილებისგან შედგება. მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ყვავილების რეიტინგი კი შემდეგნაირად გამოიყურება:**



### ლიზიანტუსი (ერთი კონა – 10-35 დოლარი)

ეს ყვავილი ხარობს როგორც სახლში, ისე ეზოში. იგი 60 სანტიმეტრამდე იზრდება. ეს ყვავილი დაკრეფის შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში არ ჭკნება.



### ზაფრანა (ნახევარი კილო – 1 500 დოლარი)

ის ერთ-ერთ უნიკალურ ყვავილს წარმოადგენს. მას ხმელთაშუაზღვის რეგიონსა და აზიაში არაერთი კერძის სანელებლადაც იყენებენ.



### ორქიდეა ქენშენ ნორკე (200 000 დოლარი)

ეს კიდევ ერთი სახეობის ორქიდეაა, რომელიც ადამიანმა შექმნა ცდის საფუძველზე. მკვლევარები რვა წელი მუშაობდნენ ამ სახეობის ორქიდეის გამოყვანაზე. მის გაზრდას და აყვავებას 4-5 წელი სჭირდება და სილამაზესთან ერთად გამოირჩევა დელიკატური გემოთიც. ალბათ, ვერავის წარმოუდგენია, რომ ეს ყვავილი 200 000 დოლარი შეიძლება ღირდეს.



### მინდვრის შროშანი (ერთი კონა – 15-50 დოლარი)

იგი გამოირჩევა სურნელით და ყვავის გვიან გაზაფხულზე. შროშანის ყვავილობა მხოლოდ რამდენიმე კვირას გრძელდება.



### გლორიოსა (ერთი ცალი – 6-10 დოლარი)

ეს ყვავილი, ძირითადად, სამხრეთ აფრიკაში ხარობს. იგი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია, ვინაიდან იშვიათი და უნიკალურია.



### ორქიდეა (ერთი ცალი – 5000 დოლარი)

იგი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ყვავილია, რაც კი ოდესმე გაყიდულა. იგი მხოლოდ მალაიზიის ეროვნულ პარკშია. ეს ყვავილი ერთ-ერთი უიშვიათესი სახეობაა. მისი ზრდის პროცესი დიდხანს გრძელდება. იგი აპრილიდან მაისამდე იზრდება და შესაძლოა, რამდენიმე წელიწადის შემდეგ აყვავდეს.

### კადაპალი (ეს ყვავილი შეუფასებელია)

ეს კაქტუსის ერთ-ერთი სახეობაა. იგი ძირითადად ყვავის შრი-ლანკას ტროპიკული ტყეებში და გამოიყენება ბაღების მოსართავად. ამ ყვავილის ყიდვა არავის შეუძლია დედამიწაზე, იგი შეუფასებელია.



### ჰორტენზია (ერთი კონა – 6.5 დოლარი)

ეს ყვავილი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია და დაკრეფის შემდეგ დიდხანს ცოცხლობს. ეს ექსტრავაგანტული ყვავილი ზაფხულში ყვავის. ჰორტენზია შეიძლება იყოს ლურჯი, ვარდისფერი, მეწამული და იისფერი.



### ტიტა (ერთი კონა 9 დოლარზე მეტი ღირს)

ის ფერებითა და ფორმით გამოირჩევა. შემოდგომაზე ირგვება და გაზაფხულზე ყვავის.



### «ჯულიეტას ვარდი» (15,8 მილიონი)

ამ ყვავილის დებიუტი 2006 წელს ჩელსის ყვავილების გამოფენაზე შედგა. მისმა სილამაზემ და ელეგანტურობამ მოგვიანებით მთელი მსოფლიო დაიპყრო. ამ სახეობის ვარდი 15 წლის განმავლობაში იქმნებოდა.





## ბავშვის გაჩენა 30 წლამდე აუცილებელია

**ქალები, რომლებიც 30 წლამდე ჯერ კიდევ არ არიან დედები, მკერდის კიბოს განვითარების რისკის ქვეშ იმყოფებიან. გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დაგვიანებული დედობა უმეტესწილად გამოწვეულია იმით, რომ უპირატესობას კარიერას ანიჭებენ, ვიდრე დედობას.** საქმე ისაა, რომ 20-დან 30 წლამდე ქალები განსაკუთრებით არიან ჰორმონ ესტროგენის ზემოქმედების ქვეშ. სწორედ ის იწვევს სიმსივნის ზრდას. ორსულობის დროს ამ ჰორმონის დონე ეცემა და იცავს ქალს ამ სენისგან. თუ დედობა უკანა პლანზე გადავა, სიმსივნის განვითარების რისკიც იმატებს. ის, რაც გამოავლინეს მეცნიერებმა, მხოლოდ ერთ-ერთი პუნქტია იმ ფაქტორებისა, რომლებიც ხელს უწყობს მკერდის კიბოს განვითარებას.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «უკვდავი» ადამიანები

**სიკვდილი რომ გარდაუვალია, ყველამ იცის. მაგრამ ზოგი ძალიან მარტივი მიზეზით, მაგალითად, ფეხის გადაბრუნებით კვდება, ზოგი კი გარდაუვალ სიკვდილს სასწაულებრივად აღწევს თავს.**

### ერთი საათი წყალქვეშ

ეს შემთხვევა ექიმებმა აღწერეს, როგორც სასწაული. 2 წლის გოგონამ უჰაეროდ 1 საათს გაძლო. 1986 წელს მიშელ ფანკი მდინარის პირას ძმასთან ერთად თამაშობდა, როდესაც ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა. იგი 60 წუთის შემდეგ იპოვეს. მაშველები ვერ გრძნობდნენ გულისცემას, ბავშვის სხეულის ტემპერატურა მხოლოდ 19 გრადუსი იყო. გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ექიმებმა სპეციალური აპარატით სისხლის გათბობა დაიწყეს. 3 საათის შემდეგ გოგონას გული ამუშავდა. ვარაუდობენ, რომ მიშელის სიცოცხლე გადაარჩინა ცივმა წყალმა, რომელმაც სხეული გაყინა. ამჟამად, გოგონა თავს შესანიშნავად გრძნობს, თითქოს ის უბედური შემთხვევა არც კი მომხდარა.

### სიცოცხლე დახვრეტის შემდეგ

1915 წლის 15 მარტს, მექსიკის რევოლუციის დროს, **ვენსესლაო მოგუელი**, რომელიც რევოლუციონერების მხარეს იბრძოდა, ტყვედ აიყვანეს და დახვრეტა მიუსაჯეს. რევოლუციონერი კედელს მიაყენეს და 9 ტყვია დაახალეს, მათ შორის ერთი — საკონტროლო. ჯარისკაცები დარწმუნებული იყვნენ, რომ მოგუელი მოკლეს და იქაურობას გაეცალნენ, მაგრამ ვენსესლაო გონს მოვიდა, შეძლო თავისიანებთან მიღწევა და მას შემდეგ დიდხანს იცოცხლა.

### 47-ე სართულიდან მიწაზე

სტატისტიკის მიხედვით, მე-11 სართულიდან ვარდნის შემთხვევაში, სიკვდილიანობა თითქმის 100%-ია. მხოლოდ ერთეულები თუ გადარჩებიან, მაგრამ 47-ე სართულიდან გადმოვარდნის შედეგად გადარჩენა მხოლოდ ერთმა ადამიანმა მოახერხა. **ალკიდ მორენო**, რომელიც ცათამბჯენების ფანჯრების მწმენდავად მუშაობდა, 2010 წელს ძმასთან ერთად შენობის 47-ე სართულზე ავიდა სამუშაოს შესასრულებლად, როდესაც პლატფორმა კედელს მოსწყდა და მიწაზე დაენარცხა. საბედნიეროდ, ალკიდმა პლატფორმაზე ჩაჭიდება და მასზე დაწოლა მოახერხა, რისი წყალობითაც კონსტრუქციამ ამორტიზატორის როლი შეასრულა. მამაკაცი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს, მან რამდენიმე სერიოზული ოპერაცია გადაიტანა. ალკიდს ფეხების მოტეხილობა 10 ადგილას აღენიშნებოდა, ასევე, დაზიანებული ჰქონდა ხერხემალი. მიუხედავად ამისა, ალკიდი დაუბრუნდა ჩვეულ ცხოვრებას. ამჟამად იგი ნორმალურად დადის, ალუდგა მეხსიერება და მეტყველება. სამწუხაროდ, მისი ძმა ვარდნისას დაიღუპა.




### თავის ტვინის ტრავმა

**ფინეას გეიჯი** პირველია, ვისაც სრულფასოვანი ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. 1840 წელს ამფეთქებელი გეიჯი ვერმონტის მაღაროში მუშაობდა, როდესაც მავთულის წვის დრო ვერ გათვალა. ნაღმი ფინეასისგან 20 მეტრში აფეთქდა, რის გამოც მისგან ახლო მდებარე რკინის სარმა მას თავი გაუპო. ექიმებმა შეძლეს ფინეასის ტვინიდან 30 დეფორმირებული ნამსხვრევის ამოღება, მაგრამ მამაკაცს სახის მარცხენა მხარის კანტუზია განუვითარდა, რის შედეგადაც გარკვეული ფსიქიკური ცვლილება განიცადა.

### ადამიანი ნახევარი თავით

2010 წელს მსოფლიო ინტერნეტქსელი მოიარა ფოტომ, რომელზეც ნახევართავიანი მამაკაცი იყო გამოსახული. ფოტოს რეალურობაში ბევრს ეჭვი შეეპარა, რაც გასაგებიცაა — იგი სინამდვილეში სრულიად წარმოუდგენლად გამოიყურება. ფოტო ნამდვილი აღმოჩნდა. მამაკაცს **კარლოს როდრიგესი** ჰქვია, მეგობრებში ცნობილია, როგორც „ნახევარა“. როდრიგესი საშინელ ავიაკატასტროფაში მოჰყვა, საქარე მინა თავით გაიტანა და ავტომობილიდან გადმოვარდა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ნეიროქირურგიისა და ნეიროპლასტიკის წყალობით, გადარჩა.

### ალპინისტი, რომელმაც ხელი მოიჭრა

1975 წელს დაბადებული **აარონ ლი რალსტონი**, პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი და მოწოდებით ალპინისტი, იძულებული გახდა, ლოდის ქვეშ მოყოლილი საკუთარი ხელი მოეჭრა. უბედური შემთხვევა 2003 წლის აპრილში იუტას შტატში (აშშ) მოხდა. კანიონლენდსის ეროვნულ პარკში 300-კილოგრამიანი ლოდი დაგორდა და ალპინისტის მარჯვენა ხელი მოიყოლა. რალსტონს კანიონზე ასვლის გეგმები არავისთვის გაუზიარებია, ამიტომ იცოდა, რომ მის ძებნას არავინ დაიწყებდა.

აარონმა ამ მდგომარეობაში 4 დღე დაჰყო. როდესაც სასმელი წყალი გაუთავდა, საკუთარი შარდის დალევა დაიწყო. საკუთარი სახელი კანიონის კედელზე ამოკაწრა (დაღუპვის სავარაუდო თარიღით) და გამოსამშვიდობებელი ვიდეო ჩანერა ტელეფონით. შემდეგ გაიაზრა, რომ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და ბრძოლა განაგრძო. იგი შეეცადა, მკვეთრი მოძრაობით გათავისუფლებულიყო, მაგრამ ამ დროს ხელი მოიტეხა, შემდეგ კი ბლაგვი დანით ხელი მოიჭრა. აარონმა შეძლო, 20-მეტრიან კედელზე ჩამოცოცება და გზის გაგრძელება თავის გადასარჩენად. საბედნიეროდ, მას გზად ტურისტები შეხვდნენ, რომელთაც მაშველებს გამოუძახეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ აარონ ლი რალსტონმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით „გამოუვალ მდგომარეობაში“, რომელშიც უბედური შემთხვევა აღწერა. იგი დღემდე გატაცებულია ალპინიზმით, ჰყავს მეუღლე და შვილი. ამ შემთხვევაზე 2010 წელს ფილმი „127 საათი“ გადაიღეს, რომელშიც მთავარ როლს ჯეიმს ფრანკო ასრულებს.

### ქალი, რომელმაც თავის ტვინზე ოპერაციის დროს იმშობიარა

**24 წლის ეკატერინბურგელმა იულია შუმაკოვამ სამსახურიდან შინ დაბრუნებისას გონება დაკარგა.**

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. იულია 32 კვირის ორსული იყო. გამოკვლევამ თავის ტვინში ათეროსკლეროზი გამოავლინა. მსგავსი დაავადებით ადამიანების 96% ცოცხალი საავადმყოფომდეც ვერ აღწევს. ექიმებმა გადაწყვიტეს, ერთდროულად ჩაეტარებინათ ტვინის ოპერაცია და საკეისრო კვეთა. გადარჩენის შანსი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ყველაფრის მიუხედავად, დედაც და ბავშვიც გადარჩნენ.

### ბავშვი, რომელიც ორჯერ დაიბადა

**კერი მაკკარტნი** 4 თვის ორსული იყო, როდესაც ექიმებმა ნაყოფის სხეულზე გრეიპფრუტის ზომის საშიში სიმსივნე აღმოაჩინეს, რომელიც ბავშვის სისხლის მიმოქცევას ხელს უშლიდა და გულს ასუსტებდა. მედიკოსებმა გადაწყვიტეს, ბავშვის გადარჩენა ეცადათ. ნაყოფის ფეტალური ქირურგიის ცენტრის (ტეხასი, აშშ) ექიმებმა ქალი მუცელზე გაჭრეს, ნაყოფი სანახევროდ ამოიყვანეს და სიმსივნე მოკვეთეს, შემდეგ კი ბავშვი უკან შეაბრუნეს. ორსულობის დარჩენილმა 10-მა კვირამ გართულების გარეშე ჩაიარა. კერი მაკკარტნიმ თავის დროზე იმშობიარა, ამგვარად, ეს ახალშობილი პირველი ბავშვია მსოფლიოში, რომელიც ორჯერ დაიბადა.

# ქვეყანა, რომელიც არ არსებობდა

**1822 წელს შოტლანდიის მკვიდრმა, ვინმე გრეგორ მაკგრეგორმა განაცხადა, რომ ჰონდურასის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნის — პოიასის პრინცია. მისი მონაყოლიდან გამომდინარე, პოიასი ზღაპრული, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მხარეა, რომელსაც ინვესტორები და მოსახლეობა სჭირდება.**

იმ პერიოდში შოტლანდიაში პოპულარული იყო ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ინვესტიციების დაბანდება, თანაც შოტლანდიას საკუთარი კოლონია არ ჰქონდა, ამიტომ პოიასი შოტლანდიელებისთვის მიმზიდველი იდეა აღმოჩნდა.

სინამდვილეში პოიასი გრეგორ მაკგრეგორის ფანტაზიის ნაყოფი იყო, თუმცა გრეგორი იმდენად პროფესიონალურად მოქმედებდა, რომ მის მონაყოლში ეჭვი არავის ეპარებოდა.

ფსიქოლოგების განმარტებით, თაღლითები ადამიანის მოსატყუებლად ორ ფსიქოლოგიურ ხერხს მიმართავენ: ალფა ტაქტიკას და ომეგა ტაქტიკას.

პირველი ხერხის მიზანია იდეის, პროდუქციის ან სხვა საგნის მიმზიდველობის გაზრდა. თაღლითი გთავაზობთ საინტერესო წინადადებას, ყვება, რატომ არის ის უნიკალური, რატომ ხართ იდეალური კანდიდატი მის განსახორციელებლად, რა სარგებელს მოიტანს ეს და ა. შ.



მეორე ხერხის გამოყენების დროს კი თაღლითი გარწმუნებთ, რომ ბევრ შეცდომას აიცილებთ ცხოვრებაში, თუ ამ იდეას განახორციელებთ.

ფსიქოლოგების ცნობით, ორივე ტაქტიკის ერთდროულად გამოყენებით თაღლითური იდეა ადამიანისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება.

სწორედ ამ ხერხს მიმართა შოტლანდიელმა თაღლითმა გრეგორ მაკგრეგორმა, რომელმაც თავისი იდეის პროპაგანდის დროს რამდენიმე გავლენიან გამოცემას მისცა ინტერვიუ. ის ყვებოდა, რომ პოიასის პროექტში ფულის დაბანდება ან იქ გადასახლება მხოლოდ ჭკვიან და ძლიერ ადამიანს შეუძლია.

მაკგრეგორის პროპაგანდამ იმდენად კარგად იმუშავა, რომ არარსებულ ქვეყანაში ჩასვლის მსურველებმა 200 ათასი ფუნტი გაიღეს.

1822-1823 წლებში მაკგრეგორმა ჰონდურასში 250 შოტლანდიელი ჩაიყვანა.

ისინი იმედგაცრუებას ვერ მალავდნენ, როცა ზღაპრული მხარე სინამდვილეში უდაბნო აღმოჩნდა.

პოიასი არარსებული ქვეყანა აღმოჩნდა, რომელიც გრეგორ მაკგრეგორის ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ ინვესტორებისა და გადასახლებული შოტლანდიელებისთვის უკვე გვიანი იყო. საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო, მათი უმრავლესობა ჰონდურასში დაიღუპა, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი.

ტყუილის გამო გრეგორ მაკგრეგორი ციხეში მოხვდა, თუმცა მოგვიანებით საფრანგეთში გაიქცა.

ალბათ, დაუჯერებელია, მაგრამ შოტლანდიელმა თაღლითმა იქაც დაიწყო პოიასის რეკლამირება და ახალი ექსპედიციების ორგანიზება. საოცარია ისიც, რომ პოიასით კვლავ უამრავი ადამიანი დაინტერესდა, ისინი ზღაპრულ მხარეში გასამგზავრებლად მზად იყვნენ.

საფრანგეთის პოლიცია რომ არა, შოტლანდიელი თაღლითი ჰონდურასში ახალ ექსპედიციას ჩაიყვანდა. სამართალდამცველებმა გადაწყვიტეს, გაერკვიათ, რას წარმოადგენდა სინამდვილეში პოიასი. როცა აღმოჩნდა, რომ მსგავსი ქვეყანა არ არსებობს, გრეგორ მაკგრეგორი ციხეში აღმოჩნდა.



გათავისუფლების შემდეგ ის კარაკასში გაიქცა, სადაც 1845 წელს გარდაიცვალა.

პოიასი კი, რომელიც უამრავი ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა, დღესაც ჰონდურასის მიტოვებული მხარეა, სადაც არავინ ცხოვრობს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 1998 წლის 29 მარტს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაიხსნა ევროპაში ყველაზე დიდი ხიდი — ვასკო და გამა.**

ხიდი მიეძღვნა პორტუგალიელი მოგზაურის — ვასკო და გამას (1460 ან 1469-1524) პირველ მოგზაურობას (1497 წლის 8 ივლისი) აფრიკის გარშემო და ინდოეთში. სიგრძე ხიდისა, რომელიც აერთებს პორტუგალიის მთავარი მდინარის — ტეჟუს ნაპირებს, 17 185 მეტრია (წყლის ზემოთ — 10 000 მ), სიგანე — 31 მ, სიმაღლე 420 მ, ხიდის ცენტრალურ მონაკვეთზე — 47 მ. პროექტის ავტორია მიშელ ვერლოჟე.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

**რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.**



*** 1917 წლის 25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია, რომელიც 1811 წელს გააუქმა რუსეთის იმპერიამ.**

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1943 წელს აღიარა, მსოფლიოს საპატრიარქომ კი — 1990 წლის 4 მარტს.

ავტოკეფალია (ბერძ. ავტოს — თვითონ და კეფალე — თავი) — მართლმადიდებლობაში: ერთი ეკლესიის დამოუკიდებლობა მეორისგან. პირველი ავტოკეფალიური ეკლესიები წარმოიქმნა რომის იმპერიასა და მის მეზობელ ქვეყნებში IV საუკუნეში: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიები. მოგვიანებით, 457 წელს, ანტიოქიის ეკლესიას გამოეყო კვიპროსისა და ქართული ეკლესიები. **ამჟამად არსებობს 15 ავტოკეფალიური ეკლესია: ალბანეთის, ალექსანდრიის, ამერიკის, ანტიოქიის, ბულგარეთის, საქართველოს, იერუსალიმის, კვიპროსის, კონსტანტინოპოლის, პოლონეთის, რუმინეთის, რუსეთის, სერბეთის, ჩეხეთისა და ელადის (საბერძნეთის).**



*** 1939 წლის 26 მარტს თბილისში დაიბადა კლასიკოსი მწერალი გურამ დოჩანაშვილი. მისი მთავარი თემებია სიყვარული, სიკეთე, შეუპოვარი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და თავისუფლებისკენ სწრაფვა.**

გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებები ნათარგმნია მრავალ ენაზე, მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო მრავალ ფილმსა და ტელესპექტაკლს.

1946 წელს მომავალი მწერალი სასწავლებლად მიაბარეს თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში. მისი კლასელები და უახლოესი მეგობრები იყვნენ **მერაბ კოსტავა** და **ზვიად გამსახურდია.**

1957 წელს ექსტერნად დაამთავრა თბილისის 61-ე საშუალო სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი (ვიოლინოს განხრით), იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1962 წელს დაამთავრა.

მწერლის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1966 წელი: 7 აპრილს დაიბადა მისი პირველი შვილი ქეთო და გამოსცა პირველი წიგნი „მთის გადაღმა“.

პირველი მოთხრობები კი 1961 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“.

გურამ დოჩანაშვილის პოპულარული ნაწარმოებებია: „სამოსელი პირველი“ (4 წიგნი); „ბაქანი“; „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“; „ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“; „ხორუმი ქართული ცეკვაა“; „ისედაც დასავლელები ომარა და გოგია და პლანეტა ჰოლივუდი“; „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“ და სხვ.



*** 1932 წლის 25 მარტს მესტიაში დაიბადა გამოჩენილი ქართველი ალპინისტი, სსრკ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ხერგიანი, რომელსაც „კლდის ვეფხვი“ შეარქვეს.**

იყო ალპინიზმში სსრკ-ის სამგზის და კლდეზე ცოცვაში სსრკ-ის 7-გზის აბსოლუტური ჩემპიონი. გამოირჩეოდა კედელზე ცოცვის უბადლო ოსტატობით. ძალიან პოპულარული იყო საბჭოთა და უცხოელ მთამსვლელთა შორის. მთაში სამაშველო სამუშაოების ჩატარების შედეგად გადარჩენილი ჰყავდა უამრავი ადამიანი.

1969 წელს თურქისტანის ქედზე მდებარე 4960 მ-ის სიმაღლის მწვერვალს მიხეილ ხერგიანის სახელი ეწოდა.

დაიღუპა 1969 წლის 4 ივლისს მწვერვალ სუ ალტოზე (იტალია) ასვლისას. დაკრძალულია მესტიაში.



*** 1899 წლის 29 მარტს აფხაზეთში, სოფელ მერხეულში დაიბადა საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა კავშირის უშიშროების გენერალური კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი, სოციალისტური შრომის გმირი ლავრენტი ბერია.**

1927-1930 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 1931-1937 წლებში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. იყო სტალინის უახლოესი გარემოცვის წევრი. დიდი წვლილი შეიტანა გერმანელი ფაშისტებისგან კავკასიის გათავისუფლებაში.

1938-1945 წლებში იყო სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი; 1944-1945 წლებში — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; კურატორობდა თავდაცვითი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებს, მათ შორის, ბირთვული იარაღისა და სარაკეტო ტექნიკის; ხელმძღვანელობდა სსრკ-ის ატომური პროგრამის რეალიზაციას.

1953 წლის 26 ივნისს ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა თანამზრახველებმა ლავრენტი ბერია ჯაშუშობისა და სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით დააპატიმრეს და იმავე წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს.



*** 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა თბილისის ფუნიკულიორი, რომელიც სამთო-საბაგირო რკინიგზისა და მთაწმინდის პლატოზე კულტურისა და დასვენების კომპლექსისგან შედგება.**

ფუნიკულიორის რკინიგზის სიგრძე 501 მეტრია, ლიანდაგის დახრის კუთხე — 28-33 მეტრი, ზედა სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან 727 მ-ია, ქვედა სადგურისა — 460 მ.

ფუნიკულიორის მშენებლობა 1903 წელს დაიწყო. მშენებლობაში მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები. პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა **ა. ბლანშმა**, არქიტექტურული ნაწილი დაამუშავა თბილისელმა ხუროთმოძღვარმა **ა. შიმკევიჩმა.** მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა **ნიკო ნიკოლაძემ.** ფუნიკულიორის საექსპლუატაციოდ გადაცემას ფერწერული ტილო უძღვნა **ნიკო ფიროსმანმა.**

ფუნიკულიორს პირველი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1936-1938 წლებში, მეორე — 1968-1969 წლებში, მესამე — 2007-2012 წლებში.



*** 1910 წლის 23 მარტს ტოკიოში დაიბადა გამოჩენილი იაპონელი კინორეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი აკირა კუროსავა.**

თავისი მოღვაწეობის 57 წლის განმავლობაში კუროსავამ 30 ფილმი გადაიღო, მისმა შემოქმედებამ უზარმაზარი გავლენა იქონია როგორც იაპონურ, ასევე მსოფლიოს კინემატოგრაფზე. მის მიერ გადაღებული ფილმებიდან აღსანიშნავია: „ძიუდოს გენიოსი“; „მთვრალი ანგელოზი“; „წყნარი დუელი“; „სკანდალი“; „რასიომონი“; „იდიოტი“; „7 სამურაი“; „ფსკერზე“; „ცუდებს მშვიდად სძინავთ“; „სამოთხე და ჯოჯოხეთი“; „დერსუ უზალა“; „აგვისტოს რაფსოდია“; „ჯერ კიდევ არა“ და სხვ.

აკირა კუროსავა გარდაიცვალა 1998 წლის 6 სექტემბერს.



*** 1926 წლის 23 მარტს ჭიათურაში დაიბადა საბჭოთა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი არჩილ გომიაშვილი, რომელმაც სახელი გაითქვა რეჟისორ ლეონიდ გაიდაის ილფისა და პეტრიკის ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ფილმ „12 სკამში“ ოსტაპ ბენდერის როლით.**

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „თხუნელა“ (ზურაბი); „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“; „12 სკამი“; „მიმინო“ (ნუგზარი); „ოქროს საწმისი“ (იაკობი); „სახელმწიფო საზღვარი“ (სტალინი); „სტალინგრადი“ (სტალინი); „ოფიციანტი ოქროს ლანგრით“ (შოთა ჭანტურია); „საუკუნის ტრაგედია“ (სტალინი) და სხვ.

*** 23 მარტი მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღეა.**

ყოველი წლის 23 მარტს მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ინიციატივითა და გაეროს ეგიდით აღინიშნება მეტეოროლოგიის დღე.

დაწესდა 1950 წლის 23 მარტს.







*** 1841 წლის 27 მარტს ნიუ იორკში გამოსცადეს ორთქლის ხანძარსაწინააღმდეგო პირველი მანქანა.**

**პოლ ჰოჯის** მიერ გამოგონებული მანქანის სიგრძე დაახლოებით 5,4 მ იყო, 8 ტონას იწონიდა და ადგილიდან დასაძვრელად 2 ცხენი სჭირდებოდა.

*** 1886 წლის 29 მარტს ავსტრიული წარმოშობის ამერიკელმა მოჭადრაკემ ვილჰელმ სტეინიცმა (1836-1990) მსოფლიოს ჩემპიონობისათვის მატჩში დაამარცხა იოჰან ცუკერტორტი და ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.**



**23 მარტს სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელებაა — კრიტიკული, დაძაბული პერიოდი. ადამიანები მგრძნობიერად, ემოციურად რეაგირებენ ნებისმიერ პრობლემაზე. სასიკეთო პერიოდია ტყუპისა და თხის რქის ნიშნით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**23 - 29 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

სურვილმა, გამოირჩეოდეთ სხვებისგან, შესაძლოა, რადიკალურ ცვლილებებამდე მიგიყვანოთ. დიდი ალბათობით, შეხვდებით ადამიანს, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს თქვენს მომავალ ცხოვრებაზე.

სამსახურში, თუ დავალების შესრულებას ვერ ასწრებთ, დახმარება კოლეგებს სთხოვეთ.

გრძნობა, რომელიც მარტოხელა ვერძებს გაუჩნდებათ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის მიმართ, უპასუხო არ დარჩება.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა, თუ წონის დაკლება გსურთ, კარგი იქნება, ფიზიკურად დაიტვირთოთ.

**დადებითი დღე: 25 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 27 მარტი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ არის გამორიცხული, შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინოთ და ისეთი გადაწყვეტილებები ვერ მიიღოთ, როგორიც გსურდათ.

კოლეგების დახმარებით შეძლებთ დაწყებული საქმეების დასრულებას. მოგიწევთ ვალების გასტუმრება. თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისის გამო ბზარი გაჩნდა, გულწრფელად დაელაპარაკეთ მას და დაარწმუნეთ თქვენი პრეტენზიების მართებულობაში.

თუ რომელიმე ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 24 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 29 მარტი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

აღივსებით ენერგიით და შეძლებთ ყველა პრობლემის მოგვარებას, რომელიც წინსვლაში გამუხრუჭებდათ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი. იმ დაქორწინებული ტყუპებისთვის, რომლებსაც დაძაბული ურთიერთობა აქვთ საყვარელ ადამიანთან, კარგი პერიოდია უთანხმოების მოგვარებლად.

მარტოხელა ტყუპებს კი ელით საინტერესო ადამიანთან რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც ურთიერთობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

გაუფრთხილდით ზედა სასუნთქი გზების სისტემას — დიდია გაცივების ალბათობა.

**დადებითი დღე: 29 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 24 მარტი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ბევრი მიზნისა თუ პრინციპის გადახედვა მოგიწიოთ. თუ რადიკალური ცვლილებების განხორციელებას გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით, შეესაბამება კი თქვენი შესაძლებლობები თქვენსავე სურვილებს.

დაქორწინებულმა კირჩხიბებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ. მარტოხელა კირჩხიბებმა კი, შესაძლოა, გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთან ურთიერთობაც მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კარგი იქნება, თუ ხშირად ჩაიტარებთ წყლის პროცედურებს და გაიკეთებთ მასაჟს — ეს სისხლის მიმოქცევას გააუმჯობესებს.

**დადებითი დღე: 28 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 23 მარტი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

თქვენ გარშემო განვითარებულმა რომელიმე მოვლენამ, შესაძლოა, მორალური პრინციპებისა და ცხოვრებისეული პრიორიტეტების გადაფასება გამოიწვიოს.

თავი შეიკავეთ ეგოცენტრიზმის გამოვლენისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარშემო მყოფთა პატივისცემას დაკარგავთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასაღრმავებლად. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს. დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში. მარტოხელა ლომებს, შესაძლოა, კოლეგებიდან გამოუჩნდეთ თაყვანისმცემელი.

იმ ლომებისთვის, რომლებსაც ზედმეტი კილოგრამების მოშორება სურთ, რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვის მომატება. დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით, აერობიკით ან იოგათი.

**დადებითი დღე: 25 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 27 მარტი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

თავი აარიდეთ ნებისმიერ საქმეს, რომელიც დაკავშირებულია რისკთან, რადგან გამორიცხული არ არის, როგორც ტრავმები, ასევე, ფინანსური დანაკარგები.

მოთმინებით გადაიტანეთ ეს პერიოდი და მოკლე ხანში ბევრი რამ თქვენს კონტროლს დაექვემდებარება.

მარტოხელა ქალწულებს გაუჩნდებათ სურვილი, უფრო მეტად დაუახლოვდნენ ადამიანს, რომელთანაც ერთნაირი თვალსაზრისი აქვთ ბევრ საკითხზე.

მაღალია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და ცხიმიანი საკვები და თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს.

**დადებითი დღე: 27 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 23 მარტი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

ყოყმანმა და გაუბედაობამ, შესაძლოა, თქვენი პროფესიული საქმიანობა დაამუხრუჭოს და რეპუტაცია შეგილახოთ. ხელმძღვანელობისგან მიღებული დავალების ყველა დეტალი კარგად გააანალიზეთ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ საქმის კეთება. თავი აარიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებაში მონაწილეობას.

თუ ეჭვს შეიტანთ საყვარელი ადამიანის მოქმედებაში, იფიქრებთ, რომ მას თქვენი აზრი სრულიად არ აინტერესებს და ამის გამო პრეტენზიას გამოთქვამთ, უთანხმოება გარდუვალი იქნება.

ივარჯიშეთ, მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში და გაიკაჟეთ ჯანმრთელობა.

**დადებითი დღე: 29 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 24 მარტი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

საპასუხისმგებლო პერიოდია. მოგიწევთ ბევრი პრობლემის მოგვარება და ახლობლების დახმარება.

გადატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო ბევრი მორიელი დაფიქრდება სამსახურის შეცვლაზე ან შემოსავლის დამატებითი წყაროს მოძიებაზე.

მარტოხელა მორიელებს შეიძლება თავი შეახსენოს ადამიანმა, რომელთანაც წარსულში სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ.

მამაკაცი-მორიელები, თუ საყვარელ ადამიანს ხელს სთხოვენ, აუცილებლად მიიღებენ თანხმობას.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 27 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 25 მარტი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

სასიკეთო პერიოდია პროფესიულ სფეროში წარმატების მიღწევის თვალსაზრისით. გაბედულად დაიკისრეთ პასუხისმგებლობა, მუხლჩაუხრელად იშრომეთ და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ.

დაქორწინებულ მშვილდოსნებს შეიძლება პრობლემები შეექმნათ ოჯახში და ეს გამოწვეული იქნება შვილების მოქმედებით. ნუ გაღიზიანდებით და ნუ მიმართავთ დიქტატორულ მეთოდებს, ცოტა ხანს მოითმინეთ და პრობლემა თავისით მოგვარდება.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 25 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 27 მარტი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ ნაჭუჭში და გაბედულად იარეთ წინ დასახული მიზნებისკენ. თამამად ილაპარაკეთ თქვენს იდეებზე, დასვით კითხვები, ეძებეთ საჭირო ადამიანების თვალსაზრისთან შეხების წერტილები და, თუ ინიციატივას გამოავლენთ, შედეგები შთამბეჭდავი იქნება.

მარტოხელა თხის რქებს, შესაძლოა, სიყვარულში გამოუტყდეთ ადამიანი, რომლის მიმართაც სიმპათიით იყვნენ გამსჭვალულნი, დაქორწინებულმა თხის რქებმა კი ოქროს შუალედი უნდა გამონახონ საოჯახო ვალდებულებებსა და სურვილებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი გარდაუვალი იქნება.

თხის რქებმა, რომლებსაც მაღალი არტერიული წნევა აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს.

**დადებითი დღე: 27 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 25 მარტი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

მოხერხებულობისა და დიპლომატიური უნარების წყალობით ბევრი რთული სიტუაციიდან შეძლებთ გამოსავლის პოვნას.

ახალგაცნობილ ადამიანებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბების მიუხედავად, მალე მიხვდებით, რომ ძველ მეგობრებთან ყოფნა გაცილებით საინტერესოა. მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ. არ აჩქარდეთ, რადგან ადამიანი, რომელთან ურთიერთობის გაღრმავებასაც მოიწადინებთ, შეიძლება ისეთი არ აღმოჩნდეს, როგორიც გეგონათ. შესაძლოა, შეგექმნათ ნივთიერებათა ცვლის პრობლემა, ამიტომ მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 26 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 23 მარტი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის გამო შეწუხდებით და შემოსავლების ახალი წყაროების მოძიებას დაიწყებთ.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობას. ნუ აიღებთ ვალს და, საერთოდ, მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება მცირე ხანს გადადეთ.

დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის დრო ცოტა დაგრჩებათ და არ არის გამორიცხული, უთანხმოება თავიდან ვერ აიცილოთ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 27 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 25 მარტი.**

# თინათინ ხიდაშელისა და სააკაშვილის ლობისტების შეხვედრა ლონდონში

**სააგენტო „ემპრესმა“ მოიპოვა ფოტოები, რომლებზეც ასახულია თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელის შეხვედრა ლონდონში პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ რადისლავ სიკორსკსა და მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ ლობისტ კარლ ბილდტთან...**




შეხვედრის დეტალების დასაზუსტებლად სააგენტოს ჟურნალისტი დაუკავშირდა თინათინ ხიდაშელის მრჩეველს მედიასთან ურთიერთობების საკითხებში — იმედა დარსალიას. ჟურნალისტის შეკითხვის შემდეგ — რა საკითხები განიხილა თავდაცვის მინისტრმა ზემოხსენებულ პირებთან, იმედა დარსალიამ განაცხადა, რომ პოლიგონზე იმყოფებოდა და ჟურნალისტს სთხოვა, 1 საათის შემდეგ დაკავშირებოდა. საბოლოოდ კი, ჟურნალისტის კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა, მაგრამ ფოტოები ცხადყოფს, საიდან და ვისი ხელით იმართება საქართველოს თავდაცვის მინისტრი... და არა მხოლოდ ის.



# უკრაინული პრესა: ეკა ზღულაძის ქმედება მსოფლიომ შეიტყო — ის შეეცადა, უკრაინიდან 4 მილიონი დოლარი გაეტანა

**უკრაინულმა პორტალმა „ინფორმაციონი ცენტრმა“ საქართველოდან უკრაინაში გადასულ და იქ მოღვაწე მაღალჩინოსნების შესახებ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის — ეკა ზღულაძის საქართველოსა და უკრაინაში მოღვაწეობა არის შეფასებული.**

„ეკა ზღულაძე — უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, წარსულში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი იყო. ეს, ერთი შეხედვით, სუსტი ქალი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის მოადგილედ მუშაობდა (ვ. მერაბიშვილი დღეს ციხეში ზის ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო). შეიძლება ვინმემ იმის მტკიცება დაიწყოს, რომ ეკა ზღულაძემ თავისი ბოსის დაუნდობელი ქმედების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებენ. მისი ერთ-ერთი ბოლო საეჭვო ქმედება მსოფლიომ შეიტყო — ეკა ზღულაძე შეეცადა, უკრაინიდან 4 მილიონი დოლარი გაეტანა“, — წერს პორტალი.

# რუსეთის საგარეო უწყება ოფიციალურ თბილისს «ანტირუსული გამოხდომების» გააქტიურებაში ადანაშაულებს

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდზე გავრცელებული ინფორმაციით, ჟენევის მოლაპარაკებების დაწყებამდე ოფიციალური თბილისის მხრიდან „ანტირუსული გამოხდომების მკვეთრი გააქტიურება“ შეინიშნება.**



„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისა და საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის შეხვედრაზე პრაღაში ჩვენ მოვუწოდეთ პარტნიორებს, დაიცვან ზომიერება საკუთარ პიარვარჯიშებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ზიანი ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზების მიმდინარე პროცესისთვის“, — ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ ქართული კონფრონტაციული პროპაგანდა უარყოფითად მოქმედებს ჟენევის დისკუსიების ატმოსფეროზე და ამავე კონტექსტში განიხილავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. რუსეთის საგარეო უწყება ამ ანგარიშებს უწოდებს „აშკარა ცილისწამებას“ აფხაზეთის, „სამხრეთ ოსეთისა“ და რუსეთის მიმართ.

საგარეო უწყება იმედოვნებს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი კონსტრუქციულ ჭრილში გაიმართება, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ დაგეგმილ შეხვედრაზე რუსეთის დელეგაცია კვლავ წამოწევს საკითხს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების გაფორმების შესახებ.

# ქალაქ ელ-რამადისთან თარხან ბათირაშვილის ცხედარი იპოვეს



**„ერაყელი სამხედროების განცხადებით, ქალაქ ელ-რამადისთან თარხან ბათირაშვილის, მეტსახელად უმარ ალ-შიშანის ცხედარი იპოვეს“, — იუწყება ერაყული ტელეკომპანია „ალ სუმარია“.**

როგორც ტელეკომპანიას ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა სამხედრომ განუცხადა, სამხედროები ერ-რამადის სიახლოვეს ოპერაციას ატარებდნენ, როცა „ისლამური სახელმწიფოს“ 10 წევრის ცხედარს მიაგნეს. მისი მტკიცებით, ერთ-ერთი სწორედ თარხან ბათირაშვილია. მანამდე პენტაგონმა განაცხადა, რომ უმარ ალ-შიშანი სირიაში ავიადარტყმის შედეგად დაიღუპა.

# უკრაინის ექსპრემიერი: უკრაინელები უნდა გამოფხიზლდნენ და დაფიქრდნენ, — ვინ არის მათი მტერი და ვინ — მეგობარი

**„უკრაინელები კრიზისს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუმკლავდებიან, თუ ფხიზელი თვალით შეხედავენ თავიანთი მთავრობის მოქმედებას“, — მიიჩნევს ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრი ნიკოლაი აზაროვი.**





უკრაინის ექსპრემიერი განცვიფრებულია გამოკითხვის შედეგებით, რომლის თანახმადაც უკრაინელთა 65% მიიჩნევს, რომ მათ ქვეყანასა და რუსეთს შორის ომია გაჩაღებული. პოლიტიკოსის აზრით, საზოგადოებრივი აზრის ეს სურათი მიუთითებს, რომ უკრაინის მოსახლეობა ოფიციალური კიევის პროპაგანდის გავლენას განიცდის, და უკრაინელებს საღად აზროვნებისკენ მოუწოდა საკითხებში, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობას ეხება.

„განიცდიან რა პროპაგანდისტული მანქანის გავლენას, უკრაინელები, ნებსით თუ უნებლიეთ, განამტკიცებენ პოროშენკოს, იაცენიუკის, ტიმოშენკოს, ლიაშკოს, სადოვოის ხელისუფლებას — ყველას ხელისუფლებას, ვინც კი ისინი სიღატაკის ზღვარზე მიიყვანა, ვინც მარტოხელა დედებს დახმარება წაართვა, საარსებო წყაროს გარეშე დატოვა ობლები, გააუქმა ბევრი სოციალური შეღავათი, უწამლოდ დატოვა მოხუცები, მაღლა ასწია ტარიფები.

ის, რაც ამჟამად ხდება რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში, ჩვენი ხალხების ტრაგედიაა. ასრულდა ჩვენი არაკეთილმოსურნეთა, ჩვენი მოწინააღმდეგეების საუკუნოვანი ოცნება — გაღვივებულია უთანხმოება. ყველა უნდა იყოს დაინტერესებული ამ უთანხმოების ჩაქრობით. და ამას შეძლებს მხოლოდ უკრაინელი ხალხი კიევის რეჟიმის ჩამოშორებით. სწორედ უკრაინის ხელისუფლებაშია ჩვენი ტრაგედიის მიზეზი. ქვეყნის მოქალაქეები უნდა გამოფხიზლდნენ და დაფიქრდნენ — ვინ არის მათი მტერი და ვინ — მეგობარი“, — დაწერა ნიკოლაი აზაროვმა სოციალურ ქსელში.

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009